ზეიმობს საბჭოთა საქართველო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი. № 109 (12023) | შაბათი, 13 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს საქართველო — საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ძმურ ოჯახში!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — სკკპ მებრძოლ რაზმს!

თბილისი, 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. სურათზე სხდომის პრეზიდიუმი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. ახტახანჯაძისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-40 წლისთავს.

საქართველოს კომუნისტური პარტია ლენინის დიადი პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმია. მისი ისტორია სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ბრძოლას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ — ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის.

ოთხი ათეული წლის მანძილზე საქართველოს მშრომელები ამიერკავკასიის ხალხებთან მეგობრობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად წარმატებით წყვეტენ საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის ამოცანებს. დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში მათ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ერთგულება ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაში.

ახლა ქართველი ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებს ბრძოლისა და შრომის სახელოვანი ორმოცი წლის გზის შედეგებს, რაც მისი ბედის ძირეული შემობრუნებით აღინიშნა. ამ წლებში საქართველო გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მძლავრი მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურა. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით ორმოცჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში აწარმოებენ მნიშვნელოვნად უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური აწარმოებდა. სოციალისტურ საქართველოში შეიქმნა და დიდად განვითარდა მეტალურგიული, მანქანათსამშენებლო, სამთამადნო, ელექტროტექნიკური, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგები. უკანასკნელი წლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა ყარადაღ-თბილისის გაზსადენისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური რეაქტორის აგება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი, სასიხარულო ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. კოლექტივიზაციის გამარჯვებამ მთლიანად შეცვალა ქართული სოფლის სახე. საკოლმეურნეო წყობილებამ ბედნიერი ცხოვრების გზა გაუხსნა გლეხობას. რესპუბლიკაში ახლა შექმნილია და წარმატებით ვითარდება მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სოფლის მშრომელები იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის.

განუწყვეტლივ უმჯობესდება რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, აყვავებას განიცდის ქართველი ხალხის კულტურა — ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური. რესპუბლიკაში არის სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კინოთეატრების ფართო ქსელი. დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების მუდმივი დახმარების შედეგად. ჩვენი ქვეყნის ერთსულოვან, ერთიან ოჯახში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი თავდადებით იბრძვის პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებითა და აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად, ცდილობენ აღნიშნონ იგი ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს მშრომელები არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას კომუნისტური მშენებლობის დიდებული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში. ვუსურვებთ ნიჭიერ ქართველ ხალხს ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მე-40 წლისთავს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას — ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების ურყევ საფუძველს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისადმი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომის მონაწილენი საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით მგზნებარე სალამს უთვლიან მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ შტაბს, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იუბილარი ხალხისადმი პარტიისა და მთავრობის მისალმების გულთბილ სიტყვებს. ამ ბრძნული და გულში ჩამწვდომი სიტყვებით მაღალი შეფასება ეძლევა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის გმირულ შემოქმედებითს შრომას, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

უდიდესი სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელები ჩვენს ეროვნულ დღესასწაულზე ჩამოსულ ძვირფას სტუმარს, ქართველი ხალხის დიდ და გულწრფელ მეგობარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

თქვენი გულითადი მისალმების სიტყვებმა, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენმა მეგობრულმა რჩევამ და მითითებებმა კიდევ უფრო მეტი ელფერი მისცეს, კიდევ უფრო ზეიმური გახადეს ჩვენი დღესასწაული.

40 წლის წინათ ამობრწყინდა საქართველოში — მეფის რუსეთის ყოფილ განაპირა მხარეში დიდი ოქტომბრის მზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში მოგვცა ამიერკავკასიის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალიზმის მშენებლობის გაშლილი პროგრამა.

მას შემდეგ ოთხმა ათეულმა წელმა განვლო. მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს მშრომელები მიდიან დიდი ლენინის ნაჩვენები გზით. ქართველი ხალხის თავდადებული შრომა, მისი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში უერთდება საბჭოთა კავშირის მშრომელების წარმატებათა საერთო ნაკადს, რომლებმაც მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით თვალსაჩინო გამარჯვებანი მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში.

ამ წლების მანძილზე საქართველო გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

შესანიშნავია ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1960 წელს 1913 წელთან შედარებით 40-ჯერ გადიდდა.

ახორციელებენ რა კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელები წარმატებით იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის.

ამჟამად საქართველო აწარმოებს ელმავლებს, ავტომობილებს, ელექტროძრავებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, კოშკურა ამწეებს, ელექტროშესადუღებელ მოწყობილობას, ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მარგანეცსა და ფეროშენადნობებს, საშენ მასალებსა და პლასტმასის ნაწარმს, აგრეთვე ფართო ასორტიმენტის სახალხო მეურნეობის საქონელს და ბევრ სხვას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი, უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ვიდრე რუსეთი. თოხი — მინდვრებში, ქანცგამწყვეტი ხელის შრომა — წვრილ შინამრეწველურ წარმოებაში, — აი რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი საქართველო. დაადგა რა სოციალისტური განვითარების გზას, თავისუფალმა და სუვერენულმა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ, საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობათა მეოხებით, რომლებმაც საწარმოო ძალების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი დასახეს, შორს ჩამოიტოვა უკან მეზობელი კაპიტალისტური ქვეყნები.

ამჟამად საქართველო აწარმოებს რვაჯერ მეტ ელექტროენერგიას ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე თურქეთი. ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ მან გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც არის იტალია. საქართველოს მრეწველობის ნაწარმი დამსახურებულად აღიარებულია შორს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ. საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში გაგვაქვს რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია — უნივერსალური სახარატო ჩარხები, რთული მანქანები, მოწყობილობა და მეტალურგიული, მანქანათსამშენებლო, და ჩარხსამშენებლო მრეწველობის სხვა ნაწარმი. მსოფლიოში სახელგანთქმულია ქართული ჩაი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, კონსერვები და კვების მრეწველობის სხვა პროდუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა დიდად განვითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მხარედ. ფართო სივრცეებზე გადაჭიმულია ჩაისა და სუბტროპიკების პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, ყანები და მინდვრები. აქ მოვიდა რთული ტექნიკა, რომელიც აადვილებს გლეხის შრომას, ზრდის მოსავალს.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიული დადგენილებებით, პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განუხრელ აღმავლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ აყვავდა ქართველი ხალხის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ნიჭიერი ქართველი მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, მსახიობების, არქიტექტორების მიღწევები ახარებენ არა მარტო რესპუბლიკის მშრომელებს, არამედ მთელ საბჭოთა ხალხსაც. ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურა ვითარდება მომძლე საბჭოთა ხალხების, და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის კულტურის კეთილნაყოფიერი გავლენით.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკა — ძმობისა და მეგობრობის რესპუბლიკაა. აქ ერთსულოვნად ცხოვრობენ და მუშაობენ ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ესტონელები, 50-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც შრომობენ ერთ მწყობრში, ურღვევი მეგობრობით შეკავშირებულნი. საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ბრწყინვალე აყვავებას მიაღწიეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

როცა თვალს ავლებენ განვლილ გზას, საქართველოს მშრომელებს შესანიშნავად ესმით, რომ მთელ თავიანთ წარმატებებს ისინი უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებას. საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის გულწრფელ მეგობრობას, თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებას.

ჩვენი საზეიმო სხდომა ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. საბჭოთა ადამიანები ემზადებიან დიდი ისტორიული მოვლენისათვის — მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის. საბჭოთა საქართველოს ყველა მუშა, ყველა კოლმეურნე, მთელი ჩვენი სახალხო ინტელიგენცია, ყველა მშრომელი აღსავსეა დიდი მისწრაფებით — ღირსეულად შეხვდნენ ყრილობას, აღნიშნონ იგი ახალი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

1961 წელი — შვიდწლედის მესამე წელი — კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებათა წელია, ეს არის წელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვებისა, რომელმაც კაცობრიობას გაუხსნა კოსმოსის გზა. მსოფლიო ისტორიაში ჩაიწერა უკვდავი ფურცელი, რომელმაც დიდებით შემოსა საბჭოთა ხალხი, სოციალისტური სისტემა. მფრინავ-კოსმონავტის კომუნისტ იური ალექსის-ძე გაგარინის უშიშარმა გმირობამ, რომელმაც მთელ კაცობრიობას გზა გაუკვლია ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაკენ, პრაქტიკულად დაამტკიცა, რა სასწაულების მოხდენა შეუძლიათ სოციალიზმის ქვეყანას, საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ადამიანს.

საბჭოთა ხალხის ყველა ღონისძიება მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ. საქართველოს მშრომელნი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, უდიდეს მადლობას უძღვნიან ხალხთა მშვიდობისათვის, ბედნიერებისათვის, აყვავებისათვის დიდ, დაუცხრომელ მებრძოლს ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლამ ჩვენს რესპუბლიკაში, მისმა მონაწილეობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში, ამ თათბირზე გამოსვლამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში.

ჩვენ კარგად გვახსოვს ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ იუბილეს გადახდის საუკეთესო წესია ის, რომ მთელი ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებს. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, შემდგომ გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობა, წარმატებით ვიაროთ წინ.

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი მტკიცე რწმენით შეჰყურებენ თავიანთ ნათელ მომავალს. მათ იციან, რომ ჩვენი პარტიის მომავალი XXII ყრილობა დაგვისახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ახალ გრანდიოზულ პერსპექტივებს, გადაგვიშლის გამოუკვლევ სივრცეებს ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნისათვის, ხალხის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენ საქვეყნოდ აღვუთქვამთ ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ საქართველოს მშრომელნი კვლავაც მტკიცე რწმენით ივლიან ლენინური გზით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

საქართველოს გმირი მუშათა კლასის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სახელით ჩვენ საქვეყნოდ ვდებთ პირობას კვლავაც დაჩქარებული ტემპებით განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა, მთელი ჩვენი ძალღონე, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ შვიდწლედის დიდებული ამოცანების ვადამდე შესრულებას, შევიტანოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის სახელით, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშების სახელით, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტის სახელით საქვეყნო პირობას ვდებთ დაუცხრომლად განვავითაროთ სოციალისტური სოფლის მეურნეობა, განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სულ უფრო მზარდი რაოდენობით მივცეთ სამშობლოს ჩაი, ციტრუსები, ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, მარცვლეული, ხორცი, რძე, კარაქი, ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ჩვენი სახალხო ინტელიგენციის — მეცნიერებისა და მწერლების, კომპოზიტორებისა და მხატვრების, მსახიობების სახელით, ქართული კულტურის ყველა მოღვაწის სახელით საქვეყნო პირობას ვდებთ კვლავაც წავწიოთ წინ ჩვენი მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება, მთელი ქართული — ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

მთელი ქართველი ხალხის სახელით, საქართველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა სახელით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით საქვეყნოდ ვაძლევთ ფიცს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით, განვამტკიცებთ და განვავითარებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა დიად ძმობას, საუკუნეობრივ მეგობრობას, ურღვევ ერთიანობას — საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს.

დღეს, ამ საზეიმო დღეს, თვალს ავლებენ რა ბრძოლისა და გამარჯვებათა განვლილ გზას, საქართველოს კომუნისტები, რომლებიც წმიდად იცავენ დიდი ლენინის პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომპარტიის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, ფიცს დებენ კვლავაც იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე და საიმედო დასაყრდენი, განამტკიცონ მისი რიგების ურყევი ერთიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს კომპარტია მზად არის შეასრულოს ყოველი დავალება, განუხრელად განახორციელოს პარტიის დიადი წინასწარმეტყველებანი, გაუძღვეს რესპუბლიკის მშრომელებს ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს საბჭოთა საქართველო — თანასწორი თანასწორთა შორის საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის უძლეველ ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ შტაბს — მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ერთგული ლენინელის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით!

მიღებულია ერთხმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომაზე 1961 წლის 12 მაისს

აყვავდი, ჭურფა ქვეყანავ, ილხინე, ქართველთ მხარეო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დღეები, რომლებიც ღირსსახსოვარ ნიშანსვეტად აღიმართებიან ისტორიულ გზაზე. ასეთი სასიხარულო, აღმფრთოვანებელი დღეები დაუდგა ახლა ქართველ ხალხს. ჩვენს ქართულ მიწაზე ზეიმი და ლხენაა.

ამ დღეებში რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

ციფრი „40“ კიაფობს ყველგან: ჭუჩებსა და მოედნებზე, საიუბილეო ნიშნებზე, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. ეს ციფრი ყველასათვის განსაკუთრებით ძვირფასი გახდა. იგი მოწმობს, თუ რა განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა ქართულ მიწაზე ამ წლებში. ყოველ სხვა ქვეყანას სხვა სოციალური წყობილების დროს ოთხი საუკუნე დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ესოდენ გრანდიოზული ნაბიჯი გადაედგა თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, როგორიც საქართველომ მხოლოდ ოთხი ათეული წლის განმავლობაში გადადგა და მეფის რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარიდან გადაიქცა დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

მორთულა რესპუბლიკის დედაქალაქი, მისი პროსპექტები და მოედნები, ბაღები და სკვერები. საზეიმოდ გამოიყურება ძველი და ამასთან ყოველთვის ჭაბუკი თბილისი.

გუშინდელი, 12 მაისის დილა განსაკუთრებით აღერსიანი, საამური იყო. განთიადიდანვე გამოცოცხლდა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალები. მსუბუქი ავტომანქანები, ტროლეიბუსები და ავტობუსები ჯაჭვად გაემართნენ საბურთალოში — ერთ-ერთ იმ რაიონში, რომელიც თბილისს ახალ იერს აძლევს. იგი ახალშენებათა, უდიდესი საცხოვრებელი მასივების, ფართო პროსპექტების, მოკაშკაშე ვიტრინიანი მაღაზიების რაიონია. იქ, სადაც ეს რაიონი იწყება, აღმართულია მონუმენტური და ამავე დროს მსუბუქი შენობა სპორტის სასახლისა — ამომავალი მზის სხივებით გაკაშკაშებული, უზარმაზარი გუმბათით დამშვენებული.

სასახლის მრავალ შესასვლელში უწყვეტ ნაკადად შედიან საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები.

იმათ შორის, ვინც ტრიბუნებზეა, ვხედავთ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ძველ კომუნისტებს, იმათ, ვინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მიაბიჯებდა. ჩვენ ვხედავთ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებს, კულტურის მუშაკებს, საბჭოთა არმიის მეომრებს.

აქვე არიან ჩვენი ძვირფასი სტუმრები — მომძე რესპუბლიკების — რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის, დაღესტნის ასსრ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ხალხთა სახელოვანი წარმომადგენლები.

საზეიმოდ არის მორთული სასახლის ფასადი. მძლავრი პროჟექტორები აკაშკაშებენ უზარმაზარ დარბაზს. სცენაზეა კომუნისტური პარტიის ბელადისა და ორგანიზატორის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი ბიუსტი, მის უკან — უზარმაზარი ხავერდის ქსოვილი, ისეთივე ლურჯი, როგორიც მშობლიური საქართველოს ცაა. ოქროსფრად ბრწყინავენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბი და თარიღები „1921“, „1961“. „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ — წარწერილია ტრიბუნების ზემოთ უზარმაზარი ასოებით. დარბაზში ფრიალებენ მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ალმები.

დილის 10 საათია. წამით მიყუჩდა ხმაური, ყველაფერი დაწყნარდა, და აი, დარბაზის ყოველ კუთხეში გაისმა ტაშის გრიალი. შეკრებილნი ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს — ამხანაგებს ვ. პ. მჟავანაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ს. ძოწენიძეს, პ. ვ. კოვანოვს, გ. ი. ქადაგიძეს, გ. ნ. ჯიბლაძეს, ფ. დ. დუმბაძეს, მ. ი. კუჭავას, კ. ნ. გლიცკის, ა. ნ. ინაურს, მ. მ. ლელაშვილს, გ. ა. გეგეშიძეს, გ. ი. ჩოგოვაძეს, ი. გ. რთველიაშვილს, ე. ა. შევარდნაძეს, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა შეთაურებს, საბჭოთა კავშირის მარშალს ი. ქ. ბაგრამიანს და ზეიმზე მოწვეულ სხვა სტუმრებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიმართა მოკლე შესავალი სიტყვით:

— ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! — ამბობს იგი.

მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს, მიუხედავად ხშირი გაჭირვებისა და უბედურებისა, გამანადგურებელი შემოსევებისა და შინაომებისა, მაინც ბევრი დღესასწაული გადაუხდია. ეს იყო ან მტერზე გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი, ან ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებთან დაკავშირებული დღესასწაულები.

მაგრამ ვფიქრობ, გამოვხატავ თვითეული თქვენგანის აზრს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი დღევანდელი ზეიმი განსაკუთრებულია. ეს ყველაფრით ჩანს.

დღეს ჩვენ ვაჯამებთ ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის იმ თავდადებული ბრძოლის შედეგს, რომელსაც ისინი ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხების მხარდამხარ ეწეოდნენ თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, იმისათვის, რომ რაც შეიძლება ადრე აღმობრწყინდეს კომუნიზმის ბედნიერი განთიადი.

დღეს ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ იმ ისტორიული დღის 40 წლისთავს, როცა საქართველოში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი წითელი დროშა, იმ დღის 40 წლისთავს, როცა შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უძველესი მებრძოლი რაზმი.

საქართველოსთან ერთად ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს მთელი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი დიდი, მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მთელი ერთსულოვანი, ძმური ოჯახი.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისა და განვითარების საქმეში. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გულითად მადლობას ვუხდით ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს და უწინარეს ყოვლისა დიდ რუს ხალხს დიდი ძმური დახმარებისათვის, რასაც ისინი ყოველთვის უწევდნენ და უწევენ ჩვენს რესპუბლიკას კომუნიზმის მშენებლობაში. **(მჭუხარე ტაში).**

— ჩვენი დღესასწაული, —განაგრძობს ვ. პ. მჟავანაძე, — განსაკუთრებით საზეიმო, სასიხარულოა იმიტომ, რომ ამ ზეიმს იზიარებს ჩვენთან ერთად აქ მყოფი ადამიანი, რომელმაც ჩვენი პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისა და განვითარების საქმეში. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გულითად მადლობას ვუხდით ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს და უწინარეს ყოვლისა დიდ რუს ხალხს დიდი ძმური დახმარებისათვის, რასაც ისინი ყოველთვის უწევდნენ და უწევენ ჩვენს რესპუბლიკას კომუნიზმის მშენებლობაში. **(მჭუხარე ტაში).**

— ჩვენი დღესასწაული, —განაგრძობს ვ. პ. მჟავანაძე, — განსაკუთრებით საზეიმო, სასიხარულოა იმიტომ, რომ ამ ზეიმს იზიარებს ჩვენთან ერთად აქ მყოფი ადამიანი, რომელმაც ჩვენი პლანეტის ყველა კეთილი ნების ადა-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

40

ქართული ბიბლიოთეკა

აყვავდი, ჯურფა ქვეყანაო, ილხინე, ქართველთ მხარეო!

(დასასრული)

მიანის უსაზღვრო სიყვარული დამსახურა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დიდი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნიკიტა სერგის-ძე პირველად როდია ჩვენს რესპუბლიკაში. ამხანაგი ხრუშჩოვი საქართველოში პირველად ჩამოვიდა ღირსახსოვარ 1921 წელს ლეგენდარული განმათავისუფლებელი XI არმიის რიგებში, სულ ახლახან კი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პოწინაველთა თათბირის მუშაობას. ნიკიტა სერგის-ძის ამ ჩამოსვლას ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამ შესანიშნავმა მოვლენამ აღაფრთოვანა რესპუბლიკის მშრომელები ახალი შრომითი გმირობისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. დღესაც ნიკიტა სერგის-ძე ზეიმობს და ხარობს ჩვენთან ერთად. ბრძოლაში, შრომაში, ზეიმში თქვენ ყოველთვის ჩვენთან, ყოველთვის ხალხთან ხართ. ყოველივე ამისათვის დიდი, საყოველთაო-სახალხო მადლობა, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! **(მქუხარე ტაში).**

დღეს ჩვენი გული სიხარულით ბრის გამსჭვალული. იმისათვის, რომ ჩვენთან ერთად გაიზიარონ დიდი ზეიმი, ჩვენთან ჩამოვიდნენ არა სტუმრები, არამედ სტუმრად მოვიდნენ ძვირფასი მეგობრები, ძმები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლები, ხალხებისა, რომლებიც ერთიან, დიდ, მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მხურვალედ, სულითა და გულით მივესალმო ჩვენს ზეიმზე ჩამოსულ დიდი რუსი ხალხისა და რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხანაგ გენადი ივანეს-ძე ვორონოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე უკრაინის მშრომელთა დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ბელორუსიის მშრომელთა დელეგაციას ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ პეტრე მირონის-ძე მაშეროვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე უზბეკეთის მშრომელთა დელეგაციას უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ შარიფ რაშიდოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყაზახეთის მშრომელთა დელეგაციას ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ისაღალი შარიპოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციას აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ველი იუსუპის-ძე ახუნდოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ლიტვის მშრომელთა დელეგაციას ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ იოსებ ანტონის-ძე მანიუშისის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე მოლდავეთის მშრომელთა დელეგაციას მოლდავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ გერმანე ტროფიმეს-ძე აფტენიუკის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ლატვიის მშრომელთა დელეგაციას ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ კლადისლავ ანტონის-ძე აზანის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყირგიზეთის მშრომელთა დელეგაციას ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ საკენა ბეგმეტოვას მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ტაჯიკეთის მშრომელთა დელეგაციას ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯაბარ რასულოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე სომხეთის მშრომელთა დელეგაციას სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ იაკობ ნიკიტასძე ზარობიანის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე თურქმენეთის მშრომელთა დელეგაციას თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ბალიშ ოვეზოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ესტონეთის მშრომელთა დელეგაციას ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ივანე გუსტავის-ძე კებინის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე დაღესტნის მშრომელთა დელეგაციას სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯაბრაილის-ძე დანიალის-ძე დანიალოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ჩაჩნეთ - ინგუშეთის მშრომელთა დელეგაციას ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ილიას აბდულასძე ალმაზოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყაბარდო-ბალყარეთის მშრომელთა დელეგაციას ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ასლანბი ნახოს-ძე ახოხოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთა დელეგაციას სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ივანე გუსტავის-ძე კებინის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს საზეიმო სხდომაში მონაწილეობენ ძველი ბოლშევიკები — უდრეკი ლენინური გვარდიის წარმომადგენლები, ისინი, ვინც პარტიის საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო, ვინც თავდადებით იბრძოდა ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მივესალმო ძველ კომუნისტებს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და კიდევ მრავალი წლის ბედნიერი სიცოცხლე. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული საზეიმო სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები.

სიტყვა ეძლევა პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივანს ვ. მ. სირაძეს. მას წინადადება შეაქვს საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

ამ წინადადებას შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მოხსენებისათვის „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის“ შესახებ სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მომხსენებელი შეეხო ისტორიულ გზას, რომელიც საქართველომ განვლო საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე, გზას, რომელიც გარემოსილია სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით, მოიყვანა მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ რესპუბლიკის მშრომელთა თვალსაჩინო გამარჯვებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მთელ თავიანთ წარმატებებს, ხაზგასმით აღნიშნა ვ. პ. მჟავანაძემ, ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, რომლის ერთგული მებრძოლი რაზმი იყო და არის საქართველოს კომუნისტური პარტია.

საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე პირობას აძლევს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების წარმომადგენლებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მუშები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ არც ძალღონეს, არც ენერგიას იმისათვის, რომ სკკპ XXII ყრილობას შეხვდნენ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ამ სიტყვებს შეკრებილნი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

ვ. პ. მჟავანაძემ გამარჯვება უსურვა საბჭოთა საქართველოს, ჩვენს დიად სამშობლოს, მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს. დარბაზში კვლავ გრიალებს ტაში.

ტრიბუნაზე ადის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. გაიმართა მქუხარე, აღტაცებული ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მკაფიო, აღმაფრთოვანებელი სიტყვა დამსწრეებმა უდიდესი აუჩქარებლობით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

როცა თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, დარბაზში კვლავ გაისმა მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად გადაიქცა. შეკრებილნი ფეხზე ამდგარი მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელოვან ხელმძღვანელს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრების გამოსვლები.

ქართველ ხალხს მიესალმნენ და გულითადად, მეგობრულად მიულოცეს დღესასწაული დელეგაციათა მეთაურებმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ი. ვორონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. მ. მაშეროვმა, უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. შ. შარიპოვმა, აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა, ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ა. მანიუშისმა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტ. აფტენიუკმა, ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. აზანმა.

საზეიმო სხდომის მისაესალმებლად მოვიდა საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდობის დელეგაცია.

სპორტის სასახლეში გაისმის სასულე ორკესტრის ხმები. დარბაზში აწყობრ რიგებად შემოდიან ჭაღიშვილები და ჭაბუკები, პიონერები და მოსწავლეები, საბჭოთა არმიის ახალგაზრდა მეომრები. მათ დაიკავეს ყველა იარუსი, გასასვლელები. სცენაზე ადიან ბავშვები, რომლებსაც ხელში ფერად ყვავილთა თაიგულები უჭირავთ. ტრიბუნასთან არიან საქართველოს ახალგაზრდობისა და კომკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები. გაისმის წკრიალა ხმები. დიდი აღფრთოვანებით, სულითა და გულით ქითხულობენ ქალიშვილები და ჭაბუკები მისალმებას ჭართულ და რუსულ ენებზე ლექსად.

სტროფს სტროფი მოსდევს და იქმნება ლექსი, რომელიც გაისმის როგორც ფიცი პარტიისადმი, ხალხისადმი — ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, მარად ვიყოთ სამშობლოს ერთგულნი.

ტრიბუნაზეა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ისტორიულ დღეებში მთელ საქართველოში გაიმართა კომკავშირელთა ღია კრებები, რომლებმაც განიხილეს და მიიღეს ქართველი ახალგაზრდობის წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი.

— ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, — ამბობს ამხ. შევარდნაძე. — გადმოგცემთ რა ამ წერილს და შეგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა პარტიის, სამშობლოს, ხალხის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წერილის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მთელი ქართველი ახალგაზრდობის გულის სიღრმეში წარმოიშვა, ეს არის ჩვენი თაობის ფიცი, ეს არის სიმბოლო უსაზღვრო ერთგულებისა, შეკავშირებისა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს. და ჩვენ კიდევ და კიდევ საქვეყნოდ ვაცხადებთ: დიდება ჩვენს დიად ლენინურ კომუნისტურ პარტიას! დიდება ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს! ვაშა!

დარბაზი სამგზის იმეორებს: ვაშა! ვაშა! ვაშა! მთელ სპორტის სასახლეში გრიალებს ტაში. ამხ. შევარდნაძემ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს გადასცა მისასალმებელი ადრესი — ქართველი ახალგაზრდობის წერილი. ნიკიტა სერგის-ძემ გულითადად ჩამოართვა ხელი ამხ. შევარდნაძეს, გულთბილად მოეხვია მას და ამით გამოხატა თავისი გრძნობები ქართველი ახალგაზრდობისადმი. ბავშვებმა დიდი თაიგულები მიართვეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ნიკიტა სერგის-ძე ალერსიანად, მამამშვილურად კოცნის პატარებს.

შემდეგ შეკრებილთ მიესალმნენ ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ბ. ბეგმეტოვა, ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რ. რასულოვი, სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი, თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. ოვეზოვი, ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. კებინი, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. დანიალოვი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ალმაზოვი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. ახოხოვი, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. აკკაცევი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. გეგეშიძემ.

მისასალმებელი ადრესი-წერილი ვ. პ. მჟავანაძემ ყველა შეკრებილის განუწყვეტელი ტაშის გრიალში გადასცა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაგრად ჩამოართვა ხელი საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

საბოლოო სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

— ძვირფასო ამხანაგებო! — ამბობს იგი. — ნება მიბოძეთ თქვენი სახელით და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და პირადად ჩვენს ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს გულთბილი სიტყვებისა და გულითადი სურვილებისათვის საქართველოს მშრომელებისადმი სახელოვანი იუბილეს გამო. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად ქართველი ხალხი — რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია კიდევ უფრო მეტად დარაზმავენ თავიანთ რიგებს სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კვლავ უფრო გაადიდებენ შემოქმედებითს აქტივობას ჩვენი პარტიის დიად წინასწარმეტყველთა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მისასალმებელი სიტყვები აღფრთოვანებენ საქართველოს მშრომელებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, ახალი წარმატებებისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. **(მქუხარე ტაში).**

მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობა ჩვენს დღესასწაულში, — განაგრძობს ვ. პ. მჟავანაძე, — ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახის უძლეველ ძალასა და ურღვევ ერთიანობას.

დღეს საქართველოს მშრომელებს გულითადად მიესალმნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები. ნება მიბოძეთ თქვენი სახელითა და მთელი ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენს ძვირფას სტუმრებს მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის და ვთხოვო მათ გადასცენ ყველა მოძმე ხალხს, რომელთა წარმომადგენლებიც ისინი არიან, საქართველოს მშრომელთა მეგობრობის უაღრესად გულწრფელი ძმური გრძნობები, ვუსურვო მათ ახალი დიდი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს მრავალი მისასალმებელი წერილი და დეპეშა. ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც გამოუგზავნა მისალმებანი საქართველოს მშრომელებს იუბილესთან დაკავშირებით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს საზეიმო სხდომას მიესალმნენ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, — ამბობს ვ. პ. მჟავანაძე. — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები და მთელი ახალგაზრდობა ყოველთვის იქნებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში და ღირსეულად გააგრძელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ნდობასა და მამობრივ ზრუნვას. **(მქუხარე ტაში).**

ნება მიბოძეთ ამ საზეიმო დღეს პირობა მივცე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გაადიდონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას! — ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს გენიალური ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს.

დიდებულად ჟღერს პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მელოდია, რომელსაც ფეხზე ამდგარნი მღერიან სხდომის მონაწილენი. ჰიმნის უკანასკნელ სიტყვებს ტაშის გრიალი ფარავს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს: „გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს! ვაშა!“. ამ სიტყვებს დარბაზი მქუხარე ოვაციით ხვდება.

„გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს! ვაშა!“, — ამბობს ვ. პ. მჟავანაძე.

დარბაზი კვლავ ერთსულოვნად და მქუხარედ უკრავს ტაშს, გულითადად მიესალმება ქართველი ხალხის ძვირფას სტუმარს.

აღტაცებულ ტაშის გრიალში გაისმის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები: „გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას! ვაშა“.

დარბაზში კვლავ გაისმის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვები: „გაუმარჯოს ქართველ ხალხს — კომუნიზმის მშენებელს! ვაშა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა — კომუნიზმის მშენებელთა მეგობრობას! ვაშა!“.

ამის პასუხად გაისმის შეძახილები: „ვაშა!“, „ურა!“, „დიდება დიად კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს“.

საზეიმო სხდომა გადაიქცა კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი ქართველი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების, კომუნიზმის დიადი საქმისადმი ურყევი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად. (საქდესი).

თბილისი. 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. სურათზე: **სხდომის დარბაზი.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი
13 მაისი, 1961 წ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მუჟავანაძის მოხსენებიდან

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღეს ჩვენში დიდი დღესასწაულია. რესპუბლიკის მშრომელნი ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან 40 წლისთავს.

ჩვენ ყველანი აქ შევიკრიბეთ, რათა აღვნიშნოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ დღესასწაულს დღეს აღნიშნავენ ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში და არ არის რესპუბლიკაში ისეთი ადამიანი, რომელიც არ იზიარებდეს უდიდესი სიხარულის ამ გრძნობას, არ აღნიშნავდეს ამ დიდ ზეიმს. დიდი ოქტომბრის სინათლე, საბჭოთა ხელისუფლების ჩაუქრობელი სხივები ხომ შეიჭრა ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში და ახალი შუქით გააცისკროვნა ყოველი ადამიანის ცხოვრება.

ახლა ზეიმობს გაზაფხული — ადამიანის ცხოვრების საუკეთესო დრო. იგი ძლევამოსილად იფურჩქნება და სადღესასწაულო მორთულობით კაზმავს დედამიწას. გაზაფხული ყვავილობისა და ბუნების გამოღვიძების დროა. და ეს გაზაფხულის დღეები ყველაზე უკეთ შეესაბამება ჩვენს განწყობილებას, როცა ყველას გულში გაზაფხულია.

ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ და გვახარებს ის, რომ ჩვენს დიად დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს — აღვნიშნავთ იმ დღეებში, რომლებიც სამუდამოდ შევიდა ისტორიაში როგორც დასაწყისი კაცობრიობის ახალი ერისა — კოსმოსში შეღწევის ერისა. სრული ერთი თვე გავიდა იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა საბჭოთა გმირმა იური გაგარინმა განახორციელა ისტორიაში პირველი კოსმოსური გაფრენა საბჭოთა ხომალდ „აღმოსავლეთით“. საბჭოთა მეცნიერების, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ გმირობაში მსოფლიომ დაინახა არა მარტო კაცობრიობის უდიადესი ოცნების განხორციელება, არამედ აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების გამარჯვება, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გამარჯვება, რომლებმაც კომუნიზმის აშენების გზა უჩვენეს კაცობრიობას.

40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების ალისფერი დროშა. 40 წლის წინათ დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, გადაიშალა ახალი ფურცელი მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისა და გამარჯვებათა წლებია, მისი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავების წლებია, ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს სოციალისტურ გარდაქმნათა წლებია.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა, მისი პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების შედეგია.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის, მათი ენთუზიაზმის უმაგალითო აღმაფრენაა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლაა რესპუბლიკის აყვავებისათვის, მათი მზადყოფნაა პირნათლად შეასრულონ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი წინასწარდასახულობა.

და დღეს, გონების თვალს გადავავლებთ რა განვლილ გზას, მთელ 40 წელს, ჩვენ სიყვარულისა და მადლიერების პირველი სიტყვით მივმართავთ დიდ ლენინს — ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს ბელადს.

ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ახალი ერა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი კაცობრიობის ბედისწალში, ახალი ერა, რომლის დაწყება მთელ მსოფლიოს აუწყა ლეგენდარული კრეისერის „ავრორის“ ზალპმა.

ლენინის სახელს ვუკავშირებთ ჩვენ საბჭოთა ხალხის წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

ლენინის სახელს ქართველი ხალხი მჭიდროდ უკავშირებს მთელ თავის მონაპოვარებს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. არასოდეს არ დაივიწყებენ საქართველოს მშრომელნი, რა მზრუნველობას, რა ყურადღებას იჩენდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საქართველოს მიმართ, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ახალგაზრდა რესპუბლიკების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე. თავისი ბრძნული რჩევითა და მითითებებით დიდი ლენინი დაეხმარა კავკასიის კომუნისტებს დაეწყოთ სოციალისტური მშენებლობა, იგი მოუწოდებდა შეექმნათ ამ მრავალეროვან მხარეში „...ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“.

ლენინის იდეები მკაფიოდ გვიჩვენებენ კომუნიზმის გზას. წმიდად ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, ახორციელებენ რა ლენინის რჩევა-მითითებებს, განამტკიცებენ და ავითარებენ რა ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ერთგული ლენინელის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად აყვავდეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყველა საბჭოთა ხალხის ეკონომიკა და კულტურა. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავის დღესასწაული მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი სამშობლო ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. და საქართველოს მშრომელებს შეუძლიათ სამართლიანად იამაყონ, რომ ამ ისტორიულ მოვლენას ისინი ეგებებიან შესანიშნავი გამარჯვებებით.

* * *

ამხანაგებო! ოთხი ათეული წელია საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალ საზოგადოებას აშენებენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად.

საქართველოს მშრომელთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, რაც მიღწეულ იქნა მუშათა კლასისა და გლეხობის მრავალი წლის დაძაბული რევოლუციური ბრძოლის შედეგად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ მოამზადა.

საქართველო ძველი და თვითმყოფი კულტურის ქვეყანაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მაგრამ სახელმწიფო და სამეურნეო დაქსაქსულობამ, ეკონომიურმა დაქვეითებამ, უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელმა შემოსევებმა XVIII საუკუნის დამლევს საქართველო მიიყვანეს ღრმა პოლიტიკურ კრიზისამდე, კულტურულ და ეკონომიურ მოდუნებამდე.

საქართველოს ისტორია ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის, მრავალრიცხოვან უცხოელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაა. ყოველი მტკაველი ქართული მიწა უხვად არის მორწყული მისი შვილების სისხლითა და ოფლით. ქართველი ხალხის მძიმე უთანასწორო ბრძოლა გაგრძელდა XIX საუკუნის დამდეგამდე, როცა საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. ეს იყო საქართველოს ნებაყოფლობით შეერთება რუსეთთან, რის შემდეგაც ქართველმა ხალხმა იხსნა თავი უცხოელთა მუდმივი დამღუპველი შემოსევებისაგან და ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ხელი შეუწყო საქართველოს სამეურნეო და კულტურულ განვითარებას; ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს, რომელმაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვ. ი. ლენინის სიტყვით ისტორიაში უმაგალითო ოდენობით დააგროვა რევოლუციური ენერგია.

თუ მეფის რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“ იყო, რომელიც საქართველოსა და მთელი იმპერიის პროგრესულ მოღვაწეთა მხრივ სიძულვილსა და აღშფოთებას იწვევდა, პუშკინისა და დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და გორკის რუსეთი მათი მიმზიდველი ცენტრი, გულწრფელი მეგობრებისა და დიდი კულტურის ქვეყანა იყო. პროგრესული რუსეთის, რუსი ხალხის სახით ქართველმა ხალხმა შეიძინა უფროსი ძმა და დიდი მოკავშირე საერთო მტრების — ცარიზმის, მემამულეების, კაპიტალისტებისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თბილისი, 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა ვ. პ. მუჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

მას შემდეგ საქართველო არა მარტო იბრძოდა რუსეთთან ერთად, არამედ მათთან ერთად აზროვნებდა, მისი ტანჯვით იტანჯებოდა და მისი სიხარულით ხარობდა.

„ჩვენ, — ამბობდა დიდი ქართველი პოეტი ა. წერეთელი, — დიდად ვაფასებთ ძმურ მეგობრობას რუს ერთან..., რომელთანაც გვინდა მხარდამხარ ვიაროთ, რათა განვახორციელოთ არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე ზოგადკაცობრიული იდეალები, რომლებსაც ძმობა, ერთობა, თანასწორობა ეწოდება“.

დეკაბრისტების, გრიბოედოვის, პუშკინის, ხოლო უფრო გვიან ლერმონტოვისა და სხვების ყოფნას საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსი და ქართველი ხალხების სულიერი დაახლოებისათვის.

საქართველოს თავისებური ცხოვრება, მისი ისტორიული წარსული, რომელიც თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის შარავანდედით არის მოსილი, მისი წარმტაცი სილამაზის ბუნება მდიდარ მასალას აძლევს რუსული კულტურის მოღვაწეებსაც. საქართველოს ახლო გაცნობამ საშუალება მისცა მათ შეექმნათ ეპოქის მოწინავე იდეებით, ქართველი ხალხისადმი მეგობრობისა და სიყვარულის იდეებით გამსჭვალული მთელი რიგი ნაწარმოებები.

ახალი ეტაპი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განვითარებაში იწყება XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში — XX საუკუნის დამდეგს, როცა განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი ძალა ხდება პროლეტარიატი — ერთადერთი ბოლომდე თანამიმდევრული რევოლუციური კლასი. ამიერიდან ხალხთა მეგობრობისათვის, მათი სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში უდგას დიადი პარტია, რომელიც შექმნა და რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი.

რუსეთის მუშათა კლასის გმირული გამოსვლების გავლენით, მისი მუდმივი მხარდაჭერითა და დახმარებით საქართველოს მშრომელები დაირაზმნენ მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ქართველი ხალხი ამაყობს თავისი რევოლუციური ტრადიციებით, იმით, რომ მან წარმოშვა ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლები.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო მტკიცე რევოლუციონერი, მარქსისტი-ლენინელი ოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე შესანიშნავი რევოლუციონერები — ლ. კეცხოველი **(ტაში)**, ა. წულუკიძე **(ტაში)**, ვ. ცხაკაია **(ტაში)**, პ. ჯაფარიძე **(ტაში)**, ს. შაუმიანი **(ტაში)**, ს. ორჯონიკიძე **(ტაში)**, ფ. მახარაძე **(ტაში)**, მ. ორახელაშვილი **(ტაში)** და სხვები.

ქართველი ხალხი ღრმად ინახავს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების — მ. კალინინის, ს. კიროვის **(ტაში)**, ვ. კურნატოვსკის, ა. მიასნიკოვის, თ. ანდანიების, ი. ლუზინის, მაქსიმ გორკისა **(ხანგრძლივი ტაში)** და ბევრ სხვათა ხსოვნას, რომელნიც სხვადასხვა დროს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების ერთგულნი, მაგალითს იძლეოდნენ მრავალეროვანი მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობის სულისკვეთებით აღზრდაში.

ლენინს მიაჩნდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების აგების ეს ინტერნაციონალური პრინციპი იყო „ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა. ერთადერთი გადაწყვეტა“. (ტ. 35. გვ. 76).

ვ. ი. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს შეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ძლიერი სულისკვეთება, ორგანიზებულობა და მასობრიობა, ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მარქსისტთა თვალსაჩინო დამსახურება ჩვენი პარტიის შექმნისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში და მსოფლიოს ყველა ხალხს დაუსახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზა.

მას შემდეგ, რაც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, საქართველოში ძალაუფლება დროებით ხელში ჩაიგდო მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ.

თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა საქართველოში ხალხის მოღალატეების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების — ქართველი მენშევიკების ბატონობის პერიოდი. მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში აწარმოებდნენ დაძაბულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ამ ბრძოლაში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, გაიზარდა მათი გავლენა მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასებზე, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ცალკეული პარტიული ორგანიზაციები გაერთიანებულიყვნენ და შექმნილიყო საქართველოს კომუნისტური პარტია. ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო ის, რომ 1920 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია, როგორც შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბ), რომელიც აგებული იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს კომუნისტური პარტია პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

1921 წლის თებერვალში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გათვალისწინა რა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ აჯანყებულები უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ მრავალრიცხოვანი და შეიარაღებული მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც სხვადასხვა დროს ინგლისელი და გერმანელი ინტერვენტები დაეხმარნენ. ამ ძნელ დროს საქართველოს რევკომმა დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მუშებსა და გლეხებს დაეხმარა მამაცი მე-11 წითელი არმია, რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით საქართველოს მშრომელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა 25 თებერვალს გაათავისუფლეს თბილისი. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ **(ტაში).**

ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია სწრაფად მოედო მთელ საქართველოს 1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აფხაზეთში. 5 მარტს აჯანყებულებმა გაათავისუფლეს ცხინვალი (ქ. სტალინირი) და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება; 18 მარტს მენშევიკური მთავრობა განდევნილ იქნა უკანასკნელი თავშესაფრიდან — ბათუმიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

დიდი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა რუსეთის მშრომელები ქართველი ხალხის გამარჯვებას. „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“ — სწერდა ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 2 მარტს. **(ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლება. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციის პლაცდარმიდან ამიერკავკასია გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად; ძირეული შემობრუნება მოხდა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში. დაიწყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ერა — საქართველოს აღორძინებისა და ყოველმხრივი განვითარების ერა, ღრმა რევოლუციური გარდაქმნათა განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის ერა.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ბრძნული ლენინური გეგმა, წარმატებით შეასრულეს ხუთწლედების დავალებანი, განახორციელეს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია, მისი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია.

საქართველომ მოკლე ისტორიულ ვადაში მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად გიგანტური ნახტომი გაკეთა და მეფის რუსეთის ეს ჩამორჩენილი განაპირა მხარე გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა და აყვავებული კულტურა.

დიდი სამამულო ომი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობის, ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი მისი ერთგულების ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი ერთგულების მკაცრი შემოწმება იყო. ომის წლებში გმირის უკვდავი სახელი მოიხვეჭა ქართველი ხალხის ბევრმა შვილმა — ნიჭიერმა მხედართმთავრებმა ლესელიძემ, ჩანჩიბაძემ, უშიშარმა მეომრებმა ბაქრაძემ, ბუხაიძემ, ადამიამ, გეგეშიძემ, თავდადებულმა თინა იოსებიძემ, სახელოვანმა პარტიზანმა ზოია რუხაძემ, რომელმაც ისე როგორც ზოია კოსმოდემიანსკაიამ, სიცოცხლე შესწირა სამშობლოს ბედნიერებას, და ბევრმა სხვამ.

ომის შემდეგ საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ მკვეთრ აღმავლობასა და კულტურის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ). პლენუმის, სკკპ XX და XXI ყრილობების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულმა დადგენილებებმა.

პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ჭეშმარიტად რევოლუციური, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები — გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები მეურნეობისა და კულტურის მართვაში, ძირეულად გარდაიქმნა მრეწველობისა და მშენებლობის მართვა, გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა და სხვ. ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საქართველოს მშრომელები თავიანთ მეორმოცე წლისთავს ეგებებიან ახალი შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. 1960 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 40-ჯერ გაიზარდა, აქედან მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ. ახლა რესპუბლიკაში ვიღებთ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და ვაწარმოებთ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს. ერთ სულ მოსახლეზე ჩვენში 8-ჯერ მეტი ელექტროენერგია მოდის, ვიდრე მეზობელ თურქეთში.

საქართველო დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი მრეწველობის რესპუბლიკაა. აქ არის ისეთი დარგები, როგორც ელექტროენერგეტიკის, ქვანახშირის, მეტალურგიული, ჩარხსამშენებლო, ავტომობილსამშენებლო, მანქანათსამშენებლო, ქიმიური, ელექტრონიკული, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, მსუბუქი, კვებისა და ბევრი სხვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და ამუშავდა დაახლოებით 1.000 სამრეწველო საწარმო.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი შემოქმედებითი ძალის, თანამეგობრობის მკაფიო. შესანიშნავი მაგალითი, მისი ცოცხალი განსახიერებაა ქართული შავი მეტალურგიის შექმნის ისტორია — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნისა და საქართველოს მეტალურგთა ქალაქის რუსთავის მშენებლობა. ურალის, დონბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ინდუსტრიული ცენტრების მეტალურგიულ საწარმოებში ისწავლეს ახლანდელმა მეფოლადეებმა და მებრძმედეებმა, მგლინავებმა და კოქსქიმიკოსებმა. რუსთავის ქარხნისათვის მთელი მოწყობილობა რუსეთის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მანქანათმშენებლების ხელით გაკეთდა.

ამხანაგებო! თბილისს რომ უახლოვდებით საქართველოს სამხედრო გზით, თქვენს თვალს იტაცებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ძეგლი, ხოლო ცოტას რომ გამოსცდებით, ზედავთ მეორე ძეგლს — ელექტროფიკაციის დიადი ლენინური იდეის განხორციელების პირველ ძეგლს ამიერკავკასიაში — ზემო ავჭალის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურს, რომლის მშენებლობა დაიწყო 1922 წელს და რომელიც ამუშავდა 1927 წელს.

ახორციელებენ რა ლენინის ბრძნულ მითითებებს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ, საქართველოს მშრომელებმა შექმნეს მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც ამჟამად გაერთიანებულია ამიერკავკასიის ერთიან ენერგეტიკულ სისტემად. ენერგეტიკული რგოლი, რომელიც მოიცავს ამიერკავკასიის სამ მოძმე რესპუბლიკას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, განასახიერებს კომუნიზმის მშენებლობის იდეით გაერთიანებული ჩვენი ხალხების განუყრელ ძმურ თანამეგობრობას.

საქართველოს ენერგეტიკას კიდევ უფრო დიდებულ პერსპექტივებს უსახავს ახლანდელი შვიდწლედი. საკავშირო მთავრობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უდიდესი დახმარების მეოხებით გადაჭრილია მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. ეს ყველაზე მძლავრი ელექტროსადგური იქნება კავკასიაში. ელექტროენერგიის გამომუშავებით ენგურის ჰიდროელექტროსადგური გადააჭარბებს რესპუბლიკის ამჟამად არსებულ ყველა ელექტროსადგურს ერთად, ამასთან კილოვატსაათის თვითღირებულება მხოლოდ 0,07 კაპიკი იქნება. ამრიგად, ენგურჰესი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე იაფ ელექტროენერგიას მოგვცემს.

ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ისეთი უდიდესი საწარმოებით, როგორიც არის თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა — პირმშო მრეწველობის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ჭეშმარიტად რევოლუციური, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები — გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები მეურნეობისა და კულტურის მართვაში, ძირეულად გარდაიქმნა მრეწველობისა და მშენებლობის მართვა, გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა და სხვ. ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საქართველოს მშრომელები თავიანთ მეორმოცე წლისთავს ეგებებიან ახალი შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. 1960 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 40-ჯერ გაიზარდა, აქედან მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ. ახლა რესპუბლიკაში ვიღებთ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და ვაწარმოებთ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს. ერთ სულ მოსახლეზე ჩვენში 8-ჯერ მეტი ელექტროენერგია მოდის, ვიდრე მეზობელ თურქეთში.

საქართველო დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი მრეწველობის რესპუბლიკაა. აქ არის ისეთი დარგები, როგორც ელექტროენერგეტიკის, ქვანახშირის, მეტალურგიული, ჩარხსამშენებლო, ავტომობილსამშენებლო, მანქანათსამშენებლო, ქიმიური, ელექტრონიკული, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, მსუბუქი, კვებისა და ბევრი სხვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და ამუშავდა დაახლოებით 1.000 სამრეწველო საწარმო.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი შემოქმედებითი ძალის, თანამეგობრობის მკაფიო. შესანიშნავი მაგალითი, მისი ცოცხალი განსახიერებაა ქართული შავი მეტალურგიის შექმნის ისტორია — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნისა და საქართველოს მეტალურგთა ქალაქის რუსთავის მშენებლობა. ურალის, დონბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ინდუსტრიული ცენტრების მეტალურგიულ საწარმოებში ისწავლეს ახლანდელმა მეფოლადეებმა და მებრძმედეებმა, მგლინავებმა და კოქსქიმიკოსებმა. რუსთავის ქარხნისათვის მთელი მოწყობილობა რუსეთის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მანქანათმშენებლების ხელით გაკეთდა.

ამხანაგებო! თბილისს რომ უახლოვდებით საქართველოს სამხედრო გზით, თქვენს თვალს იტაცებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ძეგლი, ხოლო ცოტას რომ გამოსცდებით, ზედავთ მეორე ძეგლს — ელექტროფიკაციის დიადი ლენინური იდეის განხორციელების პირველ ძეგლს ამიერკავკასიაში — ზემო ავჭალის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურს, რომლის მშენებლობა დაიწყო 1922 წელს და რომელიც ამუშავდა 1927 წელს.

ახორციელებენ რა ლენინის ბრძნულ მითითებებს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ, საქართველოს მშრომელებმა შექმნეს მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც ამჟამად გაერთიანებულია ამიერკავკასიის ერთიან ენერგეტიკულ სისტემად. ენერგეტიკული რგოლი, რომელიც მოიცავს ამიერკავკასიის სამ მოძმე რესპუბლიკას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, განასახიერებს კომუნიზმის მშენებლობის იდეით გაერთიანებული ჩვენი ხალხების განუყრელ ძმურ თანამეგობრობას.

საქართველოს ენერგეტიკას კიდევ უფრო დიდებულ პერსპექტივებს უსახავს ახლანდელი შვიდწლედი. საკავშირო მთავრობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უდიდესი დახმარების მეოხებით გადაჭრილია მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. ეს ყველაზე მძლავრი ელექტროსადგური იქნება კავკასიაში. ელექტროენერგიის გამომუშავებით ენგურის ჰიდროელექტროსადგური გადააჭარბებს რესპუბლიკის ამჟამად არსებულ ყველა ელექტროსადგურს ერთად, ამასთან კილოვატსაათის თვითღირებულება მხოლოდ 0,07 კაპიკი იქნება. ამრიგად, ენგურჰესი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე იაფ ელექტროენერგიას მოგვცემს.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივითა და მითითებით განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რესპუბლიკაში ელექტრონული მრეწველობა. იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა, მხოლოდ 4 წლისაა, მაგრამ საქართველოში ინდუსტრიის ამ ახალი დარგის ბევრი საწარმო უკვე გაჩნდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სტალინირსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ახლა ისინი 50-მდე სახეობის პროდუქციას უშვებენ. საქართველოს მშრომელთა განსაკუთრებულ სიამაყეს შეადგენს ყარადაღ-თბილისის გაზსსადენი, რომელსაც სამართლიანად ეწოდა მეგობრობის ტრასა, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური საკვლევი რეაქტორი.

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების დასასრული

საქართველოში სწრაფად ვითარდება მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა.

წარმატებით მუშაობენ ამ რამდენიმე წლის წინათ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით შექმნილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც ამუშავებენ კიბერნეტიკული სისტემების, ელექტრონული მათემატიკური მანქანების, ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა ახალ ფიზიკურ პრინციპებს.

დღეისათვის ამ ახალგაზრდა კოლექტივებმა უკვე შექმნეს და წარმოებაში ინერგება ფეროსაბონი ღუმელების, ბოვების, ლითონსაჭრელი ჩარხების. აგრეთვე ნავთობის, ჩაის მრეწველობისა და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების აგრეგატებისა და აპარატების ავტომატური მართვის უნიკალური მანქანები.

საქართველოს სახელოვანმა მუშათა კლასმა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი თავდადებული შრომით შექმნა დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, თავისი რიგებიდან მოგვცა სამრეწველო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორების, ნამდვილი ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების, მომავლის მზვერავების — კომუნისტური შრომის დამკვრელების შესანიშნავი არმია.

მთელი ჩვენი რესპუბლიკა იცნობს კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელმოხვეჭილ ხელმძღვანელებს — გურამ ჩადუნელს, არჩილ ძამაშვილს, ამირან ფანცულაიას, ზაურ რუსიას, ელენე გეგელაშვილს, შოთა კუბლაშვილს, პოლინა ბოგდანოვას, მიხეილ ბაღდასაროვს, კუჩკონ ლეიბას, დავით თედეევსა და ბევრს სხვას. თავიანთი თავდადებული შრომით ისინი ამრავლებენ სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებებს, აჩქარებენ საქართველოს სამრეწველო წარმოების განვითარებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა. საქართველოს სწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რაც ცხოველი და მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ პარტიის გეგმები მთლიანად და ვადამდე განხორციელდება.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით საქართველოს სახელოვანი ეროვნული დღესასწაულის დღეს მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ მუშათა კლასს, რომელიც ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდებულ დავალებებს, რომლებიც განსახიერებულია საქართველოს შვიდწლიან გეგმაში. **(ტაში).**

მრეწველობის მხარდამხარ მიდის ჩვენი სოფლის მეურნეობა. მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, ეთერზეთოვანი კულტურები რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენენ. **(ტაში).**

საბჭოთა წლებმა, სასწაულებრივად გარდაქმნა ქართული სოფლის სახე. გაუვალი ველური ბუჩქნარები, უნაყოფო ველები და დაჭაობებული, დამლაშებული მიწები აყვავებულმა ბაღებმა და პლანტაციებმა, ნაყოფიერმა მინდვრებმა და ბოსტნებმა შეცვალა. რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ეყრდნობა უახლეს თანამედროვე სამამულო ტექნიკას.

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები“ — ლენინის ამ სპარტაკიადის სიტყვებმა, რომლებიც ნათქვამია დიდი ბელადის ცნობილ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს, დარაზმეს რესპუბლიკის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დასანერგავად. ახლა მარტო სუბტროპიკულ ნარგავებს ასი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ნაცვლად 1921 წლის 1.435 ჰექტარისა.

იმ შესანიშნავი გზის საილუსტრაციოდ, რომელიც ჩვენმა სოფლის მეურნეობამ განვლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ასეთი ციფრები. 1921 წელს საქართველოში მოკრეფილ იქნა 550 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1960 წელს 157 ათასი ტონა. 285-ჯერ მეტი! **(ტაში).**

ჩაის პლანტაციებს საქართველოში ახლა დაახლოებით 60.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს (ნაცვლად 1921 წლის 1000 ჰექტარისა), ამასთან მეჩაიეობა ჩვენში განვითარებულია სულ სხვადასხვა რაიონში, მათ შორის საბჭოთა სუბტროპიკების ყველაზე ჩრდილოეთ რაიონებშიც. ამ ოცდაათი წლის წინათ იწყებისიდან მოწვეულმა მეჩაიეობის დარგის დიდმა სპეციალისტმა დოქტორმა ჰაროლდ მანმა დაიწუნა ზუგდიდის რაიონის ნიადაგები. „არაფერი გამოგვავათო“. ამტკიცებდა მედიდური კონსულტანტი. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა და კოლმეურნეებმა არ დაუჯერეს ცნობილ უცხოელს. მათ გააშენეს აქ პლანტაციები და მოჰყავთ რეკორდული მოსავალი, ხოლო რაც შეეხება ამავე ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, მან 1960 წელს რესპუბლიკაში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების შვიდწლიანი დავალება. **(ტაში).**

დაე ჩამოვიდნენ ახლა საქართველოში ბატონი მანი და მისი კოლეგები, მაგრამ არა იმისათვის, რომ კონსულტაცია გაუწიონ ჩვენს მეჩაიეებს, არამედ იმისათვის, რომ ისწავლონ, როგორ უნდა უხვი მოსავლის მოყვანა და ფოთლის კრეფის მექანიზება. **(ტაში).**

რაც შეეხება ციტრუსებს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ეს კულტურები უცხო რამ იყო. შარშან ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ხუთას მილიონ ცალზე მეტი ქართული მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, აგრეთვე ათეულ ათასობით ტონა ყურძენი და ხილი, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე აწარმოებდნენ რევოლუციამდე.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1953 წლის სექტემბრის შემდეგ, როცა სოფლის მშრომელებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ჰეშმარიტად რევოლუციურ ღონისძიებათა საფუძველზე გააჩაღეს დაუცხრომელი ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. უკანასკნელ შვიდ წელიწადში წინა შვიდ წელიწადთან შედარებით საქართველოს მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს მეტი: ჩაის ფოთოლი 347.000 ტონა, ყურძენი — 408.000 ტონა, კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფი — 283.500 ტონა, ხორცი — 134.000 ტონა და რძე — 301.000 ტონა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ციტრუსების, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში.

თავის წარმატებებს ქართველი გლეხობა უნდა უმადლოდეს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, საკოლმეურნეო წყობილებას. სწორედ მათ მოუტანეს მას შეძლებული და კულტურული ცხოვრება, რაზეც წინათ ოცნებაც არ შეეძლო. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1959-1960 წლებში 1940 წელთან შედარებით 4,7-ჯერ გაიზარდა და 1953 წელთან შედარებით 1,5-ჯერ, რომ აღარაფერი ვთქვათ ნატურალური შემოსავლის განუწყვეტელ ზრდაზე. ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნის შრომადღის ღირებულება.

სოფლის მშრომელთა შთაგონებულმა, დაუცხრომელმა ბრძოლამ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ დაწყერდნენ მიღწეულს. ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა და მთლიანად გამოვიყენოთ ამისათვის არსებული რეზერვები, ჩვენში ყოველგვარი შესაძლებლობაა — უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფართოდ დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, მხარი გავუსწოროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებში ამ პლენუმზე, აგრეთვე უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირებზე ღრმად და ყოველმხრივ არის განზოგადებული პარტიის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის გამოცდილება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, გამოვლინებულია მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, მხილებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრულია მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გზები.

თქვენი სერიოზული კრიტიკული შენიშვნები და ძვირფასი რჩევა-დარიგება, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ; დაგვეხმარა გამოგვეკვლიებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები, დაგვესახა კონკრეტული გზები ახალი ზღუდეების მიღწევისათვის, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განსაზღვრა. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა აღმოვფხვრათ მეცხოველეობის ხანგრძლივი ჩამორჩენა.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა კონკრეტული საქმეებით უპასუხებს მამობრივ ზრუნვას პარტიის ცენტრალური კომიტეტისას, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის (106 პროცენტით), რძისა (105 პროცენტით) და კვერცხის (111 პროცენტით) მიყიდვის გეგმა.

მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში (სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე მოკრეფილია პირველი ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი), ბაღებსა და ვენახებში ამ საგაზაფხულო სამუშაოთა გაცხარებულ დღეებში კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშათა და მოსამსახურეთა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მთელი ძალ-ღონე ხმარდება იმას, რომ უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში არსებული ნაკლოვანებანი და გადავქციოთ 1961 წელი გარდატეხის წლად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის წლად.

საგაზაფხულო თესვა საქართველოში ყოველთვის უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მაგრამ მიმდინარე წელს თესვა ჩვენში განსაკუთრებით დამკვრელურად, მებრძოლურად, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა. ჩვენში არასოდეს არ დათესილა სამინდი კვადრატულ-ბუდობრივად ისე დიდ ფართობებზე, როგორც მიმდინარე გაზაფხულზე დაითესა. მიმდინარე წელს ამ წესით ნათესი ფართობი შარშანდელს რამდენჯერმე აღემატება. ეს გასაგებიც არის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ხომ აღუთქვეს პარტიას, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ სიმინდის მთელი ნათესი ფართობიდან გამოყოფენ 60 ათას ჰექტარ უხვმოსავლიან ნაკვეთს და ჰექტარზე მოიყვანენ 60 ცენტნერ მარცვალს.

აქ, ნიკიტა სერგის-ძევ, გვესწრება ბევრი კოლმეურნე ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, ვფიქრობ, რომ ისინი და საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი შეასრულებენ თავიანთ დაპირებას — მიაღწიონ 1961 წელს გარდატეხას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტია, ასრულებს რა დიდი ლენინის ანდერძს, დაუცხრომლად ზრუნავს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მის მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ციფრს. უკანასკნელ ოც წელიწადში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 2,8-ჯერ გაიზარდა. შარშან მოსახლეობას მიეყიდა ხორცი და ხორცის პროდუქტები — 3,7-ჯერ, ერბო-კარაქი — 2,1-ჯერ, ყველი — 6-ჯერ, შაქარი — 5-ჯერ და მეტი, ქსოვილები — 3,3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმელი — 2,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მარტო უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში სახელმწიფომ ჩვენს რესპუბლიკაში ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 2 მილიონი კვადრატული მეტრია, ესე იგი რევოლუციამდელი საქართველოს ქალაქების საცხოვრებელ ფონდზე ორჯერ მეტი. სოფლად კი აშენებულია 46 ათასი სახლი. ამრიგად, წარმატებით სრულდება პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს 10-12 წელიწადში უზრუნველვყოთ თვითეული ოჯახი ცალკე ბინით.

ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაღალი დონით. ერთ სულ მოსახლეზე ექიმთა რაოდენობით საბჭოთა საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სიკვდილიანობა საქართველოში მკვეთრად შემცირდა და უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე დანიაში, ნორვეგიაში, შვეციასა და ნიდერლანდში, იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ კაპიტალისტურ სამყაროში.

საქართველო მდიდარია კურორტებით. საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა ჯანმრთელობის დაცვის 120-ზე მეტი შესანიშნავი ქერა, რომლებშიც ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ნახევარ მილიონამდე მშრომელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაში განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა. სოციალისტური წყობილების დიად გარდამქმნელ ძალას მკაფიოდ გამოხატავს კულტურული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ძველი დროის მძიმე მემკვიდრეობა — უწიგნურობა. ახლა საქართველო მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკაა, იგი დაფარულია სასწავლებლების ფართო ქსელით. ახლა ჩვენში 4.664 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც სწავლობს 700 ათასზე მეტი კაცი. ამ სკოლებში მუშაობს 58 ათასი მასწავლებელი. ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკა უსწრებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და ინგლისს.

ჩვენი სკოლები ახლა წლითიწლობით მეტ და მეტ ახალგაზრდობას უშვებენ, რომელიც ძირითადად მომზადებულია ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის. აქ იჩინა თავი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა გადაწყვეტილებამ სწავლების მთელი სისტემის გარდაქმნის, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების შეხამების შესახებ, გადაწყვეტილებამ, რომელიც შემუშავებულ იქნა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ინიციატივით. საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელი მუშაობს. რესპუბლიკაში ყოველ ათას კაცზე სწავლობს სამჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა სახალხო ინტელიგენციის მძლავრი რაზმი, რომელშიც ახლა ირიცხება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 300 ათასზე მეტი სპეციალისტი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება. ახლა საქართველოში მუშაობს დიდი მეცნიერული ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ჩვენში არის დაახლოებით 175 დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიურო, ლაბორატორია და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი. მეცნიერთა ცხრაათასიანი არმია, რომელთა შორის ოთხი ათასამდე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია, ამუშავებს აქტუალურ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მეცნიერულ პრობლემებს.

დიდი წარმატებებია მოპოვებული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში. ქართველ პოეტთა და მწერალთა ბევრი ნაწარმოები თარგმნილია მოძმე საბჭოთა ხალხების ენებსა და უცხო ენებზე, ქართველ დრამატურგთა პიესებსა და ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალურ ნაწარმოებებს არა ერთხელ მოუპოვებიათ საყოველთაო აღიარება, ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა, კინემატოგრაფიის მოღვაწეთა ნამუშევრებს მაღალი შეფასება დაუმსახურებიათ, ქართველი ხალხის ცეკვებმა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ადამიანები მოხიბლა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი ტრადიციები აქვს, ახალი ფორმებით გამდიდრდა, ახალი შინაარსი შეიძინა. ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებებს მკაფიოდ მოწმობს, ქართული საბჭოთა სოციალისტური კულტურის მიღწევებს ცხადყოფს ჩვენი დეკადა მოსკოვში 1958 წელს და ქართული კულტურის საღამოები, მიძღვნილი საქართველოს სახელოვანი 40 წლისთავისადმი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაიმართა გასული თვის დამლევს.

ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებს, მწერლებს, კომპოზიტორებსა და მხატვრებს, საბჭოთა საქართველოს კულტურის ყველა მოღვაწეს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი, ახალი მიღწევები, რომლებითაც საბჭოთა ხალხს შეეძლება იამაყოს. **(ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, დიდი ისტორიული ვადის, სამი საუკუნის მანძილზე გამოიცა დაახლოებით 6 ათასი წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი ერთი მილიონი ცალი იყო. ხოლო საბჭოთა საქართველოში მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოიცა 4.700 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 24 მილიონ ცალს აღემატება.

ჩვენს რესპუბლიკაში ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ ენებზე გამოდის 138 გაზეთი, 123 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემები.

ქართველი ხალხი თავის დედაენაზე კითხულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების, სსრ კავშირის ხალხთა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მწერლების და კაპიტალისტური სამყაროს პროგრესული მწერლების ნაწარმოებებს.

ამხანაგებო! სსრ კავშირის ხალხთა ცხოველმყოფელ მეგობრობას უაღრესად ფართოდ და ყოველმხრივ გამოხატავს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საწარმოო კავშირის გაფართოება, საბჭოთა ხალხების თანამშრომლობა და ურთიერთ დახმარება, მათი შეჯიბრება, მოწინავე გამოცდილების, შრომის საუკეთესო მეთოდების ურთიერთ შესწავლა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შემოწმება, ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრება, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ტრადიციული გახდა რუსთაველისა და სუმბაითის მეტალურგების, ჭიათურისა და ნიკოპოლის ჰაღაროელების, ტყვარჩელისა და დონბასის მეშახტეების, თბილისისა და ერევნის ჩარხმშენებლების, ქუთაისისა და კიროვაბადის და ლენინაკანის ფეიქრების და სხვათა შეჯიბრება.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს მახარაძისა და გენიჩესკის, კალინოვკისა და ბოლნისის კოლმეურნეთა შეჯიბრებას.

ხალხთა ძმურ მეგობრობას მკაფიოდ გამოხატავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება.

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელები მთელ თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, რომლის ერთგული მებრძოლი რაზმი იყო და არის საქართველოს კომუნისტური პარტია.

დიადი სოციალისტური გარდაქმნებისათვის ბრძოლაში, ჩვენი ხალხის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომპარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, გაიზარდა, გამოიწრთო, დავაჟკაცდა, დიდი გამოცდილება შეიძინა. ამჟამად მის რიგებში ირიცხება პარტიის 217.000 წევრი და კანდიდატი.

სულ უფრო და უფრო ძლიერდება საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი რესპუბლიკის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. კომპარტია ყოველთვის ზრუნავს იმისათვის, რომ გააძლიეროს თავისი გავლენა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. კომუნისტები მუდამ იქ არიან, სადაც წყდება მთავარი ამოცანები, — კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

საქართველოს პატრიოტული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, აღწევენ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების გახუხრელად დაცვას, იდეოლოგიური მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, უზრუნველყოფენ ამ მუშაობის მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, მშრომელთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ლენინური იდეებით. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დიდად აფასებდეს სოციალისტური წყობილების მონაპოვრებს, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჰაბუკები გახდნენ ახალი ცხოვრების აქტიური, შეგნებული შემოქმედნი, კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლნი.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთელი ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ და სავსებით იზიარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის ნოემბრის თათბირზე მიღებულ განცხადებას და მომართვას მსოფლიოს ხალხებისადმი — ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებშიც მსოფლიოს განვითარების ლენინური ანალიზის საფუძველზე მოცემულია თანამედროვე ეპოქის თავისებურებათა ღრმა დახასიათება და განსაზღვრულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების გზები.

კომუნისტური პარტიის ძალას წარმოადგენს მშრომელ მასებთან მუდმივად მზარდი და სულ უფრო მტკიცე კავშირი, ხალხთან განუყრელი ერთიანობა, საქართველოს კომპარტია დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ ამაღლდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა ყველა სხვა მასობრივი ორგანიზაციის როლი და აქტივობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეა ლენინური კომკავშირი, რომლის რიგებშიც კომუნისტური აღზრდის სკოლას გადის რესპუბლიკის ახალგაზრდობის 350 ათასი მოწინავე წარმომადგენელი.

ამხანაგებო!

დღეს მთელი მსოფლიოს ხალხები რეალურად ხედავენ, რომ კაცობრიობის ყველაზე დიად, ყველაზე ჰუმანურ იდეალებს განასახიერებს კომუნიზმი.

გულში გვწვდება და ჩვენი დიადი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით ვავსებს ის კავშირის მინიერ ხალხთა მეგობრობის ერთიანობა, დიდი მებრძოლი ერთობა, რომელიც ჩვენ ბრუშჩოვის ერთგულ ერთობა ერთგულ ერთობა ერთგულ ერთობა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღეს საქართველოს მშრომელნი და მათთან ერთად მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა, მრავალი საბჭოთა ხალხების მთელი მეგობრული ოჯახი აღნიშნავენ თქვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავს.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ყველა მშრომელს, ვუსურვო თქვენს რესპუბლიკას, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ბედნიერება და აყვავება, შემდგომი შრომითი წარმატებები ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან მეორმოცე წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის დიდი აღმავლობის ვითარებაში. მთელ ჩვენს ქვეყანაში მძლავრად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად, ყველგან ჩაღდება ბრძოლა შვიდწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა.

როგორც ცნობილია, სკკპ XXII ყრილობა განიხილავს და მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას. პარტიის მოქმედი პროგრამა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში დაამტკიცა რკპ (ბ) VIII ყრილობამ. ეს იყო სამოქალაქო ომის მრასხანე წლები, როცა საბჭოთა რესპუბლიკა უმაგალითო ნგრევის, შიმშილისა და სიცივის მძიმე პირობებში იცავდა ოქტომბრის მონაპოვრებს. იმ მრისხანე წლებში სოციალიზმი იყო ჯერ კიდევ მხოლოდ მშვენიერი ოცნება, მაგრამ რეალური ოცნება, მეცნიერულად დასაბუთებული დიდი ლენინის მიერ. პარტიას უკვე მაშინ მიაჩნდა თავის ძირითად მიზნად და ბრძოლის მთავარ აზრად ის, რომ აეშენებინა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, და ეს ასახული იყო მის მიერ მიღებულ პროგრამაში.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის მეორე პროგრამა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შეიმუშავა, ჩვენმა პარტიამ პირნათლად შეასრულა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყანაში. ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. აი ძირითადი შედეგი ჩვენი გამარჯვებების და მონაპოვრებისა, რომლებსაც ვერავინ და ვერასოდეს ვერ წაგვართმევს. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან მეორმოცე წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის დიდი აღმავლობის ვითარებაში. მთელ ჩვენს ქვეყანაში მძლავრად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად, ყველგან ჩაღდება ბრძოლა შვიდწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა.

როგორც ცნობილია, სკკპ XXII ყრილობა განიხილავს და მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას. პარტიის მოქმედი პროგრამა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში დაამტკიცა რკპ (ბ) VIII ყრილობამ. ეს იყო სამოქალაქო ომის მრასხანე წლები, როცა საბჭოთა რესპუბლიკა უმაგალითო ნგრევის, შიმშილისა და სიცივის მძიმე პირობებში იცავდა ოქტომბრის მონაპოვრებს. იმ მრისხანე წლებში სოციალიზმი იყო ჯერ კიდევ მხოლოდ მშვენიერი ოცნება, მაგრამ რეალური ოცნება, მეცნიერულად დასაბუთებული დიდი ლენინის მიერ. პარტიას უკვე მაშინ მიაჩნდა თავის ძირითად მიზნად და ბრძოლის მთავარ აზრად ის, რომ აეშენებინა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, და ეს ასახული იყო მის მიერ მიღებულ პროგრამაში.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის მეორე პროგრამა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შეიმუშავა, ჩვენმა პარტიამ პირნათლად შეასრულა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყანაში. ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. აი ძირითადი შედეგი ჩვენი გამარჯვებების და მონაპოვრებისა, რომლებსაც ვერავინ და ვერასოდეს ვერ წაგვართმევს. **(ხანგრძლივი ტაში).**



თბილისი, 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა ნ. ს. ხრუშჩოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

ხალხის მეცადინეობით, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ისტორიულ ვადაში დააღწია თავი საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას და ისეთი გიგანტური ნაბიჯი გადადგა პროგრესის გზათ, რომ ზოგჯერ ჩვენც კი, კომუნისტებს, სუნთქვა გვეკვრის. აბა წარმოიდგინეთ, რაღაც ოთხი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. გადამწყვეტ დარგებში ჩვენ რამდენიმე ათეულჯერ და რამდენიმე ასეულჯერაც კი გავადიდეთ წარმოება.

მერე რა დიდი რევოლუციური ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში! ჩამორჩენილი დაქსაქსული სოფლის მეურნეობა გახდა მსხვილი, მექანიზებული, ახალი ტექნიკით უხვად აღჭურვილი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ოცნებობდა ასი ათას ტრაქტორზე. მარტო გასულ წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიიღო ასეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, სატვირთო ავტომობილი და ბევრი სხვა ტექნიკა. რევოლუციამდელ რუსეთში კი წვრილი გლეხური მეურნეობის ტექნიკურ ბაზას შეადგენდა ძირითადად კავი და ხის ფარცხი. უბრალო ლათინის გუთნებიც კი არ იყო საკმარისად.

სოციალიზმმა სახე შეუცვალა ჩვენს სამშობლოს. დღითიდღე საბჭოთა ადამიანები სულ უფრო გრძნობენ სოციალიზმის მატერიალურ და სულიერ სიკეთეს. შარშან სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი — მშრომელთა ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებელი — 23-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის ეროვნულ შემოსავალს სსრ კავშირის თანამედროვე საზღვრებში. 1960 წელს დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანა ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად მიღებულ იქნა კანონი მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ. უმაგალითო გაქანებით ხორციელდება საბინაო მშენებლობის პროგრამა. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში აიგო საცხოვრებელი სახლები 165 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობისა. ანუ 4 მილიონ 600 ათასი ბინა. თუ გავითვალისწინებთ დიდ საბინაო მშენებლობას სასოფლო რაიონებში, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალ სახლებში შესახლდა საბჭოთა კავშირის 20 მილიონზე მეტი მოქალაქე. განუხრელად იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი.

იყო დრო, როცა ჩვენ, კომუნისტები, მხოლოდ თეორიულად ვამტკიცებდით მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე, როცა ბურჟუაზიული სამყაროს მესვეურები და იდეოლოგები სასაცილოდ იგდებდნენ ჩვენს ეკონომიურ, ტექნიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას. უტიფრად აცხადებდნენ სოციალიზმს, ხოლო ტექნიკური და კულტურული რევოლუციის ჩვენს გეგმებს პროპაგანდისტულ ფანდს უწოდებდნენ. მაგრამ ეს დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ახლა სოციალიზმი თავისთავად მეტყველებს, მეტყველებს ფაქტების ენით, ხოლო მისი ახალგაზრდა მძლავრი ხმა ისმის დედამიწის ყველა კუთხეში! **(ტაში).**

ჩემთვის, როგორც კომუნისტისათვის, სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ კენედის ამასწინანდელ განცხადებაში, სადაც იგი ამაგებს ჩვენს სოციალისტურ სისტემას, ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოებს, ამავე დროს აღიარებს, თუ რა პროგრესულ რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებზე ეს სისტემა, სოციალიზმის წარმატებები. მაგრამ უველაზე მთავარი, რაც განსაკუთრებით გვახარებს ჩვენ და რაც დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის, კომუნიზმის ძალას, ის არის, რომ სოციალიზმის მძლავრ ძალას აღიარებენ მთელი მსოფლიოს ხალხები. მსოფლიოს ყველა ხალხი ცხოვრების მრავალი ფაქტით ხედავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმატებებს **(ხანგრძლივი ტაში).** ეს აღიარება თითქოს ჩვენი კომუნისტური პარტიის მუშაობის ატესტაციაც არის. **(ტაში).**

დიახ, ამხანაგებო, მე ბ-ნ კენედის განცხადებაში მოვწონა ის ადგილი, სადაც მან თქვა, რომ 40 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა ისეთი დიდი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი ეკონომიკის განვითარებაში, რომ ეს წარმატებანი შეიძლება განსაკუთრებით მიმზიდველი იყოს ისეთი ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც ჩამორჩენილი ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონეაო. დიახ, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენ ეს სწორად გესმით. საბჭოთა ხალხი, ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, უველა საბჭოთა ადამიანი კანონიერად ამაყობენ და უხარიათ მიღწეული წარმატებანი, და ჩვენთვის სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ჩვენს ამ წარმატებებს დიდი მიმზიდველი ძალა აქვთ მსოფლიოს უველა ხალხისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კაპიტალიზმის იდეოლოგებს უყვართ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენში თითქოს თავისუფლება არ არის. განა მათ შეუძლიათ განსაჯონ, თუ რა არის თავისუფლება! ჩვენ, კომუნისტები, რევოლუციონერები, ნამდვილი თავისუფლებისათვის უველაზე თანმიმდევრული მებრძოლები ვართ. საბჭოთა ადამიანები მსოფლიოს თავისუფალ ადამიანთა შორის უველაზე თავისუფალი არიან. ჩვენ თავისუფლებას ვცნობთ იმათთვის, ვინც თავისი შრომით ქმნის ფასეულობებს, იმათთვის ვინც შრომობს მაღაროებსა და ქარხნებში, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, სადაც ადამიანები მუშაობენ თავიანთთვის, თავიანთი სახალხო სახელმწიფოსათვის, თავიანთთვის ქმნიან მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს და თვითონ სარგებლობენ თავიანთი შრომის ნაყოფით. ამ ადამიანებისათვის ჩვენში სრული თავისუფლებაა. **(მქუხარე ტაში).**

იმათთვის, ვინც ულმობლად ეწეოდა მშრომელი ადამიანების ექსპლოატაციას, ჩაგრავდა ხალხს, ფლობდა კაპიტალებს, წარმოების უველა საშუალებას, ჩვენში მართლაც არ არის იმის თავისუფლება, რომ ჩაგრონ ადამიანები, მითვისონ ის, რასაც ადამიანები თავიანთი მშრომელი ხელით, თავიანთი გონებით, თავიანთი შემოქმედებით ქმნიან. იმათთვის, ვინც ძარცვავდა ხალხებს და ფუჭად ფლანგავდა ნაძარცვს, ჩვენში თავისუფლება დიდი ხანია აღარ არის და არც შეიძლება იყოს. ექსპლოატატორებისათვის, მჩაგვრელებისათვის ჩვენში ხალხის ძარცვის თავისუფლება აღარ არის მას შემდეგ, რაც დაიქუხა კრეისერ „ავრორას“ ქვემეხმა. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში აფორიაქდა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლის ალმი. **(ტაში).** ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს ქვეყანაში პირველი ადგილი, მთელი პატივისცემა იმათ ეკუთვნით, ვინც შრომობს, ვინც ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, და ჩვენში ადგილი არ არის იმათთვის, ვინც ექსპლოატაციას უწევს შრომის ადამიანებს, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. **(შეძახილები: „სწორია!“, ტაში).**

მე და პრეზიდენტი კენედი სხვადასხვა პოლუსის ადამიანები ვართ, მაგრამ ერთ დედამიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენ, ეტყობა, ყოველთვის გვექნება სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის სხვადასხვა გაგება და სხვადასხვა შეფასება. მაგრამ საჭიროა რეალურად წარმოვიდგინოთ ნამდვილი მდგომარეობა, დავინახოთ, რომ ჩვენს პლანეტაზე — დედამიწაზე ახლა არსებობენ სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც მოსახლეობა მილიარდ კაცს აღემატება, არსებობენ კაპიტალისტური ქვეყნები დიდად განვითარებული მონოპოლისტური კაპიტალით, და არიან ქვეყნები, რომლებიც სულ ახლახან განთავისუფლდნენ ან ახლა თავისუფლდებიან კოლონიური მონობისაგან. ამ ქვეყნებში ადამიანებს, რა თქმა უნდა, თავისუფლებაზე სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ.

და აი, თუ გავითვალისწინებთ რეალურად არსებულ მდგომარეობას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხებმა ერთ პლანეტაზე უნდა იცხოვრონ და განვითარდნენ, ჩვენთვის საჭიროა სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში გამოვნახოთ საერთო ენა, ვცდილობდეთ მივაღწიოთ მშვიდობიან თანაარსებობას. მშვიდობისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საკითხი ისეთი საკითხია, რომელიც ეხება მსოფლიოს უველა ადამიანს, მიუხედავად იმ სახელმწიფოთა სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ. ამ საფუძველზე, ვისწრაფვით რა უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა ხალხებისათვის, ჩვენ ვაგებდით და ვაგებთ სხვა სახელმწიფოებთან ჩვენს ურთიერთობას. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. **(ხანგრძლივი ტაში).**

მე უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ სახელმწიფოებს შორის ომი არ გვჭირდება იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოში გაიმარჯვოს უველაზე პროგრესულმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეებმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა საფუძველზე ჩვენი სოციალისტური საზოგადოება წარმატებით განვითარდება კომუნიზმის გზით და ზედიზედ მოიპოვებს გამარჯვებებს. ჩვენ მტკიცედ გვწამს კომუნიზმის დიადი უპირატესობანი უველა სისტემასთან შედარებით, რომელიც კი დღემდე არსებობდა ან არსებობს. ჩვენ ურყევად გვწამს, რომ მომავალი კომუნიზმს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ეკუთვნის, და ისინი გაიმარჯვებენ! **(მქუხარე ტაში).**

და ჩვენთვის საჭირო არ არის, რომ ეს გამარჯვება ხალხებს ხიშტებით ან რაკეტების საშუალებით მივუტანოთ. არა! ამ გამარჯვებას თვითონ ყოველი სახელმწიფოს ხალხი მოიპოვებს. ჩვენ გვწამს, მსოფლიოს უველა ხალხი, საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის უველა ქვეყნის მაგალითით, გამოცდილებით შთაგონებული და დარწმუნებული, წავა იმ გზით, რომელიც ჩვენ გავკვალეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! არ შემიძლია მოვაკლო თავს სიამოვნება და ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ჩვენ, სოციალიზმის ქვეყანამ, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, დიადი საბჭოთა კავშირის უველა ეროვნების, უველა რესპუბლიკის ხალხებმა, ჩვენ პირველმა შევაღწიეთ კოსმოსში. — ჩვენმა საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტმა იური გაგარინმა პირველმა შემოუარა კოსმოსში დედამიწას გარშემო და დაეშვა იქ, სადაც დაგეგმილი იყო. **(მქუხარე ტაში).**

ამ დიადი გმირობით, რომელმაც მთელი კაცობრიობა განაცვიფრა, გამოიხატა ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ხალხების გმირული ბრძოლისა და შრომის შესანიშნავი შედეგები. **(ტაში).**

ამხანაგებო! ამჟამად, ხატოვნად რომ ვთქვათ, რატომ ვადგამთ ფეხს ქუსლზე ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამ უველაზე მდიდარ ქვეყანას? ჯერჯერობით ხომ ისინი ჩვენზე მდიდრები არიან, ჩვენ კი მტკიცედ ვეწევით მათ უველა ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. უველივე ეს იმიტომ ხდება, რომ სოციალიზმმა ჩვენი ქვეყნის ხალხებს, უველ საბჭოთა ადამიანს უსაზღვრო ასპარეზი გადაუშალა შემოქმედებისათვის, გიგანტური ძალებისა და ნიჭის გამოვლინებისათვის, რომლებიც ხალხშია და რომლებსაც კაპიტალიზმი ქელავდა და ახშობდა.

შეხედეთ, მაგალითად, ისეთ მაჩვენებელს, როგორიც არის სახალხო განათლება. ჩვენში უველა ადამიანს მინიჭებული აქვს არა მარტო კონსტიტუციური შესაძლებლობანი განათლების მისაღებად, არამედ შექმნილია მატერიალური შესაძლებლობებიც უველა ადამიანისათვის, რომელსაც სურს ისწავლოს. ჩვენს ქვეყანაში უველ ადამიანს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს. ბევრი ადამიანი კი სწავლის დროს ამასთანავე სარგებლობს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის მატერიალური მხარდაჭერითაც.

აბა შეხედეთ, რამდენი არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში მუცელს აყოლილნი (მაპატიეთ ასეთი ცოტა არ იყოს უხეში გამოთქმა). იმათი ნებიერი შვილები, ვისაც დიდი სეიფები აქვს. და რას აკეთებენ ეს დედისა და მამის ნებიერი შვილები? თავიანთ წუთისოფელს ქეიფში ატარებენ, ფლანგავენ კაპიტალებს, რომლებიც მათს ჭაობლებს სხვისი შრომის ძარცვით შეუძენიათ და ახლაც ძარცვით იძენენ. მაგრამ მუშათა და გლეხთა მილიონობით შვილებს, რომლებსაც სწავლის უდიდესი სურვილი აქვთ, ვერ უსწავლიათ, რადგან საამისო სახსრები არ გააჩნიათ. ამიტომ ხალხიდან გამოსულ ადამიანთა ნიჭის გამოვლინების, მათ შორის უველაზე ნიჭიერთა და უნარიანთა „დიდ ბრილიანტებად“, ბრწყინვალე თვლებად გადაქცევის საშუალებანი იქ შეზღუდულია.

ხოლო რამდენი ნიჭიერი, ფრიად ნიჭიერი ადამიანი გამოდის ჩვენში ხალხის წიაღიდან და ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს. ისინი ამდიდრებენ და ავითარებენ ჩვენს მეცნიერებასა და ტექნიკას. მრავალი ათასი ნიჭიერი მეცნიერი, ინჟინერი და ტექნიკოსი, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე, ხალხის წიაღიდან გამოსული, ახლა მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დიდება და სიამაყეა.

როცა მგზავრობ ჩვენი ქვეყნის გზებზე, ყველგან ხედავ — აი დგას ახალგაზრდა დედა და ხელში ბავშვი უჭირავს. ფიქრობ: ვინ იქნება ეს ბავშვი, როცა გაიზრდება? და სიამაყით ეუბნები შენს თავს — იგი შეიძლება ყველაზე დიდი და პატივცემული ადამიანი გახდეს, მაგრამ არასოდეს არ იქნება მონა! **(ტაში).**

მაგრამ თუ ავიღებთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კოლონიურ ქვეყნებს, იქ, როცა ხედავ, რომ ქალს ბავშვი უჭირავს ხელში შეიძლება წინასწარვე თქვა, რომ მას ძნელი ცხოვრება მოელის, რომ შესაძლოა კაპიტალმა ეს კაცი მონად გაიხადოს და კაპიტალისათვის ამუშაოს.

საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ეს სამუდამოდ მოისპო. უველას, ვინც ჩვენში ცხოვრობს, თუ გამოიჩენს ნებისყოფასა და ნიჭს უაღრესად დიდი ცოდნის მისაღწევად, სრული შესაძლებლობა აქვს მიიღოს უველგვარი მეცნიერული ცოდნა. აი რას აძლევს ადამიანებს ჩვენი სოციალისტური წყობილება! შეხედეთ, რამდენი ნიჭიერი ადამიანი მისცა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა საქართველომ! მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ეს პროცესი ჩვენში კვლავაც დაჩქარებით განვითარდება. და არა მარტო თქვენს რესპუბლიკაში, არამედ უველა ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენი დიადი ქვეყნის უველ ხალხში. **(მქუხარე ტაში).**

აი ამიტომ ბატონი მონოპოლისტებისათვის, იმპერიალისტებისა და ძველი, დრომოჭმული სამყაროს სხვა წარმომადგენლებისათვის ძალიან მძიმე დროება დადგა, კაპიტალისტურ წყობილებასთან შეჯიბრებაში ჩვენ ცხადვყოფთ სოციალიზმის, კომუნიზმის უპირატესობას არა მარტო ლექციებისა და წიგნების გზით. კომუნიზმის იდეების, მისი მეცნიერული დებულებების დიად ძალას ჩვენ ახლა ვამტკიცებთ და კვლავაც კიდევ უფრო მეტი ძალით დავამტკიცებთ ჩვენი სულ ახალი და ახალი წარმატებებით ადამიანთა ცხოვრების უველა დარგში.

სოციალისტური წყობილების უპირატესობას ჩვენ უკვე ცხადვყოფთ არა მარტო კომუნიზმის, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უველაზე მოწინავე და მეცნიერულად დასაბუთებული თეორიით, არამედ იმ მატერიალური და სულიერი სიკეთის სულ უფრო დიდი რაოდენობითაც, რომლებსაც იღებენ და კვლავაც მიიღებენ ჩვენი ადამიანები. ეს კი კომუნიზმის სასარგებლო აგიტაციის მეტად ძლიერი საშუალებაა. ზოგჯერ ხომ ადამიანს შეგნებით უფრო ძნელად ესმის და ითვისებს ამა თუ იმ მოწინავე იდეას, ვიდრე თავისი ყოფით, თავისი ცხოვრებით. ხოლო როცა იგი დაინახავს, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი არა მარტო საუკეთესო და უველაზე სამართლიანი წყობილებაა, არამედ აგრეთვე უველაზე უზრუნველყოფილი ცხოვრებაა ადამიანებისათვის, ხალხისათვის, იგი არა მარტო ჭკუით, არამედ, ასე ვთქვათ, კუჭითაც, მთელი თავისი არსებობით იგრძნობს, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმზე უფრო პროგრესული წყობილებაა. **(მხიარული გამოცოცხლება, მქუხარე ტაში).**

ჩვენ უკვე ჩავებით ბრძოლაში იმისათვის, რომ დავნერგოთ და გავაფართოოთ ადამიანთა ცოდნა კომუნისტური საზოგადოების შესახებ არა მარტო შეგნების საშუალებით, არამედ იმ მატერიალური ცხოვრების საშუალებითაც, რომელიც სულ უფრო უმჯობესდება და რომელსაც სოციალიზმი აძლევს ხალხს. და ეს საშუალებას გვაძლევს ვამრავლოთ, ვზარდოთ ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა კომუნისტური საზოგადოების მშენებელმა ჩვენმა ხალხმა.

მე, არ მინდა ღრუბლებში ვიფრინო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია და ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ საბჭოთა ხალხმა მთლიანად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. და ეს ჩვენში უველას ესმის. დოვლათი ციდან ხომ არ მოდის. მას ქმნის მუშათა, გლეხთა, სახალხო ინტელიგენციის შრომა, მეცადინეობა. ჩვენ მხოლოდ ბეჯითი, დაძაბული შრომით, კომუნიზმის მშენებლობაში ძალღონის დაუზოგავად დღითიდღე სულ უფრო სრულად ავავსებთ ჩვენს კომუნისტურ თასს, რომელიც სულ უფრო და უფრო სრულად დააკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლების მოთხოვნილებებს. **(მქუხარე ტაში).**

დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ვითარდებიან და მოქმედებას იწყებენ სოციალისტური წყობილების გიგანტური ძალები, იქმნება საწარმოო ძალების სწრაფი ზრდის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობანი.

განა შეიძლება შემთხვევითობად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ქვეყანა კი არა, ჩვენი სოციალისტური ქვეყანა პიონერი კოსმოსის დაპყრობაში, რომ სწორედ მან შექმნა დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრები, მძიმე კოსმოსური ხომალდები, გადაიღო მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათი, პლანეტა ვენერისაკენ გაგზავნა ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური და, ბოლოს, გაგზავნა ადამიანი კოსმოსში! სწორედ ჩვენი, უბრალო საბჭოთა ადამიანი, კომუნისტი იური ალექსის-ძე გაგარინი იყო პირველი, ვინც შემოუარა პლანეტა დედამიწას და მშვიდობით დაბრუნდა დედამიწაზე გათვალისწინებულ რაიონში. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანის — იური გაგარინის გაფრენამ კოსმოსში ჩვენს ქვეყანას, სოციალიზმის ქვეყანას სამუდამოდ დაუმკვიდრა კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის პრიორიტეტი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით, რომ ამერიკელებმა გაუშვეს კოსმოსში რაკეტა ადამიანითურთ, და ეს მოვლენა კანონზომიერად მიგვაჩნია. ჩვენ ყოველთვის რეალურად ვუყურებთ საქმეს — რაც ერთმა გააკეთა, მისი გაკეთება სხვებსაც შეუძლიათ; საკითხი მხოლოდ ის არის, ვინ უფრო ადრე მიაღწევს წარმატებას. მაგრამ მთელ მსოფლიოს სამართლიანად მიაჩნია, რომ ჩვენი კოსმოსური ხომალდის „ალმოსავლეთის“ გაფრენას ვერავინ ვერ გადააჭარბა. და ეს მართლაც ასეა. საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწას შემოუფრინა. ამერიკელებმა კი, როგორც ზოგიერთი ჟურნალისტი ამბობს, მხოლოდ „ნახტომი“ გააკეთეს კოსმოსში. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ამერიკელები გაიმეორებენ იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ სწორედ **გაიმეორებენ**, ჩვენ კი ეს უკვე გავაკეთეთ. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნისათვის დიდად სასახელოა, დიდ კმაყოფილებას ანიჭებს საბჭოთა ხალხს.

იური გაგარინის გაფრენა კოსმოსურ სივრცეში მოასწავებს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ეტაპს. მოწმობს მის მძლავრ აღმაფრენას ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ამ გაფრენით გამოიხატა გმირული საქმენი საბჭოთა ხალხისა — მუშათა კლასისა, კოლმეურნე გლეხობისა, მშრომელი ინტელიგენციისა,

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

აყვავდი, ჭურფა ქვეყანაჲ, ილხინე, ქართველთ მხარეო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

(დასასრული)

მიანის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დიდი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნიკიტა სერგის-ძე პირველად როდია ჩვენს რესპუბლიკაში. ამ ხანაგი ხრუშჩოვი საქართველოში პირველად ჩამოვიდა ღირსსახსოვარ 1921 წელს ლეგენდარული განმათავისუფლებელი XI არმიის რიგებში, სულ ახლახან კი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობას. ნიკიტა სერგის-ძის ამ ჩამოსვლას ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამ შესანიშნავმა მოვლენამ აღაფრთოვანა რესპუბლიკის მშრომელები ახალი შრომითი გმირობისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. დღესაც ნიკიტა სერგის-ძე ზეიმობს და ხარობს ჩვენთან ერთად. ბრძოლაში, შრომაში, ზეიმში თქვენ ყოველთვის ჩვენთან, ყოველთვის ხალხთან ხართ. ყოველივე ამისათვის დიდი, საყოველთაო-სახალხო მადლობა, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! **(მქუხარე ტაში).**

დღეს ჩვენი გული სიხარულით არის გამსჭვალული. იმისათვის, რომ ჩვენთან ერთად გაიზიაროთ დიდი ზეიმი, ჩვენთან ჩამოვიდნენ არა სტუმრები, არამედ სტუმრად მოვიდნენ ძვირფასი მეგობრები, ძმები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლები, ხალხებისა, რომლებიც ერთიან, დიდ, მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მხურვალედ, სულითა და გულით მივესალმო ჩვენს ზეიმზე ჩამოსულ დიდი რუსი ხალხისა და რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხანაგ გენადი ივანეს-ძე ვორონოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე უკრაინის მშრომელთა დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ბელორუსიის მშრომელთა დელეგაციას ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ პეტრე შირონის-ძე მაშეროვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე უზბეკეთის მშრომელთა დელეგაციას უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ შარიფ რაშიდოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყაზახეთის მშრომელთა დელეგაციას ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ისაღალი შარიპოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციას აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ველი იუსუპის-ძე ახუნდოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ლიტვის მშრომელთა დელეგაციას ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ იოსებ ანტონის-ძე მანიუშისის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე მოლდავეთის მშრომელთა დელეგაციას მოლდავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ გერმანე ტროფიმეს-ძე აფტენიუკის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ლატვიის მშრომელთა დელეგაციას ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვლადისლავ ანტონის-ძე აზანის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყირგიზეთის მშრომელთა დელეგაციას ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ საკენა ბეგმეტოვას მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ტაჯიკეთის მშრომელთა დელეგაციას ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯაბარ რასულოვის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე სომხეთის მშრომელთა დელეგაციას სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ იაკობ ნიკიტას-ძე ზარობინის მეთაურობით **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე თურქმენეთის მშრომელთა დელეგაციას თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ბალიშ ოვეზოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ესტონეთის მშრომელთა დელეგაციას ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ივანე გუსტავის-ძე ებინის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე დაღესტნის მშრომელთა დელეგაციას სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ აბდურახმან დანიალის-ძე დანიალოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ჩაჩნეთ - ინგუშეთის მშრომელთა დელეგაციას ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ილიას აბდულასძე ალმაზოვის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში);**

მოძმე ყაბარდო-ბალყარეთის მშრომელთა დელეგაციას ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი. გაიმართა მჭუხარე, აღტაცებული ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მკაფიო, აღმფრთოვანებელი სიტყვა დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

როცა თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, დარბაზში კვლავ გაისმა მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციად გადაიქცა. შეკრებილნი ფეხზე ამდგარი მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელოვან ხელმძღვანელს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრების გამოსვლები.

ქართველ ხალხს მიესალმნენ და გულითადად, მეგობრულად მიულოცეს დღესასწაული დელეგაციათა მეთაურებმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ი. ვორონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. მ. მაშეროვმა, უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. შ. შარიპოვმა, აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა, ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ა. მანიუშისმა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტ. აფტენიუკმა, ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. აზანმა.

საზეიმო სხდომის მისასალმებლად მოვიდა საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდობის დელეგაცია.

სპორტის სასახლეში გაისმის სასულე ორკესტრის ხმები. დარბაზში მწყობრ რიგებად შემოდიან ქალიშვილები და ჭაბუკები, პიონერები და მოსწავლეები, საბჭოთა არმიის ახალგაზრდა მეომრები. მათ დაიკავეს ყველა იარუსი, გასასვლელები. სცენაზე ადიან ბავშვები, რომლებსაც ხელში ფერად ყვავილთა თაიგულები უჭირავთ. ტრიბუნასთან არიან საქართველოს ახალგაზრდობისა და კომკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები. გაისმის წკრიალა ხმები. დიდი აღფრთოვანებით, სულითა და გულით კითხულობენ ჭალიშვილები და ჭაბუკები მისალმებას ქართულ და რუსულ ენებზე ლექსად.

სტროფს სტროფი მოსდევს და იქმნება ლექსი, რომელიც გაისმის როგორც ფიცი პარტიისადმი, ხალხისადმი — ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, მარად ვიყოთ სამშობლოს ერთგულნი.

ტრიბუნაზეა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ისტორიულ დღეებში მთელ საქართველოში გაიმართა კომკავშირელთა ღია კრებები, რომლებმაც განიხილეს და მიიღეს ქართველი ახალგაზრდობის წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მშავანაძის მოხსენებიდან

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღეს ჩვენში დიდი დღესასწაულია. რესპუბლიკის მშრომელნი ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან 40 წლისთავს.

ჩვენ ყველანი აქ შევიკრიბეთ, რათა აღვნიშნოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ დღესასწაულს დღეს აღნიშნავენ ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში და არ არის რესპუბლიკაში ისეთი ადამიანი, რომელიც არ იზიარებდეს უდიდესი სიხარულის ამ გრძნობას, არ აღნიშნავდეს ამ დიდ ზეიმს. დიდი ოქტომბრის სინათლე, საბჭოთა ხელისუფლების ჩაუქრობელი სხივები ხომ შეიჭრა ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში და ახალი შუქით გააცისკროვნა ყოველი ადამიანის ცხოვრება.

ახლა ზეიმობს გაზაფხული — ადამიანის ცხოვრების საუკეთესო დრო. იგი ძლევამოსილად იფურჩქნება და სადღესასწაულო მორთულობით კაზმავს დედამიწას. გაზაფხული ყვავილობისა და ბუნების გამოღვიძების დროა. და ეს გაზაფხულის დღეები ყველაზე უკეთ შეესაბამება ჩვენს განწყობილებას, როცა ყველას გულში გაზაფხულია.

ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ და გვახარებს ის, რომ ჩვენს დიად დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს — აღვნიშნავთ იმ დღეებში, რომლებიც სამუდამოდ შევიდა ისტორიაში როგორც დასაწყისი კაცობრიობის ახალი ერისა — კოსმოსში შეღწევის ერისა. სრული ერთი თვე გავიდა იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა საბჭოთა გმირმა იური გაგარინმა განახორციელა ისტორიაში პირველი კოსმოსური გაფრენა საბჭოთა ხომალდ „აღმოსავლეთით“. საბჭოთა მეცნიერების, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ გმირობაში მსოფლიომ დაინახა არა მარტო კაცობრიობის უდიდესი ღვაწლების განხორციელება, არამედ აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების გამარჯვება, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გამარჯვება, რომლებმაც კომუნიზმის აშენების გზა უჩვენეს კაცობრიობას.

40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების ალისფერი დროშა. 40 წლის წინათ დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, გადაიშალა ახალი ფურცელი მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისა და გამარჯვებათა წლებია, მისი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავების წლებია, ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს სოციალისტურ გარდაქმნათა წლებია.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა, მისი პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების შედეგია.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის, მათი ენთუზიაზმის უმაგალითო აღმაფრენაა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლაა რესპუბლიკის აყვავებისათვის, მათი მზადყოფნაა პირნათლად შეასრულონ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი წინასწარდასახულობა.

და დღეს, გონების თვალს გადავავლებთ რა განვლილ გზას, მთელ 40 წელს, ჩვენ სიყვარულისა და მადლიერების პირველი სიტყვით მივმართავთ დიდ ლენინს — ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს ბელადს.

ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ახალი ერა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი კაცობრიობის ბედისწალში, ახალი ერა, რომლის დაწყება მთელ მსოფლიოს აუწყა ლეგენდარული კრეისერის „ავრორის“ ხალპმა.

ლენინის სახელს ვუკავშირებთ ჩვენ საბჭოთა ხალხის წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

ლენინის სახელს ქართველი ხალხი მჭიდროდ უკავშირებს მთელ თავის მონაპოვარებს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. არასოდეს არ დაივიწყებენ საქართველოს მშრომელნი, რა მზრუნველობას, რა ყურადღებას იჩენდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საქართველოს მიმართ, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ახალგაზრდა რესპუბლიკების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე. თავისი ბრძნული რჩევითა და მითითებებით დიდი ლენინი დაეხმარა კავკასიის კომუნისტებს დაეწყოთ სოციალისტური მშენებლობა, იგი მოუწოდებდა შეექმნათ ამ მრავალეროვან მხარეში „...ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“.

ლენინის იდეები მკაფიოდ გვინათებენ კომუნიზმის გზას. წმიდად ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, ახორციელებენ რა ლენინის რჩევა-მითითებებს, განამტკიცებენ და ავითარებენ რა ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ერთგული ლენინელის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად აყვავდეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყველა საბჭოთა ხალხის ეკონომიკა და კულტურა. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავის დღესასწაული მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი სამშობლო ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. და საქართველოს მშრომელებს შეუძლიათ სამართლიანად იამაყონ, რომ ამ ისტორიულ მოვლენას ისინი ეგებებიან შესანიშნავი გამარჯვებებით.

* * *

ამხანაგებო! ოთხი ათეული წელია საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალ საზოგადოებას აშენებენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად.

საქართველოს მშრომელთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, რაც მიღწეულ იქნა მუშათა კლასისა და გლეხობის მრავალი წლის დაძაბული რევოლუციური ბრძოლის შედეგად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ მოამზადა.

საქართველო ძველი და თვითმყოფი კულტურის ქვეყანაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მაგრამ სახელმწიფო და სამეურნეო დაქსაქსულობამ, ეკონომიურმა დაქვეითებამ, უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელმა შემოსევებმა XVIII საუკუნის დამლევს საქართველო მიიყვანეს ღრმა პოლიტიკურ კრიზისამდე, კულტურულ და ეკონომიურ მოდუნებამდე.

საქართველოს ისტორია ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის, მრავალრაცხოვან უცხოელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაა. ყოველი მტკაველი ქართული მიწა უხვად არის მორწყული მისი შვილების სისხლითა და ოფლით. ქართველი ხალხის მძიმე უთანასწორო ბრძოლა გაგრძელდა XIX საუკუნის დამდეგამდე, როცა საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. ეს იყო საქართველოს ნებაყოფლობით შეერთება რუსეთთან, რის შემდეგაც ქართველმა ხალხმა იხსნა თავი უცხოელთა მუდმივი დამღუპველი შემოსევებისაგან და ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ხელი შეუწყო საქართველოს სამეურნეო და კულტურულ განვითარებას; ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს, რომელმაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვ. ი. ლენინის სიტყვით ისტორიაში უმაგალითო ოდენობით დააგროვა რევოლუციური ენერგია.

თუ მეფის რუსეთი „ხალხთა საპყრობილე იყო, რომელიც საქართველოსა და მთელი იმპერიის პროგრესულ მოღვაწეთა მხრივ სიძულვილსა და აღშფოთებას იწვევდა, პუშკინისა და დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და გორკის რუსეთი მათი მიმზიდველი ცენტრი, გულწრფელი მეგობრებისა და დიდი კულტურის ქვეყანა იყო. პროგრესული რუსეთის, რუსი ხალხის სახით ქართველმა ხალხმა შეიძინა უფროსი ძმა და დიდი მოკავშირე საერთო მტრების — ცარიზმის. მემამულეების, კაპიტალისტებისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.



თბილისი, 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა ვ. პ. მშავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე შესანიშნავი რევოლუციონერები — ლ. კეცხოველი **(ტაში)**, ა. წულუკიძე **(ტაში)**, შ. ცხაკაია **(ტაში)**, პ. ჯაფარიძე **(ტაში)**, ს. შაუმიანი **(ტაში)**, ს. ორჯონიკიძე **(ტაში)**, ფ. მახარაძე **(ტაში)**, მ. ორახელაშვილი **(ტაში)** და სხვები.

ქართველი ხალხი წმიდად ინახავს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების — მ. კალინინის, ს. კიროვის **(ტაში)**, ვ. კურნატოვსკის, ა. მიასნიკოვის, თ. ანდანიიევის, ი. ლუზინის, მაქსიმ გორკისა **(ხანგრძლივი ტაში)** და ბევრ სხვათა ხსოვნას, რომელნიც სხვადასხვა დროს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების ერთგულნი, მაგალითს იძლეოდნენ მრავალეროვანი მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობის სულისკვეთებით აღზრდაში.

ლენინს მიაჩნდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების აგების ეს ინტერნაციონალური პრინციპი იყო „ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა. ერთადერთი გადაწყვეტა“. (ტ. 35. გვ. 76).

ვ. ი. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ძლიერი სულისკვეთება, ორგანიზებულობა და მასობრიობა, ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მარქსისტთა თვალსაჩინო დამსახურება ჩვენი პარტიის შექმნისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში და მსოფლიოს ყველა ხალხს დაუსახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზა.

მას შემდეგ, რაც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, საქართველოში ძალაუფლება დროებით ხელში ჩაიგდო მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ.

თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა საქართველოში ხალხის მოღალატეების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების — ქართველი მენშევიკების ბატონობის პერიოდი. მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში აწარმოებდნენ დაძაბულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ამ ბრძოლაში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, გაიზარდა მათი გავლენა მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასებზე, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ცალკეული პარტიული ორგანიზაციები გაერთიანებულიყვნენ და შექმნილიყო საქართველოს კომუნისტური პარტია. ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო ის, რომ 1920 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია, როგორც შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბ), რომელიც აგებული იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს კომუნისტური პარტია პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

1921 წლის თებერვალში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ აჯანყებულები უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ მრავალრიცხოვანი და შეიარაღებული მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც სხვადასხვა დროს ინგლისელი და გერმანელი ინტერვენტები დაეხმარნენ. ამ ძნელ დროს საქართველოს რევკომმა დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მუშებსა და გლეხებს დაეხმარა მამაცი მე-11 წითელი არმია, რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით საქართველოს მშრომელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა 25 თებერვალს გაათავისუფლეს თბილისი. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ **(ტაში).**

ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია სწრაფად მოედო მთელ საქართველოს 1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აფხაზეთში. 5 მარტს აჯანყებულებმა გაათავისუფლეს ცხინვალი (ქ. სტალინირი) და დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება; 18 მარტს მენშევიკური მთავრობა განდევნილ იქნა უკანასკნელი თავშესაფრიდან — ბათუმიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

დიდი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა რუსეთის მშრომელები ქართველი ხალხის გამარჯვებას. „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“ — სწერდა ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 2 მარტს. **(ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლება. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციის პლაცდარმიდან ამიერკავკასია გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად; ძირეული შემობრუნება მოხდა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში. დაიწყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ერა — საქართველოს აღორძინებისა და ყოველმხრივი განვითარების ერა, ღრმა რევოლუციურ გარდაქმნათა განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის ერა.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ბრძნული ლენინური გეგმა, წარმატებით შეასრულეს ხუთწლედების დავალებანი, განახორციელეს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია, მისი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია.

საქართველომ მოკლე ისტორიულ ვადაში მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად გიგანტური ნახტომი გააკეთა და მეფის რუსეთის ეს ჩამორჩენილი განაპირა მხარე გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა და აყვავებული კულტურა.

დიდი სამამულო ომი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობის, ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი მისი ერთგულების ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი ერთგულების მკაცრი შემოწმება იყო. ომის წლებში გმირის უკვდავი სახელი მოიხვეჭა ქართველი ხალხის ბევრმა შვილმა — ნიჭიერმა მხედართმთავრებმა ლესელიძემ, ჩანჩიბაძემ, უშიშარმა მეომრებმა ბაქრაძემ, ბუხაიძემ, ადამიამ, გეგეშიძემ, თავდადებულმა თინა იოსებიძემ, სახელოვანმა პარტიზანმა ზოია რუხაძემ, რომელმაც ისე როგორც ზოია კოსმოდემიანსკაიამ, სიცოცხლე შესწირა სამშობლოს ბედნიერებას, და ბევრმა სხვამ.

ომის შემდეგ საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ მკვეთრ აღმავლობასა და კულტურის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ). პლენუმის, სკკპ XX და XXI ყრილობების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულმა დადგენილებებმა.

პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ჭეშმარიტად რევოლუციური, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები — გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები მეურნეობისა და კულტურის მართვაში, ძირეულად გარდაიქმნა მრეწველობისა და მშენებლობის მართვა, გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა და სხვ. ჩვენი ქვეყანა შეიდა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საქართველოს მშრომელები თავიანთ მეორმოცე წლისთავს ეგებებიან ახალი, შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. 1960 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 40-ჯერ გაიზარდა, აქედან მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ. ახლა რესპუბლიკაში ვიღებთ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და ვაწარმოებთ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს. ერთ სულ მოსახლეზე ჩვენში 8-ჯერ მეტი ელექტროენერგია მოდის, ვიდრე მეზობელ თურქეთში.

საქართველო დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი მრეწველობის რესპუბლიკაა. აქ არის ისეთი დარგები, როგორც ელექტროენერგეტიკის, ქვანახშირის, მეტალურგიული, ჩარხსამშენებლო, ავტომობილსამშენებლო, მანქანათსამშენებლო, ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, მსუბუქი, კვებისა და ბევრი სხვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და ამუშავდა დაახლოებით 1.000 სამრეწველო საწარმო.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი შემოქმედებითი ძალის, თანამეგობრობის მკაფიო. შესანიშნავი მაგალითი, მისი ცოცხალი განსახიერებაა ქართული შავი მეტალურგიის შექმნის ისტორია — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნისა და საქართველოს მეტალურგთა ქალაქის რუსთავის მშენებლობა. ურალის, დონბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ინდუსტრიული ცენტრების მეტალურგიულ საწარმოებში ისწავლეს ახლანდელმა მეფოლადეებმა და მებრძმედეებმა, მგლინავებმა და კოქსჭიმიკოსებმა. რუსთავის ქარხნისათვის მთელი მოწყობილობა რუსეთის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მანქანათმშენებლების ხელით გაკეთდა.

ამხანაგებო! თბილისს რომ უახლოვდებით საქართველოს სამხედრო გზით, თქვენს თვალს იტაცებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ძეგლი, ხოლო ცოტას რომ გამოსცდებით, ხედავთ მეორე ძეგლს — ელექტროფიკაციის დიდი ლენინური იდეის განხორციელების პირველ ძეგლს ამიერკავკასიაში — ზემო ავჭალის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურს, რომლის მშენებლობა დაიწყო 1922 წელს და რომელიც ამუშავდა 1927 წელს.

ახორციელებენ რა ლენინის ბრძნულ მითითებებს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ, საქართველოს მშრომელებმა შექმნეს მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც ამჟამად გაერთიანებულია ამიერკავკასიის ერთიან ენერგეტიკულ სისტემად. ენერგეტიკული რგოლი, რომელიც მოიცავს ამიერკავკასიის სამ მომძე რესპუბლიკას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, განასახიერებს კომუნიზმის მშენებლობის იდეით გაერთიანებული ჩვენი ხალხების განუყრელ ძმურ თანამეგობრობას.

საქართველოს ენერგეტიკას კიდევ უფრო დიდებულ პერსპექტივებს უსახავს ახლანდელი შვიდწლედი. საკავშირო მთავრობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვის უდიდესი დახმარების მეოხებით გადაწყვეტილია მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. ეს ყველაზე მძლავრი ელექტროსადგური იქნება კავკასიაში. ელექტროენერგიის გამომუშავებით ენგურის ჰიდროელექტროსადგური გადააჭარბებს რესპუბლიკის ამჟამად არსებულ ყველა ელექტროსადგურს ერთად, ამასთან კილოვატსაათის თვითღირებულება მხოლოდ 0,07 კაპიკი იქნება. ამრიგად, ენგურჰესი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე იაფ ელექტროენერგიას მოგვცემს.

ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ისეთი უდიდესი საწარმოებით, როგორიც არის თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა — პირმშო მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნისა, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა მუშათა ინიციატივას, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა და ბევრი სხვა. ქართული ელმავლები, ავტომობილები მაღალი წარმადობის ლითონსაჭრელი ჩარხები „თბილისის“ საქარხნო მარკით კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივითა და მითითებით განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რესპუბლიკაში ელექტროტექნიკური მრეწველობა. იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა, მხოლოდ 4 წლისაა, მაგრამ საქართველოში ენდუსტრიის ამ ახალი დარგის ბევრი საწარმო უკვე გაჩნდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სტალინირსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ახლა ისინი 50-მდე სახეობის პროდუქციას უშვებენ. საქართველოს მშრომელთა განსაკუთრებულ სიამაყეს შეადგენს ყარადაღ-თბილისის გაზსადენი, რომელსაც სამართლიანად ეწოდა მეგობრობის ტრასა, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური საკვლევი რეაქტორი.

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ახალგაზრდა კომუნისტი
მე-4 გვერდი. შაგათი.
13 მაისი 1961 წ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების დასასრული

საქართველოში სწრაფად ვითარდება მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა.

წარმატებით მუშაობენ ამ რამდენიმე წლის წინათ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით შექმნილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც ამუშავებენ კიბერნეტიკული სისტემების, ელექტრონული მათემატიკური მანქანების, ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა ახალ ფიზიკურ პრინციპებს.

დღეისათვის ამ ახალგაზრდა კოლექტივებმა უკვე შექმნეს და წარმოებაში ინერგება ფეროსადნობი ღუმელების, ბოვების, ლითონსაჭრელი ჩარხების, აგრეთვე ნავთობის, ჩაის მრეწველობისა და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების აგრეგატებისა და აპარატების ავტომატური მართვის უნიკალური მანქანები.

საქართველოს სახელოვანმა მუშათა კლასმა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი თავდადებული შრომით შექმნა დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, თავისი რიგებიდან მოგვცა სამრეწველო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორების, ნამდვილი ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების, მომავლის მზვერავების — კომუნისტური შრომის დამკვრელების შესანიშნავი არმია.

მთელი ჩვენი რესპუბლიკა იცნობს კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელმოხვეჭილ ხელმძღვანელებს — გურამ ჩადუნელს, არჩილ ძამაშვილს, ამირან ფანცულაიას, ზაურ რუსიას, ელენე გეგელაშვილს, შოთა კუბლაშვილს, პოლინა ბოგდანოვას, მიხეილ ბაღდასაროვს, კუჩკონ ლეიბას, დავით თედეევსა და ბევრს სხვას. თავიანთი თავდადებული შრომით ისინი ამრავლებენ სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებებს, აჩქარებენ საქართველოს სამრეწველო წარმოების განვითარებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა. საქართველოს სწრაფროებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რაც ცხოველი და მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ პარტიის გეგმები მთლიანად და ვადამდე განხორციელდება.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით საქართველოს სახელოვანი ეროვნული დღესასწაულის დღეს მადლობა გადაუხადო ჩვენს გმირ მუშათა კლასს, რომელიც ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდებულ დავალებებს, რომლებიც განსახიერებულია საქართველოს შვიდწლიან გეგმაში. **(ტაში).**

მრეწველობის მხარდამხარ მიდის ჩვენი სოფლის მეურნეობა. მეჩაიობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, ეთერზეთოვანი კულტურები რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენენ. **(ტაში).**

საბჭოთა წლებმა სასწაულებრივად გარდაქმნა ქართული სოფლის სახე. გაუვალი ველური ბუჩქნარები, უნაყოფო ველები და დაჭაობებული, დაძლაშებული მიწები აყვავებულმა ბაღებმა და პლანტაციებმა, ნაყოფიერმა მინდვრებმა და ბოსტნებმა შეცვალა. რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ეყრდნობა უახლეს თანამედროვე სამამულო ტექნიკას.

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები“ — ლენინის ამ საპროგრამო სიტყვებმა, რომლებიც ნათქვამია დიდი ბელადის ცნობილ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს, დარაზმეს რესპუბლიკის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დასანერგავად. ახლა მარტო სუბტროპიკულ ნარგავებს ასი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ნაცვლად 1921 წლის 1.435 ჰექტარისა.

იმ შესანიშნავი გზის საილუსტრაციოდ, რომელიც ჩვენმა სოფლის მეურნეობამ განვლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ასეთი ციფრები. 1921 წელს საქართველოში მოკრეფილ იქნა 550 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1960 წელს 157 ათასი ტონა. 285-ჯერ მეტი! **(ტაში).**

ჩაის პლანტაციებს საქართველოში ახლა დაახლოებით 60.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს (ნაცვლად 1921 წლის 1000 ჰექტარისა), ამასთან მეჩაიეობა ჩვენში განვითარებულია სულ სხვადასხვა რაიონში, მათ შორის საბჭოთა სუბტროპიკების ყველაზე ჩრდილოეთ რაიონებშიც. ამ ოცდაათი წლის წინათ - ინგლისიდან მოწვეულმა მეჩაიეობის დარგის დიდმა სპეციალისტმა დოქტორმა ჰაროლდ მანმა დაიწუნა ზუგდიდის რაიონის ნიადაგები. „არაფერი გამოგივათო“. ამტკიცებდა მედიდური კონსულტანტი. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა და კოლმეურნეებმა არ დაუჯერეს ცნობილ უცხოელს. მათ გაამენეს აქ პლანტაციები და მოჰყავთ რეკორდული მოსავალი, ხოლო რაც შეეხება ამავე ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, მან 1960 წელს რესპუბლიკაში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების შვიდწლიანი დავალება. **(ტაში).**

დაე ჩამოვიდნენ ახლა საქართველოში ბატონი მანი და მისი კოლეგები, მაგრამ არა იმისათვის, რომ კონსულტაცია გაუწიონ ჩვენს მეჩაიეებს, არამედ იმისათვის, რომ ისწავლონ, როგორ უნდა უხვი მოსავლის მოყვანა და ფოთლის კრეფის მექანიზება. **(ტაში).**

რაც შეეხება ციტრუსებს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ეს კულტურები უცხო რამ იყო. შარშან ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ხუთას მილიონ ცალზე მეტი ქართული მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, აგრეთვე ათეულ ათასობით ტონა ყურძენი და ხილი, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე აწარმოებდნენ რევოლუციამდე.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1953 წლის სექტემბრის შემდეგ, როცა სოფლის მშრომელებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ჰეშმარიტად რევოლუციურ ღონისძიებათა საფუძველზე გააჩაღეს დაუცხრომელი ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. უკანასკნელ შვიდ წელიწადში წინა შვიდ წელიწადთან შედარებით საქართველოს მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს მეტი: ჩაის ფოთოლი 347.000 ტონა, ყურძენი — 408.000 ტონა, კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფი — 283.500 ტონა, ხორცი — 134.000 ტონა და რძე — 301.000 ტონა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ციტრუსების, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში.

თავის წარმატებებს ქართველი გლეხობა უნდა უმადლოდეს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, საკოლმეურნეო წყობილებას. სწორედ მათ მოუტანეს მას შეძლებული და კულტურული ცხოვრება, რაზეც წინათ ოცნებაც არ შეეძლო. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1959-1960 წლებში 1940 წელთან შედარებით 4,7-ჯერ გაიზარდა და 1953 წელთან შედარებით 1,5-ჯერ, რომ აღარაფერი ვთქვათ ნატურალური შემოსავლის განუწყვეტელ ზრდაზე. ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნის შრომადღის ღირებულება.

სოფლის მშრომელთა შთაგონებულმა, დაუცხრომელმა ბრძოლამ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ დასჯერდნენ მიღწეულს. ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა და მთლიანად გამოვიყენოთ ამისათვის არსებული რეზერვები, ჩვენში ყოველგვარი შესაძლებლობაა — უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფართოდ დავნერგოთ საბოსტნო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, მხარი გავუსწოროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებს. ნ. ს. ხრუშჩოვის ხატოვანი გამოთქმით რომ ვთქვათ, „ჩვენს შუქურებს“, რომლებიც გვიჩვენებენ მეურნეობის სანიმუშო გაძღოლის, მაღალი ნაყოფიერების გზას.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ, რომელსაც დღეს სულითა და გულით ვულოცავთ სასიხარულო დღესასწაულსა და მიღწეულ წარმატებებს, თავის რიგებიდან მოგვცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სახელოვან ნოვატორთა მრავალრიცხოვანი არმია. მეჩაიეები თამარ ყუფუნია, ტატიანა ჩხაიძე, გული ავიძბა, ასმათ ჯიჯავაძე, მაყვალა ჯინჭარაძე, ნაირა გოგატაძე; მწველავები მერი კვაჭანტირაძე, დოდო ქიტუაშვილი, ტაისია ფედოსეევა, ემა ქუთუმჩიანი; მესიმინდეები ჩოქოლი ქვაჩახია, კონსტანტინე სანდუხაძე, კალისტე ანდღულაძე; მეღორეები დავით სეფიაშვილი, იუზა დოკუზოვა, მწყემსი გიორგი ჩალაბაშვილი, მევენახე ალექსი მექვეურიშვილი, მებაღე მიხეილ რჩეულიშვილი, მექანიზატორები გიორგი თინაშვილი, მიხეილ გიბიშვილი და ბევრი სხვა ნოვატორი, რომლებმაც სახელი გაითქვეს შემოქმედებითი შრომით, ნამდვილი შუქურები არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობას, ისევე როგორც რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას, მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვის ჰეშმარიტად წარმტაც პერსპექტივებს უსახავს შვიდწლიანი გეგმა.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალი დარგი შვიდწლედში გაიზრდის თითქმის იმავე გზას, რაც მათ გაიარეს საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე შვიდწლედამდე. შვიდწლედის ბოლოს საქართველოს მეჩაიეები მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 200.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. შვიდწლედში ერთიორად გაიზრდება აგრეთვე ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ყურძნის წარმოება. გარდა არსებული 105.000 ჰექტარი ბაღებისა, შვიდწლედში გაშენდება 40 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები, მნიშვნელოვნად უფრო მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოშია ყო.

შვიდწლედის პირველმა ორმა წელიწადმა კარგი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების გრანდიოზული გეგმის განხორციელებას. სახელოვნად დავიწყეთ შვიდწლედის მესამე წელიც, რომელიც განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია იმით, რომ ჩვენ დავიწყეთ საყოველთაო სახალხო ლაშქრობა სიმინდისათვის. საქართველომ, რომელიც ძირითადად სპეციალდება სუბტროპიკულ და სხვა ძვირფას ტექნიკურ კულტურათა წარმოებაში, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კვების ძირითადი პროდუქტების — პურის, ხორცის, რძის წარმოებაში, ხოლო ამ პროდუქტების, ნ. ს. ხრუშჩოვის ხატოვანი თქმით, პირველი და მეორე კერძის წარმოებას ჩვენში საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ბედისათვის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი და ამის შემდეგ მალე მოწვეული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებში ამ პლენუმზე, აგრეთვე უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირებზე ღრმად და ყოველმხრივ არის განზოგადებული პარტიის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის გამოცდილება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, გამოვლინებულია მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, მხილებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრულია მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გზები.

თქვენი სერიოზული კრიტიკული შენიშვნები და ძვირფასი რჩევა-დარიგება, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, დაგვეხმარა გამოგვევლინებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები, დაგვესახა კონკრეტული გზები ახალი ზღუდეების მიღწევისათვის, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განსაზღვრა. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა აღმოვფხვრათ მეცხოველეობის ხანგრძლივი ჩამორჩენა.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა კონკრეტული საქმეებით უპასუხებს მამობრივ ზრუნვას პარტიის ცენტრალური კომიტეტისას, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის (106 პროცენტით), რძისა (105 პროცენტით) და კვერცხის (111 პროცენტით) მიყიდვის გეგმა.

მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში (სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე მოკრეფილია პირველი ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი), ბაღებსა და ვენახებში ამ საგაზაფხულო სამუშაოთა გაცხარებულ დღეებში კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშათა და მოსამსახურეთა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მთელი ძალ-ღონე ხმარდება იმას, რომ უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში არსებული ნაკლოვანებანი და გადავქციოთ 1961 წელი გარდატეხის წლად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის წლად.

საგაზაფხულო თესვა საქართველოში ყოველთვის უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მაგრამ მიმდინარე წელს თესვა ჩვენში განსაკუთრებით დამკვრელურად, მებრძოლურად, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა. ჩვენში არასოდეს არ დათესილა სიმინდი ქვადრატულ-ბუდობრივად ისე დიდ ფართობებზე, როგორც მიმდინარე გაზაფხულზე დაითესა. მიმდინარე წელს ამ წესით ნათესი ფართობი შარშანდელს ჯამდენჯერმე აღემატება. ეს გასაგებიც არის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ხომ აღუთქვეს პარტიას, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ სიმინდის მთელი ნათესი ფართობიდან გამოყოფენ 60 ათას ჰექტარ უხვმოსავლიან ნაკვეთს და ჰექტარზე მოიყვანენ 60 ცენტნერ მარცვალს.

აქ, ნიკიტა სერგის-ძევ, გვესწრება ბევრი კოლმეურნე ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. ვფიქრობ, რომ ისინი და საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი შეასრულებენ თავიანთ დაპირებას — მიაღწიონ 1961 წელს გარდატეხას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტია, ასრულებს რა დიდი ლენინის ანდერძს, დაუცხრომლად ზრუნავს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მის მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ციფრს. უკანასკნელ ოც წელიწადში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 2,8-ჯერ გაიზარდა. შარშან მოსახლეობას მიეყიდა ხორცი და ხორცის პროდუქტები — 3,7-ჯერ, ერბო-კარაქი — 2,1-ჯერ, ყველი — 6-ჯერ, შაქარი — 5-ჯერ და მეტი, ქსოვილები — 3,3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმელი — 2,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მარტო უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში სახელმწიფომ ჩვენს რესპუბლიკაში ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 2 მილიონი კვადრატული მეტრია, ესე იგი რევოლუციამდელ საქართველოს ქალაქების საცხოვრებელ ფონდზე ორჯერ მეტი, სოფლად კი აშენებულია 46 ათასი სახლი. ამრიგად, წარმატებით სრულდება პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს 10-12 წელიწადში უზრუნველვყოთ თვითეული ოჯახი ცალკე ბინით.

ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაღალი დონით. ერთ სულ მოსახლეზე ექიმთა რაოდენობით საბჭოთა საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სიკვდილიანობა საქართველოში მკვეთრად შემცირდა და უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე დანიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში და ნიდერლანდებში, იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ კაპიტალისტურ სამყაროში.

საქართველო მდიდარია კურორტებით. საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა ჯანმრთელობის დაცვის 120-ზე მეტი შესანიშნავი კერა, რომლებშიც ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ნახევარ მილიონამდე მშრომელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაში განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა. სოციალისტური წყობილების დიად გარდამქმნელ ძალას მკაფიოდ გამოხატავს კულტურული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ძველი დროის მძიმე მემკვიდრეობა — უწიგნურობა. ახლა საქართველო მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკაა, იგი დაფარულია სასწავლებლების ფართო ქსელით. ახლა ჩვენში 4.664 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც სწავლობს 700 ათასზე მეტი კაცი. ამ სკოლებში მუშაობს 58 ათასი მასწავლებელი. ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკა უსწრებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და ინგლისს.

ჩვენი სკოლები ახლა წლითიწლობით მეტ და მეტ ახალგაზრდობას უშვებენ, რომელიც ძირითადად მომზადებულია ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის. აქ იჩინა თავი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა გადაწყვეტილებამ სწავლების მთელი სისტემის გარდაქმნის, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან, კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან სწავლების შეხამების შესახებ, გადაწყვეტილებამ, რომელიც შემუშავებულ იქნა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ინიციატივით. საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელი მუშაობს. რესპუბლიკაში ყოველ ათას კაცზე სწავლობს სამჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა სახალხო ინტელიგენციის მძლავრი რაზმი, რომელშიც ახლა ირიცხება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 300 ათასზე მეტი სპეციალისტი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება. ახლა საქართველოში მუშაობს დიდი მეცნიერული ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ჩვენში არის დაახლოებით 175 დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიურო, ლაბორატორია და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი. მეცნიერთა ცხრაათასიანი არმია, რომელთა შორის ოთხი ათასამდე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია, ამუშავებს აქტუალურ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მეცნიერულ პრობლემებს.

დიდი წარმატებებია მოპოვებული ხელოვნებასა და ლიტერატურის განვითარებაში. ქართველ პოეტთა და მწერალთა ბევრი ნაწარმოები თარგმნილია მოძმე საბჭოთა ხალხების ენებსა და უცხო ენებზე, ქართველ დრამატურგთა პიესებსა და ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალურ ნაწარმოებებს არა ერთხელ მოუპოვებიათ საყოველთაო აღიარება, ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა, კინემატოგრაფიის მოღვაწეთა ნამუშევრებს მაღალი შეფასება დაუმსახურებიათ, ქართველი ხალხის ცეკვებმა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ადამიანები მოხიბლა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი ტრადიციები აქვს, ახალი ფორმებით გამდიდრდა, ახალი შინაარსი შეიძინა. ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებებს მკაფიოდ მოწმობს, ქართული საბჭოთა სოციალისტური კულტურის მიღწევებს ცხადყოფს ჩვენი დეკადა მოსკოვში 1958 წელს და ქართული კულტურის საღამოები, მიძღვნილი საქართველოს სახელოვანი 40 წლისთავისადმი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაიმართა გასული თვის დამლევს.

ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებს, მწერლებს, კომპოზიტორებსა და მხატვრებს, საბჭოთა საქართველოს კულტურის ყველა მოღვაწეს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი, ახალი მიღწევები, რომლებითაც საბჭოთა ხალხს შეეძლება იამაყოს. **(ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, დიდი ისტორიული ვადის, სამი საუკუნის მანძილზე გამოიცა დაახლოებით 6 ათასი წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი ერთი მილიონი ცალი იყო. ხოლო საბჭოთა საქართველოში მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოიცა 4.700 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 24 მილიონ ცალს აღემატება.

ჩვენს რესპუბლიკაში ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ ენებზე გამოდის 138 გაზეთი, 123 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემები. ქართველი ხალხი თავის დედა ენაზე კითხულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების, სსრ კავშირის ხალხთა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მწერლების და კაპიტალისტური სამყაროს პროგრესული მწერლების ნაწარმოებებს.

ამხანაგებო! სსრ კავშირის ხალხთა ცხოველმყოფელ მეგობრობას უაღრესად ფართოდ და ყოველმხრივ გამოხატავს კომუნისტური შენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საწარმოო კავშირის გაფართოება, საბჭოთა ხალხების თანამშრომლობა და ურთიერთ დახმარება, მათი შეჯიბრება, მოწინავე გამოცდილების, შრომის საუკეთესო მეთოდების ურთიერთ შესწავლა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შემოწმება, ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრება, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ტრადიციული გახდა რუსთაველისა და სუმბაათის მეტალურგების, ჰიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელების, ტყვარჩელისა და დონბასის მეშახტეების, თბილიასი და ერევნის ჩარხშენებლების, ქუთაისისა და კაროვაბადის და ლენინაკანის ფეიქრების და სხვათა შეჯიბრება.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს მახარაძისა და გენიჩესკის, კალინოვკისა და ბოლნისის კოლმეურნეთა შეჯიბრებას.

ხალხთა ძმურ მეგობრობას მკაფიოდ გამოხატავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება.

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელები მთელ თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, რომლის ერთგული მებრძოლი რაზმი იყო და არის საქართველოს კომუნისტური პარტია.

დიადი სოციალისტური გარდაქმნებისათვის ბრძოლაში, ჩვენი ხალხის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კომპარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, გაიზარდა, გამოიწრთო, დავაჟკაცდა, დიდი გამოცდილება შეიძინა. ამჟამად მის რიგებში ირიცხება პარტიის 217.000 წევრი და კანდიდატი.

სულ უფრო და უფრო ძლიერდება საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი რესპუბლიკის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. კომპარტია ყოველთვის ზრუნავს იმისათვის, რომ გააძლიეროს თავისი გავლენა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. კომუნისტები მუდამ იქ არიან, სადაც წყდება მთავარი ამოცანები, — კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, აღწევენ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განუხრელად დაცვას, იდეოლოგიური მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, უზრუნველყოფენ ამ მუშაობის მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, მშრომელთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ლენინური იდეებით. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დიდად აფასებდეს სოციალისტური წყობილების მონაპოვრებს, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჰაბუკები გახდნენ ახალი ცხოვრების აქტიური, შეგნებული შემოქმედნი, კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლნი.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთელი ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ და სავსებით იზიარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის ნოემბრის თათბირზე მიღებულ განცხადებას და მიმართვას მსოფლიოს ხალხებისადმი—ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებშიც მსოფლიოს განვითარების ლენინური ანალიზის საფუძველზე მოცემულია თანამედროვე ეპოქის თავისებურებათა ღრმა დახასიათება და განსაზღვრულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების გზები.

კომუნისტური პარტიის ძალას წარმოადგენს მშრომელ მასებთან მუდმივად მზარდი და სულ უფრო მტკიცე კავშირი, ხალხთან განუყრელი ერთიანობა, საქართველოს კომპარტია დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ ამაღლდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა ყველა სხვა მასობრივი ორგანიზაციის როლი და აქტივობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეა ლენინური კომკავშირი, რომლის რიგებშიც კომუნისტური აღზრდის სკოლას გადის რესპუბლიკის ახალგაზრდობის 350 ათასი მოწინავე წარმომადგენელი.

ამხანაგებო!

დღეს მთელი მსოფლიოს ხალხები რეალურად ხედავენ, რომ კაცობრიობის ყველაზე დიად, ყველაზე ჰუმანურ იდეალებს განასახიერებს კომუნიზმი.

გულში გვწვდება და ჩვენი დიადი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით გვტოკავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნიკიტა სერგის-ძის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი კუბაში შეიარაღებულ შეჭრასთან დაკავშირებით. ნიკიტა სერგის-ძე ამ წერილში გულისწყრომით, ღირსებით აღსავსე სიმტკიცით გმობს იმპერიალისტური ჩაგვრისა და ძალადობის მახინჯ სამყაროს. ქართველი ხალხი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად გადაჭრით აცხადებს: ხელები შორს რევოლუციური კუბისაგან!

ამხანაგებო!

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის თავისი ტიტანური ბრძოლით, უდიდესი მჭიქფარე ორგანიზატორული და შემოქმედებითი საქმიანობით, დაუცხრომელი ზრუნვით მშრომელთა კეთილდღეობისათვის, იმის უბარით, რომ დაინახოს ახალი და ცხოვრების ფართო გზა გაუხსნას მას, დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიხვეჭა ქართველ ხალხში, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხში, მთელ პროგრესულ კაცობრიობაში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ქართველ ხალხს მიაჩნია თავის ერთგულ მეგობრად და მასწავლებლად, ლენინის უკვდავი საქმის ღირსეულ განმგრძობად. **(ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა საქართველო თავის 40 წლისთავს შეეგება შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნით და მეხუთე ათეულ წელიწადში შედის ძალონითა და ენერგიით აღსავსე, მზად არის ახალი ზღუდეები აიღოს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ წარმატებებით, რომლებიც მიღწეული გვაქვს სახალხო მეურნეობის აღმავლობაში, ჩვენი პრავალფეროვანი კულტურის განვითარებაში.

მაგრამ საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილ საქართველოს მშრომელებს ყოველთვის ახსოვთ, რომ საბჭოთა ადამიანებს არ შეფერით დასჯერდნენ მი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში



თბილისი, 1961 წლის 12 მაისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა სპორტის სასახლეში, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა ნ. ს. ხრუშჩოვი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღეს საქართველოს მშრომელნი და მათთან ერთად მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა, მრძმე საბჭოთა ხალხების მთელი მეგობრული ოჯახი აღნიშნავენ თქვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავს.

ნება მიბრძანეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ყველა მშრომელს, ვუსურვო თქვენს რესპუბლიკას, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ბედნიერება და აყვავება, შემდგომი შრომითი წარმატებები ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(მჭუხარე ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან მეორმოცე წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის დიდი აღმავლობის ვითარებაში. მთელ ჩვენს ქვეყანაში მძლავრად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად, ყველგან ჩაღდება ბრძოლა შვიდწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა.

როგორც ცნობილია, სკკპ XXII ყრილობა განიხილავს და მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას. პარტიის მოქმედი პროგრამა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში დაამტკიცა რკპ (ბ) VIII ყრილობამ. ეს იყო სამოქალაქო ომის მრისხანე წლები, რცა საბჭოთა რესპუბლიკა უმაგალითო ნგრევის, შიმშილისა და სიცივის მძიმე პირობებში იცავდა ოქტომბრის მონაპოვრებს. იმ მრისხანე წლებში სოციალიზმი იყო ჯერ კიდევ მხოლოდ მშვენიერი ოცნება, მაგრამ რეალური ოცნება, მეცნიერულად დასაბუთებული დიდი ლენინის მიერ. პარტიას უკვე მაშინ მიაჩნდა თავის ძირითად მიზნად და ბრძოლის მთავარ აზრად ის, რომ აეშენებინა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, და ეს ასახული იყო მის მიერ მიღებულ პროგრამაში.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის მეორე პროგრამა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შეიმუშავა, ჩვენმა პარტიამ პარნათლად შეასრულა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყანაში. ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. აი ძირითადი შედეგი ჩვენი გამარჯვებების და მონაპოვრებისა, რომლებსაც ვერავინ და ვერასოდეს ვერ წაგვართმევს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ხალხის მეცადინეობით, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ისტორიულ ვადაში დააღწია თავი საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას და ისეთი გიგანტური ნაბიჯი გადადგა პროგრესის გზით, რომ ზოგჯერ ჩვენც კი, კომუნისტებს, სუნთქვა გვეკვრის. ამა წარმოიდგინეთ, რაღაც ოთხი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. გადამწყვეტ დარგებში ჩვენ რამდენიმე ათეულჯერ და რამდენიმე ასეულჯერაც კი გავადიდეთ წარმოება.

მერე რა დიდი რევოლუციური ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში! ჩამორჩენილი დაქსაქსული სოფლის მეურნეობა გახდა მსხვილი, მექანიზებული, ახალი ტექნიკით უხვად აღჭურვილი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ოცნებობდა ასა ათას ტრაქტორზე. მარტო გასულ წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიიღო ასეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, სატვირთო ავტომობილი და ბევრი სხვა ტექნიკა. რევოლუციამდელ რუსეთში კი წვრილი გლეხური მეურნეობის ტექნიკურ ბაზას შეადგენდა ძირითადად კავი და ხის ფარცხი. უბრალო ლითონის გუთნებიც კი არ იყო საკმარისად.

სოციალიზმმა სახე შეუცვალა ჩვენს სამშობლოს. დღითიდღე საბჭოთა ადამიანები სულ უფრო გრძნობენ სოციალიზმის მატერიალურ და სულიერ სიკეთეს. შარშან სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი — მშრომელთა ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებელი — 23-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის ეროვნულ შემოსავალს სსრ კავშირის თანამედროვე საზღვრებში. 1960 წელს დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანა ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად მიღებულ იქნა კანონი მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ. უმაგალითო გაქანებით ხორციელდება საბინაო მშენებლობის პროგრამა. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში აიგო საცხოვრებელი სახლები 165 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობისა, ანუ 4 მილიონ 600 ათასი ბინა. თუ გავითვალისწინებთ დიდ საბინაო მშენებლობას სასოფლო რაიონებში, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალ სახლებში შესახლდა საბჭოთა კავშირის 20 მილიონზე მეტი მოქალაქე. განუხრელად იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი.

იყო დრო, როცა ჩვენ, კომუნისტები, მხოლოდ თეორიულად ვამტკიცებდით მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე, როცა ბურჟუაზიული სამყაროს მესვეურები და იდეოლოგები სასაცილოდ იგდებდნენ ჩვენს ეკონომიურ, ტექნიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას. უტოპიად აცხადებდნენ სოციალიზმს. ხოლო ტექნიკური და კულტურული რევოლუციის ჩვენს გეგმებს პროპაგანდისტულ ფანდს უწოდებდნენ. მაგრამ ეს დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ახლა სოციალიზმი თავისთავად მეტყველებს, შეტყველებს ფაქტების ენით, ხოლო მისი ახალგაზრდა ძლავრი ხმა ისმის დედამიწის ყველა კუთხეში! **(ტაში).**

ჩემთვის, როგორც კომუნისტისათვის, სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ კენედის ამასწინანდელ განცხადებაში, სადაც იგი ძაგებს ჩვენს სოციალისტურ სისტემას, ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოებს, ამავე დროს აღიარებს, თუ რა პროგრესულ რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებზე ეს სისტემა, სოციალიზმის წარმატებები. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც განსაკუთრებით გვახარებს ჩვენ და რაც დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის, კომუნიზმის ძალას, ის არის, რომ სოციალიზმის მძლავრ ძალას აღიარებენ მთელი მსოფლიოს ხალხები. მსოფლიოს ყველა ხალხი ცხოვრების მრავალი ფაქტით ხედავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმატებებს. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს აღიარება თითქოს ჩვენი კომუნისტური პარტიის მუშაობის ატესტაციაც არის. **(ტაში).**

დიახ, ამხანაგებო, მე ბ-ნ კენედის განცხადებაში მოეწონა ის ადგილი, სადაც მან თქვა, რომ 40 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა ისეთი დიდი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი ეკონომიკის განვითარებაში, რომ ეს წარმატებანი შეიძლება განსაკუთრებით მიმზიდველი იყოს ისეთი ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც ჩამორჩენილი ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონეა. დიახ, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენ ეს სწორად გესმით. საბჭოთა ხალხი, ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, ყველა საბჭოთა ადამიანი კანონიერად ამაყობენ და უხარიათ მიღწეული წარმატებანი, და ჩვენთვის სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ჩვენს ამ წარმატებებს დიდი მიმზიდველი ძალა აქვთ მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კაპიტალიზმის იდეოლოგებს უყვართ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენში თითქოს თავისუფლება არ არის. განა მათ შეუძლიათ განსაჯონ, თუ რა არის თავისუფლება! ჩვენ, კომუნისტები, რევოლუციონერები, ნამდვილი თავისუფლებისათვის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლები ვართ. საბჭოთა ადამიანები მსოფლიოს თავისუფალ ადამიანთა შორის ყველაზე თავისუფალი არიან. ჩვენ თავისუფლებას ვცნობთ იმათთვის, ვინც თავისი შრომით ქმნის ფასეულობებს. იმათთვის ვინც შრომობს მაღაროებსა და ქარხნებში, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, სადაც ადამიანები მუშაობენ თავიანთთვის, თავიანთი სახალხო სახელმწიფოსათვის, თავიანთთვის ქმნიან მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს და თვითონ სარგებლობენ თავიანთი შრომის ნაყოფით. ამ ადამიანებისათვის ჩვენში სრული თავისუფლებაა. **(მჭუხარე ტაში).**

იმათთვის, ვინც ულმობლად ეწეოდა მშრომელი ადამიანების ექსპლოატაციას, ჩაგრავდა ხალხს, ფლობდა კაპიტალებს, წარმოების ყველა საშუალებას. ჩვენში მართლაც არ არის იმის თავისუფლება, რომ ჩაგრონ ადამიანები, მითვისონ ის, რასაც ადამიანები თავიანთი მშრომელი ხელით, თავიანთი გონებით, თავიანთი შემოქმედებით ქმნიან. იმათთვის, ვინც ძარცვავდა ხალხებს და ფუჭად ფლანგავდა ნაძარცვს, ჩვენში თავისუფლება დიდი ხანია აღარ არის და არც შეიძლება იყოს. ექსპლოატატორებისათვის, მჩაგვრელებისათვის ჩვენში ხალხის ძარცვის თავისუფლება აღარ არის მას შემდეგ, რაც დაიქუხა კრეისერ „ავრორას“ ქვემეხმა, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ოფრიალდა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის გამარჯვების ალმი. **(ტაში).** ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს ქვეყანაში პირველი ადგილი, მთელი პატივისცემა იმათ ეკუთვნით, ვინც შრომობს, ვინც ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, და ჩვენში ადგილი არ არის იმათთვის, ვინც ექსპლოატაციას უწევს შრომის ადამიანებს, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. **(შეძახილები: „სწორია!“, ტაში).**

მე და პრეზიდენტი კენედი სხვადასხვა პოლუსის ადამიანები ვართ, მაგრამ ერთ დედამიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენ, ეტყობა, ყოველთვის გვექნება სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის სხვადასხვა გაგება და სხვადასხვა შეფასება. მაგრამ საჭიროა რეალურად წარმოვიდგინოთ ნამდვილი მდგომარეობა, დავინახოთ, რომ ჩვენს პლანეტაზე — დედამიწაზე ახლა არსებობენ სოციალისტური ქვეყნები. რომლებშიც მოსახლეობა მილიარდ კაცს აღემატება, არსებობენ კაპიტალისტური ქვეყნები დიდად განვითარებული მონოპოლისტური კაპიტალით, და არიან ქვეყნები, რომლებიც სულ ახლახან განთავისუფლდნენ ან ახლა თავისუფლდებიან კოლონიური მონობისაგან. ამ ქვეყნებში ადამიანებს, რა თქმა უნდა, თავისუფლებაზე სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ.

და აი, თუ გავითვალისწინებთ რეალურად არსებულ მდგომარეობას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხებმა ერთ პლანეტაზე უნდა იცხოვრონ და განვითარდნენ. ჩვენთვის საჭიროა სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში გამოვნახოთ საერთო ენა, ვცდილობდეთ მივაღწიოთ მშვიდობიან თანაარსებობას. მშვიდობისათვის. მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საკითხი ისეთი საკითხია, რომელიც ეხება მსოფლიოს ყველა ადამიანს. მიუხედავად იმ სახელმწიფოთა სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ. ამ საფუძველზე. ვისწრაფვით რა უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა ხალხებისათვის. ჩვენ ვაგებდით და ვაგებთ სხვა სახელმწიფოებთან ჩვენს ურთიერთობას. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. **(ხანგრძლივი ტაში).**

მე უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ სახელმწიფოებს შორის ომი არ გვჭირდება იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოში გაიმარჯვოს ყველაზე პროგრესულმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეებმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა საფუძველზე ჩვენი სოციალისტური საზოგადოება წარმატებით განვითარდება კომუნიზმის გზით და ზედიზედ მოიპოვებს გამარჯვებებს. ჩვენ მტკიცედ გვწამს კომუნიზმის დიადი უპირატესობანი ყველა სისტემასთან შედარებით, რომელიც კი დღემდე არსებობდა ან არსებობს. ჩვენ ურყევად გვწამს, რომ მომავალი კომუნიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ეკუთვნის, და იაინი გაიმარჯვებენ! **(მჭუხარე ტაში).**

და ჩვენთვის საჭირო არ არის, რომ ეს გამარჯვება ხალხებს ხიშტებით ან რაკეტების საშუალებით მივუტანოთ. არა! ამ გამარჯვებას თვითონ ყოველი სახელმწიფოს ხალხი მოიპოვებს. ჩვენ გვწამს, მსოფლიოს ყველა ხალხი, საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ყველა ქვეყნის მაგალითით, გამოცდილებით შთაგონებული და დარწმუნებული, წავა იმ გზით, რომელიც ჩვენ გავკვალეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! არ შემიძლია მოვაკლო თავს სიამოვნება და ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ჩვენ, სოციალიზმის ქვეყანამ, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების, ყველა რესპუბლიკის ხალხებმა, ჩვენ პირველმა შევაღწიეთ კოსმოსში, — ჩვენმა საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტმა იური გაგარინმა პირველმა შემოუარა კოსმოსში დედამიწას გარშემო და დაეშვა იქ, სადაც დაგეგმილი იყო. **(მჭუხარე ტაში).**

ამ დიადი გმირობით, რომელმაც მთელი კაცობრიობა განაცვიფრა, გამოიხატა ჩვენი ქვეყნის თავიაუფალი ხალხების გმირული ბრძოლისა და შრომის შესანიშნავი შედეგები. **(ტაში).**

ამხანაგებო! ამჟამად, ხატოვნად რომ ვთქვათ, რატომ ვადგამთ ფეხს ქუსლზე ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამ ყველაზე მდიდარ ქვეყანას? ჯერჯერობით ხომ ისინი ჩვენზე მდიდრები არიან. ჩვენ კი ძტკიცედ ვეწევით მათ ყველა ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლის პიხედვით. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ სოციალიზმმა ჩვენი ქვეყნის ხალხებს, ყოველ საბჭოთა ადამიანს უსაზღვრო ასპარეზი გადაუშალა შემოქმედებისათვის, გიგანტური ძალებისა და ნიჭის გამოვლინებისათვის, რომლებიც ხალხშია და რომლებსაც კაპიტალიზმი ჭელავდა და ახშობდა.

შეხედეთ, მაგალითად, ისეთ მაჩვენებელს, როგორიც არის სახალხო განათლება. ჩვენში ყველა ადამიანს მინიჭებული აქვს არა მარტო კონსტიტუციური შესაძლებლობანი განათლების მისაღებად, არამედ შექმნილია მატერიალური შეაძლებლობებიც ყველა ადამიანისათვის. რომელსაც სურს ისწავლოს. ჩვენს ქვეყანაში ყოველ ადამიანს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს, ბევრი ადამიანი კი სწავლის დროს ამასთანავე სარგებლობს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოა, ჩვენი ხალხის მატერიალური მხარდაჭერითაც.

აბა შეხედეთ, რამდენი არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში მუცელს აყოლილნი (მაპატიეთ ასეთი ცოტა არ იყოს უხეში გამოთქმა), იმათი ნებიერი შვილები, ვისაც დიდი სეიფები აქვს. და რას აკეთებენ ეს დედისა და მამის ნებიერი შვილები? თავიანთ წუთისოფელს ქეიფში ატარებენ, ფლანგავენ კაპიტალებს, რომლებიც მათს მშობლებს სხვისი შრომის ძარცვით შეუძენიათ და ახლაც ძარცვით იძენენ. მაგრამ მუშათა და გლეხთა მილიონობით შვილებს, რომლებსაც სწავლის უდიდესი სურვილი აქვთ, ვერ უსწავლიათ, რადგან საამისო სახსრები არ გააჩნიათ. ამიტომ ხალხიდან გამოსულ ადამიანთა ნიჭის გამოვლინების, მათ შორის უველაზე ნიჭიერთა და უნარიანთა „დიდ ბრილიანტებად“, ბრწყინვალე თვლებად გადაქცევის საშუალებანი იქ შეზღუდულია.

ხოლო რამდენი ნიჭიერი, ფრიად ნიჭიერი ადამიანი გამოდის ჩვენში ხალხის წიაღიდან და ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს. ისინი ამდიდრებენ და ავითარებენ ჩვენს მეცნიერებასა და ტექნიკას. მრავალი ათასი ნიჭიერი მეცნიერი, ინჟინერი და ტექნიკოსი, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე, ხალხის წიაღიდან გამოსული, ახლა მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დიდება და სიამაყეა.

როცა მგზავრობ ჩვენი ქვეყნის გზებზე, ყველგან ხედავ — აი დგას ახალგაზრდა დედა და ხელში ბავშვი უჭირავს. ფიქრობ: ვინ იქნება ეს ბავშვი, როცა გაიზრდება? და სიამაყით ეუბნები შენს თავს — იგი შეიძლება ყველაზე დიდი და პატივცემული ადამიანი გახდეს, მაგრამ არასოდეს არ იქნება მონა! **(ტაში).**

მაგრამ თუ ავიღებთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კოლონიურ ქვეყნებს, იქ, როცა ხედავ, რომ ქალს ბავშვი უჭირავს ხელში შეიძლება წინასწარვე თქვა, რომ მას ძნელი ცხოვრება მოელის, რომ შესაძლოა კაპიტალმა ეს კაცი მონად გაიხადოს და კაპიტალისათვის ამუშაოს.

საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ეს სამუდამოდ მოისპო. ყველას, ვინც ჩვენში ცხოვრობს, თუ გამოიჩენს ნებისყოფასა და ნიჭს უაღრესად დიდი ცოდნის მისაღწევად, სრული შესაძლებლობა აქვს მიიღოს ყოველგვარი მეცნიერული ცოდნა. აი რას ძძლევს ადამიანებს ჩვენი სოციალისტური წყობილება! შეხედეთ, რამდენი ნიჭიერი ადამიანი მისცა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა საქართველომ! მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ეს პროცესი ჩვენში კვლავაც დაჩქარებით განვითარდება. და არა მარტო თქვენს რესპუბლიკაში, არამედ ყველა ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველ ხალხში. **(მჭუხარე ტაში).**

აი ამიტომ ბატონი მონოპოლისტებისათვის, იმპერიალისტებისა და ძველი, დრომოჭმული სამყაროს სხვა წარმომადგენლებისათვის ძალიან მძიმე დროება დადგა, კაპიტალისტურ წყობილებასთან შეჯიბრებაში ჩვენ ცხადვყოფთ სოციალიზმის, კომუნიზმის უპირატესობას არა მარტო ლექციებისა და წიგნების გზით. კომუნიზმის, იდეების, მისი მეცნიერული დებულებების დიად ძალას ჩვენ ახლა ვამტკიცებთ და კვლავაც კიდევ უფრო მეტი ძალით დავამტკიცებთ, ჩვენი სულ ახალი და ახალი წარმატებებით ადამიანთა ცხოვრების ყველა დარგში.

სოციალისტური წყობილების უპირატესობას ჩვენ უკვე ცხადვყოფთ არა მარტო კომუნიზმის, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველაზე მოწინავე და მეცნიერულად დასაბუთებული თეორიით, არამედ იმ მატერიალური და სულიერი სიკეთის სულ უფრო დიდი რაოდენობითაც, რომლებსაც იღებენ და კვლავაც მიიღებენ ჩვენი ადამიანები. ეს კი კომუნიზმის სასარგებლო აგიტაციის მეტად ძლიერი საშუალებაა. ზოგჯერ ხომ ადამიანს შეგნებით უფრო ძნელად ესმის და ითვისებს ამა თუ იმ მოწინავე იდეას, ვიდრე თავისი ყოფით, თავისი ცხოვრებით. ხოლო როცა იგი დაინახავს, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი არა მარტო საუკეთესო და ყველაზე სამართლიანი წყობილებაა, არამედ აგრეთვე ყველაზე უზრუნველყოფილი ცხოვრებაა ადამიანებისათვის, ხალხისათვის, იგი არა მარტო ჭკუით, არამედ, ასე ვთქვათ, კუჭითაც, მთელი თავისი არსებობით იგრძნობს, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმზე უფრო პროგრესული წყობილებაა. **(მხიარული გამოცოცხლება, მჭუხარე ტაში).**

ჩვენ უკვე ჩავებით ბრძოლაში იმისათვის, რომ დავნერგოთ და გავაფართოოთ ადამიანთა ცოდნა კომუნისტური საზოგადოების შესახებ არა მარტო შეგნების საშუალებით, არამედ იმ მატერიალური ცხოვრების საშუალებითაც, რომელიც სულ უფრო უმჯობესდება და რომელსაც სოციალიზმი ძძლევს ხალხს. და ეს საშუალებას გვაძლევს ვამრავლოთ, ვზარდოთ ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა კომუნისტური საზოგადოების მშენებელმა ჩვენმა ხალხმა.

მე არ მინდა ღრუბლებში ვიფრინო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია და ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ საბჭოთა ხალხმა მთლიანად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. და ეს ჩვენში ყველას ესმის. დღვლათი ციდან ხომ არ მოდის. მას ქმნის მუშათა, გლეხთა. სახალხო ინტელიგენციის შრომა, მეცადინეობა. ჩვენ მხოლოდ ბეჯითი, დაძაბული შრომით, კომუნიზმის მშენებლობაში ძალღონის დაუზოგავად დღითიდღე სულ უფრო სრულად ავავსებთ ჩვენს კომუნისტურ თასს, რომელიც სულ უფრო და უფრო სრულად დაკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლების მოთხოვნილებებს. **(მჭუხარე ტაში).**

დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ვითარდებიან და მოქმედებას იწყებენ სოციალისტური წყობილების გიგანტური ძალები, იქმნება საწარმოო ძალების სწრაფი ზრდის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობანი.

განა შეიძლება შემთხვევითობად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ქვეყანა კი არა, ჩვენი სოციალისტური ქვეყანაა პიონერი კოსმოსის დაპყრობაში, რომ სწორედ მან შექმნა დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრები, მძიმე კოსმოსური ხომალდები, გადაიღო მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათი, პლანეტა ვენერისაკენ გაგზავნა ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური და, ბოლოს, გაგზავნა ადამიანი კოსმოსში! სწორედ ჩვენი, უბრალო საბჭოთა ადამიანი, კომუნისტი იური ალექსის-ძე გაგარინი იყო პირველი, ვინც შემოუარა პლანეტა დედამიწას და მშვიდობით დაბრუნდა დედამიწაზე გათვალისწინებულ რაიონში. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანის — იური გაგარინის გაფრენამ კოსმოსში ჩვენს ქვეყანას, სოციალიზმის ქვეყანას სამუდამოდ დაუმკვიდრა კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის პრიორიტეტი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით, რომ ამერიკელებმა გაუშვეს კოსმოსში რაკეტა ადამიანითურთ, და ეს მოვლენა კანონზომიერად მიგვაჩნია. ჩვენ ყოველთვის რეალურად ვუყურებთ საქმეს — რაც ერთმა გააკეთა, მისი გაკეთება სხვებსაც შეუძლიათ; საკითხი მხოლოდ ის არის, ვინ უფრო ადრე მიაღწევს წარმატებას. მაგრამ მთელ მსოფლიოს სამართლიანად მიაჩნია, რომ ჩვენი კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთის“ გაფრენას ვერავინ ვერ გადააჭარბა. და ეს მართლაც ასეა. საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწას შემოუფრინა, ამერიკელებმა კი, როგორც ზოგიერთი ჟურნალისტი ამბობს, მხოლოდ „ნახტომი“ გააკეთეს კოსმოსში. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ამერიკელები გაიმეორებენ იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ სწორედ **გაიმეორებენ**, ჩვენ კი ეს უკვე გავაკეთეთ. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნისათვის დიდად სასახელოა, დიდ კმაყოფილებას ანიჭებს საბჭოთა ხალხს.

იური გაგარინის გაფრენა კოსმოსურ სივრცეში მოასწავებს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ეტაპს, მოწმობს მის ძლავრ აღმაფრენას ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ამ გაფრენით გამოიხატა გმირული საქმენი საბჭოთა ხალხისა — მუშათა კლასისა, კოლმეურნე გლეხობისა, მშრომელი ინტელიგენციისა,

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ჩვენი შესანიშნავი მეცნიერებისა, რომლებმაც შექმნეს თანამედროვეობის ტექნიკური სასწაული — კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი“. ეს უკვდავი ლენინური იდეების უდიდესი ტრიუმფია.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს იმის შეგნება, რომ ვშრომობთ და ვმოღვაწეობთ არა მარტო საკუთარი კეთილდღეობისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, რომ ჩვენ გვიხვდა დიდი პატივი გზა გავუკაფოთ სოციალიზმსა და კომუნიზმს, გავკვალოთ გზა ვარსკვლავებისაკენ.

ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმისაკენ. წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმის დიდებული დავალებანი. როგორც ცნობილია, 1960 წელს სამრეწველო პროდუქცია წარმოებულია მეტი, ვიდრე დასახული იყო. სწრაფი ტემპებით იზრდება მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

როცა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე გამოვედი, მე უკვე დაწვრილებით ვილაპარაკე ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ისეთი ტემპების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს სავსებით დავაკმაყოფილოთ ხალხის მზარდი მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი ამ ამოცანის გადაჭრას, და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამოცანა წარმატებით გადაიჭრება. 1961 წელს სოფლის მეურნეობამ უნდა აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი და გამოვიდეს ახალ მიჯნებზე.

კარგად დაიწყეს საბჭოთა ადამიანებმა შვიდწლედის მესამე წელი. ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულა; 1960 წლის პირველ კვარტალთან შედარებით საერთო პროდუქციის მოცულობა თითქმის 9 პროცენტით გაიზარდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შარშანდელთან შედარებით უფრო წარმატებით აწარმოებენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. ყოველივე ეს გვახარებს.

მთავარი ის არის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა შრომითმა ენთუზიაზმმა, რომელიც დღითიდღე იზრდება, რომ კომუნიზმის მშენებლობა ჰეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. ასრულდა დიდი ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ სოციალიზმი წარმოშობს ხალხის შემოქმედების, მასობრივი შრომითი გმირობის დაუშრეტელ წყაროს. ეს საყოველთაო-სახალხო შრომითი აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულების მტკიცე გარანტიაა.

დიადი ისტორიული გამარჯვებანი და მიღწევები ყველა მომძლე საბჭოთა ხალხის შრომითი ღონისძიებების შედეგია. საქართველოს მშრომელებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური საზოგადოების აშენებაში და ახლა თავდადებით შრომობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საბჭოთა საქართველომ კოლოსალური ნაბიჯი გადადგა ისტორიული პროგრესის გზაზე. ოთხ ათეულ წელიწადში იგი გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება, სოციალისტური კულტურა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები თვალსაჩინო მაგალითია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის გამარჯვებისა.

ეკლიანი და რთული გზა გაიარა ქართველმა ხალხმა, ვიდრე ბედნიერებას მოიპოვებდა საბჭოთა ხალხების ოჯახში, ბევრი უბედურება განიცადა მან. რამდენჯერ იარაღით დაუცავს თავისუფლება და დამოუკიდებლობა! რამდენი სისხლი და ცრემლი დაუღვრია დაუსრულებელ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობელთა და შინაგან მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

საქართველოს ისტორიული ბედისათვის გარდატეხის ეტაპი იყო XIX საუკუნის დამდეგს მისი შეერთება რუსეთთან. თვით ცხოვრებით ნაკარნახევმა ამ პროგრესულმა აქტმა იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან, ბოლო მოუღო ამიერკავკასიაში უცხოელ დამპყრობელთა ბარბაროსულ შემოსევას, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში ტანჯავდნენ და ანადგურებდნენ ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს.

დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ მშობელი ხალხის ფიქრები რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ ასეთი სიტყვებით გამოხატა: „ამ ღირსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღლული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან“.

ამ დროიდან სულ უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთდმობა და პატივისცემა. საქართველოს საუკეთესო შვილებს რუსეთთან მეგობრობა მიაჩნდათ თავიანთი ქვეყნის სათელ მომავლად, თავიანთ ბურჯად და იმედად. 1909 წელს ნ. ვ. გოგოლის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით თავიანთ მისალმებაში ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწენი წერდნენ: „ჩვენ, მთელ რუსეთთან ერთად, რომელიც სინათლეს ესწრაფვის, გვწამს, რომ რუსი ხალხის ცხოვრების სიღრმეში დაფარულია ძალა, რომელიც საბოლოოდ სძლევს უკუნეთს და ახალ ცხოვრებას მოუტანს რუსეთის ყველა ხალხს“. წინასწარმეტყველური სიტყვებია, ამხანაგებო! **(ტაში)**.

მეორე მხრივ, საქართველო და კავკასია — თავისუფლებისმოყვარეობის ეს მხარე —მშობლიური მხარე გახდა რუსული კულტურის ბევრი საუკეთესო წარმომადგენლისათვის.

ქართველი ხალხის მეგობრობა რუს და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან მტკიცდებოდა და იწრთობოდა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა იმ დროიდან, როცა ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი, როცა ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკების პარტია.

საქართველოში მუშათა რევოლუციურ მოძრაობას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. უკვე 90-იან წლებში აქ წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც მალე გამოეყო რევოლუციური მარქსისტული ფრთა. საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი, რომელიც შემდგომ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე გახდა. **(მჭუხარე ტაში)**.

რუსეთში ბოლშევიკური პარტიის შექმნის პირველ დღეებიდანვე საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები მტკიცედ დადგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ და ბრძოლისა და გამარჯვებების მთელი ისტორიის მანძილზე მაღლა ეჭირათ დიდი ლენინის უძლეველი დროშა.

მასობრივ რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, მკაფიოდ გამოხატული ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა. აქ ხელჩაკიდებული იბრძოდნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ინტერნაციონალურ ტრადიციებს და სამაგალითოდ თვლიდა მათ ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციებისათვის.

თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ყველა ეტაპზე საქართველოს მშრომელები და მათი კომუნისტური ორგანიზაციები სიმამაცესა და სიმტკიცეს იჩენდნენ.

საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში იდგნენ ისეთი თვალსაჩინო ხელმძღვანელები, როგორიც იყვნენ ი. ბ. სტალინი, ლ. კეცხოველი, მ. ი. კალინინი, პ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, გ. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. მ. კიროვი, ვ. სტურუა, კამო (ტერ-პეტროსიანი) და ბევრი სხვა. **(მჭუხარე ტაში)**.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებას დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდნენ საქართველოს მშრომელნი, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო მეწშევიკებმა, რომლებმაც ბლოკი შეკრეს ამიერკავკასიის სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებთან — დაშნაკებთან, მუსავატელებთან,— შეძლეს კიდევ სამი წლით გაეხანგრძლივებინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, მოეწყვიტათ საქართველო საბჭოთა რუსეთისაგან.

მენშევიკებმა დაიწყეს ველური ტერორისა და თვითნებობის რეჟიმი, ეკონომიური კატასტროფის პირას მიიყვანეს ქვეყანა. ეს იყო უარესი ყაიდის რეჟიმი, ვიდრე მეფის რეჟიმიც კი, რადგან იგი მთლიანად ეყრდნობოდა უცხოელ ოკუპანტთა — ჯერ გერმანელთა და თურქთა, ხოლო შემდეგ ინგლისელთა და ამერიკელთა ხიშტებს. საქართველოს მშრომელებმა საკუთარი გამოცდილებით განიცადეს ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ მშვენიერებანი. მაგრამ რუსი ხალხის დახმარებით, კავკასიის სხვა ხალხებთან კავშირის მეოხებით მათ მოიკრიბეს ძალა იმისათვის, რომ ისტორიის სანაგვე ყუთში გადაეყარათ მენშევიკი ნაძირალები. საქართველოს მშრომელთა ხელმძღვანელი ძალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში იყო საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც 1920 წლის მაისში შეიქმნა. **(ტაში)**.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ძირეული გადატრიალება მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, გადაიშალა მისი ისტორიის ახალი ფურცელი.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაამსხვრია ბორკილები, რომლებიც საუკუნეობით ბოჭავდა მშრომელთა შემოქმედებით ძალებს, გაათავისუფლა ისინი ერთაშორის შუღლის კოშმარისაგან. პირველად მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე საქართველოს მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ მოიპოვეს ნამდვილი ბედნიერება და თავისუფლება, თავისუფლად ამოისუნთქეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელები გამოიყვანა თავისუფალი შემოქმედების, ახალი ცხოვრების მშენებლობის ფართო გზაზე. ორმოცი წელიწადია მიდის ლენინის მიერ ნაჩვენები ამ გზით საბჭოთა საქართველო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ძმურად შეკავშირებული. ამ წლების მანძილზე მან სრულიად იცვალა სახე და აყვავდა. ხალხის თავდადებული შრომით რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი ეკონომიკა, რომელიც შეიძლება შეშურდეს ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, უმაგალითო დონეზე ავიდა კულტურა. ხალხმა უკეთ იწყო ცხოვრება, სულიერად გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში მოხდა ცვლილებები, რომელებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ერის აწმყოსა და მომავლისათვის. ლენინური პარტიის ნებით, ქართველი ხალხის თავდადებული შრომით, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ძმური დახმარებით საქართველო გადაიქცა სამრეწველო რესპუბლიკად, მოწინავე მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

უკვე ომის წინ რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1913 წლის დონეს აღემატებოდა თითქმის 27-ჯერ. ამასთან მრეწველობის პროდუქციის 81 პროცენტს უშვებდნენ ინდუსტრიალიზაციის წლებში აგებული ახალი საწარმოები. რესპუბლიკა დაიფარა სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, კულტურული დაწესებულებების ფართო ქსელით.

ქართველი ხალხის ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ყველა საბჭოთა ადამიანს ახსოვს სერჟანტ ქანთარიას გმირობა, რომელმაც სერჟანტ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აიფრიალა რაიხსტაგზე. არასოდეს არ წაიშლება საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში აგრეთვე დიდებული სახელები საქართველოს სხვა საუკეთესო შვილებისა, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ ფრონტზე და ზურგში, იცავდნენ თავიანთ დიად სამშობლოს — სსრ კავშირის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. **(მჭუხარე ტაში)**.

მესიამოვნა, რომ აქ შევხვდი ამხ. ნანეიშვილს, რომელთანაც ერთად ყოფნა მომიხდა ჩვენი სამშობლოს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ძნელ პერიოდში — სტალინგრადის ფრონტზე ბრძოლების დროს. მაშინ გერმანელებმა მთელ თავიანთ ძალებს ამ ფრონტზე მოუყარეს თავი, რათა ხელში ჩაეგდოთ სტალინგრადი და გადაეწყვიტათ ომიცა, რომელიც მათ დაისახეს — დაემონებინათ ჩვენი ხალხი. საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი ნანეიშვილი მაშინ საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო. იგი ღირსეულად ხელმძღვანელობდა მებრძოლ მფრინავებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის ამ უბანზე. **(ტაში)**.

მინდა კეთილი სიტყვით მოვიგონო შესანიშნავი გენერალი ჩანჩიბაძე, რომელსაც აგრეთვე შევხვედრივარ სტალინგრადში, როცა მანშტაინის არმია მოდიოდა სტალინგრადთან გარშემორტყმული პაულიუსის არმიის სახსნელად. მეორე გვარდიული არმიის შემადგენლობაში, რომელსაც როდიონ იაკობის-ძე მალინოვსკი სარდლობდა, იყო გენერალ ჩანჩიბაძის კორპუსი. ეს იყო შესანიშნავი გენერალი, რომელიც მამაცურად იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. **(ტაში)**. განსაკუთრებით სიამოვნებით ვიგონებ ამხ. ჩანჩიბაძეს. აი რატომ. ერთხელ მივედი კორპუსში, რომელსაც იგი სარდლობდა. გენერალმა მომახსენა, რომ იყო ბრძოლა და მისმა მეომრებმა მწყობრიდან გამოიყვანეს თოთხმეტი ტანკი. ვინც ომში ყოფილა, იცის, რომ ზოგჯერ ბრძოლაში, ისე როგორც ნადირობის დროს, ფიქრობ, რომ ფრინველი ჩამოვაგდე, ის კი თურმე გაფრენილა. ხდება ხოლმე ასე. უნდა გამოვტყდე, რომ ცოტა არ იყოს სკეპტიკურად მოვეკიდე გენერალ ჩანჩიბაძის ნათქვამს და ვუთხარი: მოდით დილით ვნახოთ, სად არის ეს ტანკები, ხომ არ წაუღიათ გერმანელებს-მეთქი. **(გამოცოცხლება დარბაზში)**. ასე ითქმის ვთქვი, რომ ვიცოდი შემთხვევები, როცა ზოგიერთებს მოუხსენებიათ ამდენი და ამდენი ტანკი მწყობრიდან გამოვიყვანეთო, დაზუსტების შემდეგ კი ამბობდნენ, გერმანელებმა ღამე მოასწრეს დაზიანებული ტანკების წაღებაო. მაშინ ამხ. ჩანჩიბაძემ მიპასუხა: „წამობრძანდით, ნახეთ, დათვალეთ, რა დავაზიანეთ და გერმანელებმა რა წაიღეს!“ **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**.

ვნახეთ ბრძოლის ველი და დავრწმუნდით, რომ იქ ნამდვილად 14 მწყობრიდან გამოყვანილი ტანკი იყო! ისე რომ გენერლის სიტყვა და საქმე ერთი აღმოჩნდა.

საუკეთესო მოგონებანი დამრჩა ამ გენერლებსა და სხვა ქართველ მეომრებზე. მაგრამ ყველას ვერ დაასახელებ, ბევრი მიხახავს ჩვენი საბჭოთა ხალხის მამაცი შვილი. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად იბრძოდნენ სხვა ხალხთა მხარდამხარ ქართველი ხალხის შვილებიც. **(მჭუხარე ტაში)**.

ომისშემდგომ წლებში რესპუბლიკის მეურნეობა და კულტურა კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა და დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საქართველომ თავისი სახელოვანი იუბილეს დღისათვის ეკონომიკისა და კულტურის დიდ აღმავლობას მიაღწია.

ლამაზი და მდიდარია საქართველოს ბუნება, იგი დაუშრეტელ შესაძლებლობებს ქმნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

მეფის მთავრობა დაინტერესებული არ იყო მხარის საწარმოო ძალების განვითარებით, მისთვის ამიერკავკასია და, კერძოდ საქართველო, იყო „თბილი ცომბირი“, სადაც ჩვენი ქვეყნის ბევრ მოწინავე ადამიანს ასახლებდნენ თავისუფალი აზროვნების გამო.

ჩვენს დროში საქართველოს მაგალითით შეგვიძლია დავინახოთ, რომ სოციალური და ეროვნული განთავისუფლების პირობებში საბჭოთა ადამიანმა, გამოიყენა რა ამიერკავკასიის უმდიდრესი ბუნება, ხალხის სამსახურში ჩაყენა მისი სიმდიდრე.

თქვენი რესპუბლიკა მთის მდინარეების რესპუბლიკაა. მათი წყლები აბრუნებენ ათობით ტურბინას მრავალ ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიგო. ახლა საქართველოს ელექტროსადგურები აწარმოებენ გაცილებით უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე აწარმოებდა მთელი მეფის რუსეთი. ხატოვნად რომ ვთქვათ, თქვენს რესპუბლიკას უფრო მეტი ელექტროშუქი დაჰკაშკაშებს, ვიდრე ეს იყო მთელი მეფის რუსეთში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალდარგოვანი მრეწველობა: მეტალურგია და მანქანათმშენებლობა, მათ შორის ჩარხმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგი.

ამხანაგებო! თქვენს რესპუბლიკაში აშენდა ბევრი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ამიერკავკასიის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, თბილისის მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური ქარხნები, თანამედროვე ტექნიკურად აღჭურვილ საწარმოებად გადაიქცა ჭიათურის მარგანეცის მაღაროები. ამ დიდ წარმატებებს საქართველომ მიაღწია რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით. სწორედ იმით არის ძლიერი ჩვენი სოციალისტური ძმობა, რომ მას საფუძვლად უდევს ურთიერთდახმარების, ურთიერთ პატივისცემის პრინციპი. ყოველ ხალხს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს სხვა ხალხებს, რომ ერთიან ოჯახად მიდიოდნენ საერთო მიზნისაკენ. თვითეული საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა განამტკიცებდეს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ამ სოციალისტურ ძმობას.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ქალაქ რუსთავში აწარმოებს თუჯსა და ფოლადს მთელი ამიერკავკასიისათვის; ხალხთა მეგობრობის გაზსადენი ემსახურება ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საჭიროებებს; შექმნილია ამიერკავკასიის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. ეს საწარმოო კოოპერირების კარგი მაგალითებია, მომძლე ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის დიადი მიღწევებია.

იზრდებოდა საქართველოს მრეწველობა, იზრდებოდა და იწრთობოდა მისი მუშათა კლასი, იქმნებოდა ინდუსტრიული მუშების, კვალიფიციური, კულტურული, კომუნისტური მშენებლობის ერთგული ეროვნული კადრები. თქვენს რესპუბლიკაში გაიზარდნენ წარმოების მეთაურთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მეცნიერთა კადრები. მრეწველობის მოწინავე ადამიანები კარგ ტონს აძლევენ მთელი რესპუბლიკის ცხოვრებასა და შრომას.

მრეწველობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ კარგი შედეგები მოიტანა. შვიდწლედის პირველი ორი წლის შედეგები მოწმობენ, რომ ყველა შესაძლებლობაა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს საგეგმო დავალებანი. ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია თითქმის 15 პროცენტით გადიდდა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 13 პროცენტის ნაცვლად. ორი პროცენტი კი მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმისათვის.

შვიდწლედის მესამე წელი განსაკუთრებული წელია, კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წელია. ჩვენში დამყარდა კარგი ტრადიცია — ყრილობას ვეგებებოდეთ ახალი წარმატებებით, საქმეებითა და გეგმებით.

თქვენს რესპუბლიკას არასოდეს არ უღალატნია და არ უღალატებს ამ შესანიშნავ ტრადიციებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა. დღეს მინდა კეთილი სიტყვით მოვიხსენიო თქვენი მოწინავენი და ნოვატორები, რომელთა სახელები ფართოდ ცნობილია რესპუბლიკაში. ესენი არიან გურამ ჩადუნელი — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი, არჩილ ძამაშვილი — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედე, ელენე გეგელაშვილი — გორის ბამბეულის კომბინატის მრთველი, შოთა ცუბლაშვილი — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მნგრეველი, პოლინა ბოგდანოვა — თბილისის № 1 ფაბრიკის მკერავი, მიხეილ ბაღდასაროვი — სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მეინსტრუმენტეთა ბრიგადირი, კუჩკონ ლეიბა — ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მნგრეველი, დავით თედეევი — მთავართბილისმშენის ტრესტის ბრიგადირი და ბევრი, ბევრი სხვა. **(ხანგრძლივი ტაში)**.

ეს ადამიანები შვიდწლედის ნამდვილი გმირები არიან, რომელთა მიღწევებს მხარი უნდა გაუსწოროს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშამ. ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ ნოვატორებით, მოწინავეებით, ძლიერები აზრისა და დიდი ენერგიის ადამიანებით. სწორედ მილიონობით ასეთი ამხანაგის საქმიანობა წარმოშობს დიად წარმატებებს.

შვიდწლიანი გეგმა საქართველოს მრეწველობის მუშაკებს მეტად სერიოზულ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს. თუ მუშათა ძირითადი მასა მიაღწევს მოწინავეთა მაჩვენებლებს, შვიდწლედის დავალებანი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება. ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ 1960 წელს გადაჭარბებით შეასრულა ფოლადის გამოდნობის გეგმა. მაგრამ მას შეეძლო გეგმის გადამეტებით გამოეშვა კიდევ არა ერთი ათასი ტონა ფოლადი, ყველა მეფოლადე ისე რომ მუშაობდეს, როგორც მუშაობენ წარჩინებული მეფოლადეები ამირან ფანცულაია და გიორგი სიგუა. **(ტაში)**.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით ვუსურვო საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასს ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი შემოქმედებითს შრომაში, რომელიც ამრავლებს სახალხო სიმდიდრეს, ქმნის ყველა მატერიალურ ფასეულობას. **(ხანგრძლივი ტაში)**.

ამხანაგებო! ვფიქრობ, რომ სწორად გამიგებთ და სტუმართმოყვარეობის კანონების დარღვევად არ მიიჩნევთ, თუ დღეს მოგაგონებთ ნაკლოვანებებს. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**. თუმცაღა, როცა ამას წინათ თბილისში გამოვედი, მე უკვე გამოვთქვი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნები სოფლის მეურნეობის შესახებ, და თქვენ ეს შენიშვნები სწორად გაიგეთ. ჩვენ, კომუნისტებმა, არც სამუშაო დღეებში და არც დღესასწაულებზე არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს გვიშლიან მუშაობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეული ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. შეიქმნა მსხვილი მრავალდარგოვანი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც მეცნიერებაზე ეყრდნობა.

საქართველოს ჰავისა და ნიადაგის ხელსაყრელი პირობები შესაძლებლობას იძლევა მემინდვრეობასთან, მებოსტნეობასა და მეცხოველეობასთან ერთად ფართოდ განვითარდეს ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების წარმოება. ჩაის პლანტაციების ფართობი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე 52-ჯერ გადიდდა, ციტრუსებისა—59-ჯერ, ბაღეებისა და ვენახებისა—3-ჯერ. საქართველო ჩვენი ქვეყნის მთავარი რაიონია ჩაის, ეთერ-ზეთოვანი კულტურების, ხილისა და ციტრუსების წარმოებაში.

ვ. ი. ლენინი თავის დროზე აღნიშნავდა რწყვის დიდ მნიშვნელობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისათვის. ლენინის ამ მითითებათა შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შექმნეს დარგობრივი სისტემების ფართო ქსელი, მკვეთრად გაადიდეს სარწყავი მიწების ფართობი. ეს მუშაობა კვლავაც იწარმოებს, რათა უახლოეს წლებში მოვაქციოთ ბრუნვაში ახალი ასეულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა და დამატებით მივიღოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დიდძალი პროდუქტები.

დიდი დახმარება გაეწია საქართველოს სოფლის მეურნეობას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაში. აქ გაიზარდა აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ინჟინერთა, ტექნიკოს-მექანიზატორთა მრავალრიცხოვანი არმია. ახლა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 4-5 სპეციალისტი.

1960 წელს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილისა და ფიფნის ფოთლის მიყიდვის გეგმები. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც 1960 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 157 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 50 ათასი ტონით, მეტი, ვიდრე 1953 წელს.

არ მინდა, რომ სხვა ხალხებმა ბრალად დამდონ რაღაც განსაკუთრებული მოკრძალება თქვენდამი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სავსებით სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესო ჩაია მსოფლიოში. **(ტაში)**. ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ეს მარტო კლიმატური პირობებით არ აიხსნება. ბევრ სხვა ქვეყანას ხომ არა უარესი, არამედ შესაძლოა უკეთესი კლიმატური პირობებიც ჰქონდეს ჩაის მოსაყვანად, ვიდრე საქართველოს. თქვენი ჩაის მაღალ ხარისხს მე მიწათმოქმედების კულტურით ვხსნი.

მიწათმოქმედების ასეთი კულტურა ყველა იმ ქვეყანაში როდია, რომელსაც ჩაი მოჰყავს. თქვენს რესპუბლიკაში უკვე დიდი ხანია ჩაის მოყვანა და მისი მომზადება პრიმიტიულად კი არ წარმოებს, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევათა საფუძველზე.

ჩვენი ჩაის ფაბრიკები კარგად არის მოწყობილი. მე, მართალია, დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ 1934 წელს მომიხდა ყოფნა ბათუმის ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში. უკვე მაშინ იქ ყველაფერს მანქანა აკეთებდა, ჩაის ფოთოლს ადამიანის ხელი არ ეკარებოდა. ჩაის ფოთლის მომზადება, გახმობა ხდება ზუსტი სამეცნიერო-კვლევითი მონაცემების საფუძველზე და არა თვალდათვალ.

მას შემდეგ ჩაის წარმოების კულტურა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ჩაის ფაბრიკებში მომუშავე ადამიანებს აქვთ მაღალი კულტურა, კარგად იცნობენ თავიანთ წარმოებას. შეიძლება სრული საფუძვლით ვთქვათ, რომ ჩაის წარმოების კულტურის ისეთი მაღალი დონე, როგორიც საქართველოშია, სხვა ქვეყნებში არ არის. **(ტაში)**.

რესპუბლიკაში გაიზარდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესანიშნავი მოწინავეები, რომლებმაც დამსახურებული შრომითი სახელი მოიხვეჭეს.

შრომაში კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ ჩაის მკრეფავები ტატიანა ჩხაიძე მახარაძის რაიონში და გული ავიძბა ოჩამჩირის რაიონში, მექანიზატორი გიორგი თინაშვილი, მელორეები დავით სეფიაშვილი წითელწყაროს რაიონში და იუზა დოკუზოვა სტალინირის რაიონში, მწყემსები გიორგი ჩალაბაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი სიღნაღის რაიონში, მწველავები სოფიო დელბაშვილი სამგორის რაიონში, მერი კვაჭანტირაძე საგარეჯოს რაიონში, ტაისია ფედოსეევა თეთრი წყაროს რაიონში, ემა კუიუმჩიანი ახალქალაქის რაიონში. მესიმინდე კონსტანტინე სანდუხაძე ზუგდიდის რაიონში და ბევრი სხვა. პატივი და დიდება სოფლის მეურნეობის ამ შესანიშნავ მშრომელებს! **(მჭუხარე ტაში)**.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ახალი აღმავლობის დიდი ამოცანები, რომელთა შესრულება სავსებით შესაძლებელია. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე საქართველოს რესპუბლიკამ იკისრა მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის, ხორცის, რძის, ჩაის, ყურძნის, ხილის წარმოების დიდი ვალდებულებანი.

ამხანაგმა მჟავანაძემ თავის მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა, თუ როგორ ჩაღდება თქვენში სასოფლო-სამეურნეო საშუალოები მიმდინარე წელს, თუ როგორ ახორციელებთ პრაქტიკულად სკკპ ცენტრალური

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ბელს გახდის უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ხალხის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი.

ამხანაგებო! საქართველოს ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ კარგი საფუძველი შეუქმნა რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე დიდი გავლენა მოახდინეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულმა ღონისძიებებმა, რომლებიც სკკპ XX და XXI ყრილობების შემდეგ განხორციელდა. ეს არის ახალი კანონი მშრომელთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ, შვიდი დაექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა და ხელფასის მოწესრიგება, მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, რაც გეგმაზომიერად ხორციელდება. მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად გადიდდა კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი, რაც განპირობებულია კოლმეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებით.

რესპუბლიკაში ფართოდ წარმოებს საბინაო მშენებლობა. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ შვიდწლედის ორ წელიწადში სახელმწიფოს სახსრებით აშენებულია უფრო მეტი საცხოვრებელი სახლი, ვიდრე პირველ და მეორე ხუთწლედში ერთად.

მაგრამ ჩვენ ნათლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ ნელა ვაშენებთ, მთლიანად როდი ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს. კომუნისტურმა პარტიამ დასახა საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, რომ თვითეული საბჭოთა ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლით, რომ საკმაო რაოდენობით გვქონდეს საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებები. იმისათვის, რომ შევასრულოთ ეს პროგრამა, მთლიანად და სწორად უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო ასიგნებანი მშენებლობისათვის, დავაჩქაროთ და გავაიაფოთ მშენებლობა შინაგანი რეზერვების გამოყენებით და, რაც მთავარია, შეურიგებლად ვიბრძოლოთ ზედმეტობის, შელამაზების, სახელმწიფო სახსრების განიავების წინააღმდეგ.

აქვე უნდა ვთქვა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გააკრიტიკა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ მან ჯეროვანი დასკვნები არ გამოიტანა პარტიისა და მთავრობის მითითებებიდან მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენების საკითხებზე.

ამხანაგებო, ჩვენ მტკიცე რწმენით ვუყურებთ მომავალს და კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით ვივლით წინ კომუნისტურ მშენებლობაში. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოყოჩოთ. მთელი ყურადღება იმას უნდა მივაპყროთ, რომ უკეთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი, არ დავივიწყოთ, რომ საჭიროა ძალიან ეუფრთხილდებოდეთ ფასეულობებს, რომლებსაც ადამიანის შრომა ქმნის, სწორად გამოვიყენოთ სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო გამოჰყოფს მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სახსრები იქ უნდა გამოვიყენოთ, სადაც საჭიროა პირველ რიგში, რათა უფრო სწრაფად დავაკმაყოფილოთ ხალხის ცხოვრების საჭიროებანი. ამიტომ უნდა ვაკრიტიკებდეთ მუშაკებს, რომლებსაც ნაკლოვანებანი აქვთ მუშაობაში, ვაკრიტიკებდეთ ზედმეტობისათვის. არ უნდა შევანელოთ ეს კრიტიკა, მაშინ უფრო სწრაფად ვივლით წინ.

ახლა საქართველოს ხელმძღვანელები ფიქრობენ: რაზე უნდა ილაპარაკოს ხრუშჩოვმა, საით უმიზნებს? რომ არ გალოდინოთ, გეტყვით. კარგი სპორტის სასახლე აგიშენებიათ, ამხანაგებო. **(ტაში)**. მე მომაჩნია, რომ ეს ჯასახლე სასარგებლო და საჭიროა. **(ტაში)**. მაგრამ ჩვენ გავაკრიტიკეთ საქართველოს მუშაკები და უკრაინელები — თქვენი ძმები. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**. მიმაჩნია, რომ სწორად გავაკრიტიკეთ და კვლავაც ძალიან მკაცრად გავაკრიტიკებთ ასეთი ნაკლოვანებებისათვის. გუშინ ვთქვი ამხანაგებთან საუბარში და დღესაც ვიმეორებ, რომ საქართველოს ინჟინრებმა კარგი ნაგებობა შექმნეს, პირდაპირ, შეიძლება ითქვას, შედევრი. სასახლის შესანიშნავი გუმბათი რკინაბეტონის რკალს ეყრდნობა, როგორც საინჟინრო ნაგებობა, იგი ადამიანის თვალს ახარებს. მაგრამ გეკითხებით, გყავთ თუ არა საქართველოში ბავშვები, რომლებიც მეორე და მესამე ცვლაში სწავლობენ?

შეძახილები: გვყავს.

მაშ ეს სასახლე რომ არ აგეშენებინათ, ამ სახსრებითა და მასალით, უეჭველია, შეიძლებოდა აგეგოთ სულ ცოტა ათი კარგი სკოლა, რომ ბავშვებს ესწავლათ არა მეორე ან მესამე ცვლაში, არამედ პირველ ცვლაში. **(შეძახილები: სწორია. მჭუხარე ტაში)**.

ამიტომ არ უნდა ავჩქარდეთ. მოვა დრო და ჩვენ ამაზე უკეთეს სასახლეებს ავაგებთ. მაგრამ არ შეიძლება მოვწყდეთ ცხოვრებას, ხალხის საჭიროებებს. თუ ზოგიერთი ადამიანი ჩვენში ჯერ კიდევ ნახევრად დანგრეულ სახლებში, სარდაფებში ცხოვრობს, მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრები უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს ხალხის საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას, რათა შეიქმნას ადამიანთა ცხოვრების უკეთესი პირობები. შემდეგ კი, როცა მეტი შესაძლებლობა გვექნება, შეიძლება ვაშენოთ ასეთი ნაგებობანი. **(ტაში)**.

ეს უკვე ვუთხარი ამხანაგებს მჟავანაძეს, ჯავახიშვილსა და სხვა ამხანაგებს.

როგორც იცით, თქვენთან სომხეთიდან ჩამოვედი. სომეხ ამხანაგებსაც მოუნდომებიათ თავის გამოჩენა. მათ გზაზე გაუკეთებიათ დიდი რკინაბეტონის ნაგებობა „თოლიის“ სახით, „თოლიას“ ფრთები გაუშლია და თითქოს გზასა ფარავს. ადამიანები ამ გზით რომ მგზავრობენ, ტკბებიან ამ ნაგებობით. უნდა ითქვას, რომ ეს ლამაზი სანახავია. მაგრამ ერევანში რამდენი ცუდი სახლია? და რესპუბლიკაში რომ „თოლიის“ ნაცვლად კარგი სახლები აეგოთ, და ამ სახლებში შეესახლებინათ ისინი, ვისაც ბინის პირობების გაუმჯობესება ესაჭიროება, რა მადლობას გეტყოდნენ ისინი თქვენ, ამბ. ზარობიან! **(ტაში)**.

იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაზეც, ამბ. პოდგორნი. მოდით, ამხანაგებო, ნუ დავივიწყებთ მშრომელთა საჭიროებებს. როცა ქონი დაგვიგროვდება, მოდით იგი უწინარეს ყოვლისა ადამიანის უშუალო საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოვახმაროთ. საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები — ყოველივე ეს ის არის, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იცხოვრებს. ჯერჯერობით კი შეიძლება ცხოვრება ისე, რომ არ გვქონდეს ასეთი სასახლეები. საქართველოში არის კარგი საოპერო თეატრი, შესანიშნავი დარბაზი უმაღლესი საბჭოს სახლში, სადაც გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სასახლესაც ააგებდით და ჩვენ აღარ გაგაკრიტიკებდით. ახლა გაკრიტიკებთ, დიდი დღესასწაულის დღესაც კი გაკრიტიკებთ! **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**.

ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ხელმძღვანელები ამბობენ: კარგია, რომ ეს შეცდომა უკრაინელებსა და ქართველებს მოუვიდათ, ჩვენ მათი შეცდომებით ვისწავლობთო. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ კრიტიკიდან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები საჭირო დასკვნებს გამოიტანენ. პირველ რიგში უნდა ვაშენოთ ის, რაც საარსებოდ სჭირდება დღეს ხალხს — ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჰექმარიტ აყვავებას მიაღწია ქართველი ხალხის კულტურამ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა კულტურულმა რევოლუციამ, სახალხო განათლების ფართო განვითარებამ, მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკად საქართველოს გადაქცევამ.

იმას, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა თქვენმა რესპუბლიკამ კულტურის განვითარების მხრივ, მოწმობენ თუნდაც ასეთი ფაქტები: საქართველოში ახლა 4.665 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც 700 ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს, 18 უმაღლესი სასწავლებელია. გაფართოვდა პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლების ქსელი. ყოველ 10.000 მცხოვრებზე დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობით საბჭოთა საქართველომ დიდად გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ათას სულ მოსახლეზე რესპუბლიკაში მოდის საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე 315 კაცი და უმაღლესი განათლების მქონე 38 კაცი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნამ მძლავრი ბიძგი მისცა მეცნიერების განვითარებას. რესპუბლიკის მეცნიერებს ახლა აქვთ მუშაობის უმდიდრესი შესაძლებლობანი, მათს განკარგულებაშია მრავალი სამეცნიერო დაწესებულება და ლაბორატორია. 1960 წელს რესპუბლიკაში იყო 173 სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც ამუშაებენ თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანეს, დიდი თეორიული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე პრობლემებს.

ახლა რესპუბლიკაში მუშაობს მასობრივი ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, კინოთეატრების, მუზეუმების ფართო ქსელი; გამოდის მრავალი გაზეთი და ჟურნალი ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

საქართველოს მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს თავიანთი შრომითა და ნიჭით ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. ბევრმა მათგანმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილია გამოჩენილი მათემატიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი. **(ტაში)**. მისი შრომები მექანიკის დარგში, განსაკუთრებით დრეკადობის თეორიის დამუშავებაში ფართოდ არის გამოყენებული, ისინი არსებითს დახმარებას უწევენ ჩვენი სოციალისტური წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ძვირფასი წვლილი შეაქვს აკადემიკოს ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილს, რომლის ნაშრომებმა ფიზიოლოგიის დარგში ფართო აღიარება ჰპოვეს. **(ტაში)**. დიდი პატივისცემით სარგებლობენ ისეთი მეცნიერები, როგორიც არის ლენინური პრემიის ლაურეატი ახალგაზრდა ისტორიკოსი გიორგი ალექსანდრეს-ძე მელიქიშვილი, **(ტაში)**. ცნობილი ასტრონომი ევგენი კირილეს-ძე ხარაძე, **(ტაში)**. ლენინური პრემიის ლაურეატი თვალსაჩინო ქირურგი პროფესორი ნიკოლოზ ვარდენის-ძე ანთელავა. **(ტაში)**.

დიდად ახარებს საბჭოთა ადამიანებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებითი წარმატება, რომელსაც შესანიშნავი შემოქმედებითი წარმატებისათვის მიენიჭა ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება. **(ტაში)**.

ვფიქრობ არ დამძრახავთ, რომ არ დამისახელებია საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა ასეთივე ღირსეული წარმომადგენლები, — მთელი ჩემი სურვილისა და მათდამი პატივისცემის მიუხედავად, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

ნება მიბოძეთ საბჭოთა საქართველოს მთელ ინტელიგენციას ვუსურვო ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები მის შემოქმედებითს შრომაში ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში)**.

ქართული კულტურა განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების კულტურასთან. ამ ძმური კავშირის ფესვები შორეულ წარსულშია. რამდენი შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნეს საქართველოს დიდმა რუსმა პოეტებმა პუშკინმა და ლერმონტოვმა. მგზნებარედ უყვარდა საქართველო გრიბოედოვს. აქ, ქართულ მიწაზე, არის იგი დაკრძალული. ცნობილმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა რუსეთსა და უკრაინაში, ხოლო უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში. დიდი გავლენა მოახდინა მოწინავე რუსულმა კულტურამ დიდ ქართველ მწერლებზე ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე. საქართველოში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა გორკიმ და მაიაკოვსკიმ.

ჩვენს დროში ქართველი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების ინტერნაციონალური კავშირი თანამოძმეებთან — სხვა რესპუბლიკების მოღვაწეებთან კიდევ უფრო მტკიცე გახდა. ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ნაწარმოებნი ცნობილია არა მარტო მთელ ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს მსახიობებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ სახელი გაუთქვეს საბჭოთა სოციალისტურ კულტურას.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მონაპოვარია. ეს მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველია, ერთ-ეთი გადამწყვეტი პირობაა ჩვენი გამარჯვებისა კომუნისტურ მშენებლობაში. სასიამოვნოა ვხედავდეთ, თუ როგორ მეგობრულად ცხოვრობენ და თანამშრომლობენ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების მშრომელნი. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები მხარდამხარ შრომობენ ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა დავიცვათ და განვავითაროთ ეს ძმური მეგობრობა, ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, როგორც ეს დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

(შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აქვეყნებს მისალმების ტექსტს, რომელიც არაერთხელ შეწყვეტინეს მჭუხარე ტაშით).

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მე-40 წლისთავს! **(მჭუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — სკკპ მებრძოლ რაზმს! **(მჭუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას — ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების ურყევ საფუძველს! **(მჭუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

მღერის საქართველო

ყოველივე საუკეთესო, ყველაზე ბრწყინვალე, რაც კი ქართველი ხალხის ტალანტს შეუქმნია, მისმა საბჭოთაქმნილმა მსახიობებმა ძვირფასი თაიგულივით შეკრიბეს და სულით და გულით, სიყვარულით მიართვეს ისტორიული დღესასწაულის დღეს ძვირფას სტუმრებს, საყვარელ ქვეყანას. საზეიმო კონცერტი სასახლეში, რომელიც 12 მაისს გაიმართა, იყო დათვალიერება ქართველი ხალხის მიღწევებისა კულტურის დარგში, შემოქმედებითი ანგარიში პარტიისა და ხალხის წინაშე.

სპორტის სასახლის გეებერთელა დარბაზი კვლავ გაივსო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეებით. შეკრებილნი მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც ცენტრალურ ლოჟაში გამოჩნდა. მასთან ერთად ლოჟაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურები.

ფანფარები იუწყებიან კონცერტის დაწყებას. პირველი სიტყვა ეძღვნება დიდ ლენინს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს. ლენინი ყოველთვის ჩვენთან არის — გაისმის დარბაზში სიტყვები კომპოზიტორ რ. ლაღიძის კანტატიდან ლენინის შესახებ.

დიდებულად ეღერს სიმღერა საქართველოზე — განახლებულ მხარეზე, რომელიც აყვავდა დიდი ოქტომბრის დროშით. სიმღერას ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. გამრეკელი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზ. ანჯაფარიძე გაერთიანებულ გუნდთან ერთად.

მშვიდობის, მეგობრობის, ხალხთა ურღვევი ერთობის ჰიმნად ჟღერს ა. ბალანჩივაძის სიმღერა საქართველოზე. ამ დროს სცენის თავზე დადგმულ უზარმაზარ ეკრანებზე მოჩანს ამაღლებული კანონიერები, რომლებიც მეხსიერებაში აღადგენენ რევოლუციური ბრძოლების დღეებს, როცა ოქტომბრის რევოლუციით აღფრთოვანებულ ქართველ ხალხს იერიში მიჰქონდა ძველი სამყაროს დრომოჭმულ საყრდენებზე. ეკრანზე მოჩანს საქართველოს მჩქეფარე მდინარეები, აყვავებული ველები, დათოვლილი მწვერვალები. სულ უფრო მაღლაგრად და დიდებულად ჟღერს სიმღერა. მსახიობი გ. საღარაძე მხატვრული სიტყვით დიდებას ასხამს ჩვენს აყვავებულ რესპუბლიკას, მის ადამიანებს.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტები ასრულებენ ცეკვას მირზაიას — მოლოდინისა და სიყვარულის ცეკვას ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“. სამი მთავარი სცენის ცენტრში, ხოლო სამ-სამი იმერებს მათს მოძრაობებს უზარმაზარი დარბაზის ოთხ სხვადასხვა კუთხეში.

ჟღერს ძველებური „შეხამბაზის“ — ძველი თბილისის მოქალაქეთა — ყარაჩოღელთა საყვარელი სიმღერის მელოდია. ისინი გამოჩნდნენ ქარვისფერი ქართული ღვინით სავსე ფიალებითა და ანთებული სანთლებით. ასე გამოხატავდნენ წარსულში „ყარაჩოღელები“ თავიანთ ღარიბულ გრძნობებს. სიმღერის ტექსტს კითხულობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გოძიაშვილი.

დამსწრენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან ქართულ ხალხურ ცეკვებს ოპერა „დაისიდან“. დიდი საცეკვაო წარმოდგენა იწყება მასობრივი „ფერხულით“. მას ცვლის „ქართული“, ნაზი და გრაციოზული რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მარინე მხეიძის მოძრაობა, მამაცობასა და კეთილშობლებას, ქალისადმი პატივისცემას განასახიერებენ მისი ღირსეული პარტნიორები თენგიზ უთმელიძე, დავით ბასილაშვილი, ანზორ ნიკოლაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე.

არაერთგზის გაისმა ამ საღამოს მრავალხმოვანი ხალხური სიმღერა. შორს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცნობილია „სულიკო“ — ქართველი ხალხის საყვარელი სიმღერა. ეს პოპულარული სიმღერა, რომელიც შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ტ. მახარაძემ და გაერთიანებულმა გუნდმა 2,500 კაცის შემადგენლობით, ამ საღამოს განსაკუთრებით მელოდიურად, გულში ჩაგწვდომად აღერდა. როგორც ჰქონი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა დიადი მეგობრობისა, ისე გაისმა ი. ფუნიაკოვის ცნობილი სიმღერა „ვრცელია ჩემი ქვეყანა“. იგი შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. მუშკუდიანმა და გაერთიანებულმა გუნდმა. მეგობრობის სიმღერას ცვლის მეგობრობის ცეკვა ლ. თორაძის ბალეტიდან „მშვიდობისათვის“.

მაყურებლებს დიდად ასიამოვნეს ახალგაზრდა მომღერლებმა თ. ზეინკლიშვილმა და თ. ზაალიშვილმა, რომლებმაც გაერთიანებულ გუნდთან ერთად შეასრულეს ქართული სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს“ და რუსული სიმღერა „საღამოს ზარი“. მაყურებლებმა ერთსულოვანი ტაშით დაუჯილდოვეს მსახიობი ლ. გეგელია, რომელმაც გულითადად და ლირიკულად იმღერა „იაია“, ს. ცინცაძის „ჭრიჭინა“ შეასრულა ვოკალისტთა გლინკას სახელობის სრულიად საკავშირო კონკურსის ლაურეატმა მ. ამირანაშვილმა. ამ ხალისიან სიმღერასთან ერთად ცეკვა „ჭრიჭინა“ შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. გელოვანმა.

ღამაზი გამოკვეთილია სპორტის ოსტატების მშია ნინოშვილისა და რევაზ კაშახიძის მხატვრული ტანვარჯიში.

საქართველოს უძველესი დედაქალაქი ხელგაშლილი, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელს შეეფერება, ისე ეგებება დღესასწაულზე ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს. ამიტომ არის, რომ ასე გულთბილად შეხვდნენ მაყურებლები რ. ლაღიძის სიმღერას 1500 წლის თბილისის — მშენი და ვარდების ქალაქის, სილამაზისა და ახალგაზრდობის ქალაქის შესახებ.

კონცერტის დამამშვენებელი იყო ბ. ბნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თვითმოქმედი ანსამბლის მონაწილეთა გამოსვლა. მათ წარმოადგინეს „სუსკაალურ-ქორეოგრაფიული მონტაჟი „ბაბუკის დღესასწაული“ — ხალისიანი სიმღერა ბედნიერი ბავშვობის შესახებ, ნორჩი ტალანტების ლამაზი დღესასწაული.

მაყურებლები მხურვალედ შეხვდნენ ცეკვას „ფარიკაობას“ — მამაცი და გამბედავი მთიელების ცეკვას. იგი ბრწყინვალედ შეასრულეს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეებმა, რომელსაც ქართული ქორეოგრაფიის სახელგანთქმული ოსტატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუბიშვილი ხელმძღვანელობენ.

„კონცერტის ყველა მონაწილე ადის სცენაზე, საზეიმოდ ჟღერს რ. ლაღიძის სიმღერა — ჰიმნი პარტიას, რომელსაც თანასმით ხმა ასრულებს. გაისმის მხურვალე მადლობის სიტყვები დიადი საბჭოთა კაშირის კომუნისტური პარტიისადმი, მისი მებრძოლი შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, მშვიდობისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, საქართველოს ძვირფასი სტუმრის — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი.

კონცერტი დამთავრდა. დარბაზი მჭუხარე ოვაციით აჯილდოებს იმათ, ვინც თავისი ნიჭი, ოსტატობა მოახმარა ამ მშვენიერ წარმოდგენას — მთავარ რეჟისორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ა. ჩხარტიშვილს, მთავარ მხატვარს ო. ლიონიშვილს, მთავარ ლოტბარებს ჯ. კახიძესა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. კავსაძეს, კინოკომპოზიციის რეჟისორებს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. საინიშვილსა და ო. ჰიაურელს, რეჟისორ გ. სურმავას. (საქდესი.)

• • •

სურათზე: კონცერტი თბილისის სპორტის სასახლეში.
ფოტო პ. ლუცენკოსი და ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბოტვინიკმა დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონობა

მოსკოვი. 12 მაისი, (ტელეფონით). 21-ე პარტიაში ტალის წინაშე მეტად ძნელი ამოცანა იდგა. მას მხოლოდ გამარჯვება შველოდა, რათა გაეგრძელებინა ბრძოლა დანარჩენ პარტიებში. ამიტომ, ბუნებრივია, რიგელი გროსმაისტერი თავიდანვე თამაშის გამწვავებისაკენ მიისწრაფოდა.

ქველინდურ დაცვაში, რომელიც შავებით ტალმა აირჩია, მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როჯი, ეს კი უოველთვის იწვევს კომბინაციურ გართულებებს, მაშინ როდესაც ტალი კონტრთამაშის მიღებას ეწაფოდა, ბოტვინიკმა უკვე დაიწყო სახიფათო იერიში. თეთრებმა მრისხანე მუქარა შეუქმნეს მეტოქის მეფეს. ბოტვინიკმა ჯერ აღადგინა მატერიალური წონასწორობა (ადრე მან ორი პაიკი შესწირა), ხოლო შემდეგ რამდენიმე ზუსტი სვლით გამარჯვება მოიპოვა 33-ე სვლაზე.

ამრიგად, ბოტვინიკმა მოიგო მატჩ-რევანში ანგარიშით 13:8 და დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. საყურადღებოა, რომ გამოჩენილი საბჭოთა გროსმაისტერი მესამედ ხდება მსოფლიოს ჩემპიონი. ეს უმაგალითო მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში. ბოტვინიკმა, რომელიც ავგისტოში 50 წლის ხდება, გამოაცალინა არა მარტო თავისი შესანიშნავი ნიჭი, არამედ უდიდესი ნებისყოფა და გამარჯვებისადმი დაუცხრომელი სწრაფვა.

პარტიის დამთავრების შემდეგ ბოტვინიკს ვთხოვე გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი „კომუნისტის“ მკითხველებისათვის. აი რა განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა:

—მატჩ-რევანშისათვის დიდხანს და შეუპოვრად ვემზადებოდი, მაგრამ ჩემი სადებიუტო მომზადების დონის შემოწმება ვერ მოხერხდა, რადგან ტალი, როგორც წესი, დასაწყისში უფერულად თამაშობდა და მძიმე პოზიციებს იღებდა. მატჩ-რევანშის ბედის გადაწყვეტაში უდიდესი როლი შეასრულა მე-9, მე-10 და მე-11 პარტიებმა. სამი შეხვედრის ზედიზედ წაგების შემდეგ ტალისთვის უკვე მეტად ძნელი იყო მსოფლიოს ჩემპიონობის შენარჩუნება. ჩემს ყველაზე დიდ



მიღწევად მატჩ-რევანშში ვთვლი მე-20 პარტიას, სადაც დიდხანს მეტად ძნელ მდგომარეობა მქონდა და ხანგრძლივ ზუსტი დაცვა მომიხდა. ტალის საუკეთესო მიღწევად მიმაჩნია მე-8 პარტია.

ბოტვინიკმა მატჩ-რევანშში გათამაშებულ 21 პარტიიდან მოიგო 10, წააგო 5 და 6 ყაიმით დაამთავრა. საინტერესოა, რომ ბოტვინიკისა და ტალის შეხვედრების საერთო ანგარიში გახდა 21,5:20,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ. მსოფლიო პირველობაზე გამართული მატჩებისათვის უკეთესად იყო პარტიების დიდი შედეგიანობაც, აგრეთვე ისიც, რომ შეხვედრების დიდი უმრავლესობა დამთავრდა თეორების გამარჯვებით.

მატჩ-რევანშის დამთავრების შემდეგ მრავალრიცხოვანმა მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს ბოტვინიკს, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვება.

ხვალ შედგება შეჯიბრების ოფიციალური დახურვა.

ლ. აბრამოვი.
ოსტატი.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი 8 გვერდიანია.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 12 მაისი, მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და რიგის „დაუგავას“ გუნდებს შორის დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით 3:2.

ლენინგრადი. ერევნის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲣᲔ 05535

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ., № 14.